ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 053 (12 429) | 5 მარტი, ოთხშაბათი, 2008 წელი | ფასი 50 თეთრი

# არსენას თოფი მიზანში ისვრის

## მილანი უტიტულოდ რჩება. არსენალი, ფენერბაჰჩე, ბარსელონა და მანჩესტერი მეოთხედფინალში არიან

გუშინ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალები გაიმართა. ყურადღების ცენტრში იყო მატჩი "სან სიროზე", სადაც "მილანი" "არსენალს" მასპინძლობდა. პირველი თამაში 0:0 დასრულდა. მიუხედავად ამისა, გუშინდელ შეხვედრას გამოკვეთილი ფავორიტი მაინც არ ჰყავდა. **კარლო ანჩელოტი** თავისი გუნდისგან "მანჩესტერის" გამეორებას ითხოვდა. ბუნებრივია, თავისი ამბიციები აქვს არსენ ვენგერსაც, და თან, საკმაოდ დასაბუთებულიც...

თამაში "მილანის" კარნახით დაიწყო. ლონდონელთა დაცვა მთელი დატვირთვით მუშაობდა, მაგრამ ანჩელოტის მთავარი იარალი განეიტრალებული იყო. ტრავმამ თავისი ხელი დაატყო **კაკას**, მაინცდამაინც ვერც **პირლო** მარჯვობდა მოედნის ცენტრში...

დაახლოებით ტაიმის შუაწელიდან "არსენალის" უპირატესობა გამოიკვეთა. რამდენიმე მწვავე შეტევის შემდეგ, **ადებაიორის** დარტყმული "მილანის" კარის ძელს მოხვდა. მეორე ტაიმში "როსონერის" ბურთის კონტროლიც უჭირდა. ანჩელოტიმ თავდასხმის გადახალისება **ჯილარდინოთი** გადაწყვიტა, მაგრამ ეს ნაბიჯიც უნაყოფო გამოდგა...

საბოლოოდ, სამართალმა იზეიმა. 84-ე წუთზე **ფაბრეგასმა** კარგად მოძებნა დერეფანი და შორეული დარტყმით ბურთი **კალაჩისგან** მარჯვენა დაბალ კუთხეში გაახვია. "მილანის" კიპერს ნახტომი აშკარად დაუგვიანდა. იტალიელთა ამოცანა რადიკალურად შეიცვალა. წინსვლისთვის უკვე ორი გოლი იყო საჭირო. მაგრამ ნათელი გახდა, რომ "არსენალი" ამ ჰანდიკაპს ხელიდან არ გაუშვებდა. მეტიც, მატჩის ბოლო წუთზე **უოლკოტმა** ფლანგზე **კალაძე** ჩამოიცილა და გამოზომილი გადაცემა გაუკეთა ადებაიორს, რომელსაც დაუცველ კარში გატანა არ გასჭირვებია - 0:2.

"არსენალი" მეოთხედფინალშია. ანჩელოტის შიში კი გამართლდა. "მილანის" ფეხბურთი თითქოს მოძველდა და უსიცოცხლო გახდა. ეს სერია A-დანაც ჩანს. "როსონერი" ამ სეზონში უტიტულოდ რჩება...

3:2 პირველი მატჩი, 3:2 საპასუხო შეხვედრა და 3:2 პენალტებშიც - ასე ითამაშეს "სევილიამ" და "ფენერბაჰჩემ". მეოთხედფინალში კი თურქული გრანდი გავიდა. თითო გოლით გაიმარჯვეს "ბარსელონამ" და "მანჩესტერმაც", რაც სამეოთხედფინალო პროგრესისთვის სრულიად საკმარისი იყო...

ტექნიკური შედეგები 16






# ესპანიოლი თბილისის დინამოს მეკარით დაინტერესდა

პრიმერადივიზიონის "ესპანიოლს" მეკარე გაურზის - კარლოს კამენი სეზონის ბოლოს ესპანეთიდან ინგლისში გადაბარგებას აპირებს. ჰოდა მის შემცვლელად კატალონიელები თბილისის "დინამოს" გაბონელ გოლკიპერს, დიდიე ოვონოს მოიაზრებენ.

"ესპანიოლის" დაინტერესებაზე გუშინ "ელ მუნდო დეპორტივომ" დაწერა, თუმცა მეტი ამაზე არაფერი თქმულა. დრო გავა და ყველაფერს ნათელი მოეფინება.

მერაბ მამულაშვილი



# ცინცაძე ევროთასის ოლსტარში

## ქართველმა როკი ნახევარფინალში გაიყვანა

# კარგი ამბავი საბერძნეთიდან, ცუდი იტალიიდან

ლეგიონერები 11

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge

# ონიანს ძირითადში დაბრუნების იმედი აქვს

## კარლ ცაისმა ნახევარფინალით ორი მილიონი იშოვა



გიორგი ონიანი

**გიორგი ონიანს** თავიდან კი გაუჭირდა "კარლ ცაისში" ადაპტაცია, მაგრამ მეორე ბუნდესლიგის პირველი წრის მიწურულს უკვე სისტემატურად ხვდებოდა იენური კლუბის ძირითად შემადგენლობაში. ქართველმა მცველმა ზამთრის შეკრებაზე ფეხის ტრავმა მიიღო, რის გამოც დაახლოებით ერთი თვე გაუცდა. ონიანი უკვე მწყობრშია, მაგრამ "კარლ ცაისში" ჯერ არ გამოჩენილა - ერთი ეგაა, გასულ ტურში განაცხადში მოხვდა. იენური კლუბი მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერია, სამაგიეროდ, გერმანიის თასზე ნამდვილი სენსაცია მოახდინა, მეოთხედფინალში სტუმრად "შტუტგარტს" სძლია და 18 მარტს ნახევარფინალში სტუმრად "დორტმუნდს" დაუპირისპირდება. გიორგის ნუხელ შევეხმიანეთ.

- სათასო წარმატება ბუნებრივია, ყველას გვიხარია, მაგრამ ეს მიღწევა მეორე ბუნდესლიგაში ნაჩვენებ სამწუხარო შედეგებს ვერ გადაწონის. სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გუნდს რეგიონალლიგაში დაქვეითება არ ასცდება. ისე კი, თასის ნახევარფინალში გასვლამ "კარლ ცაისს" სერიოზული ფინანსური სარგებელი მოუტანა. როგორც ვიცი, კლუბის ბიუჯეტს ორ მილიონ ევრომდე შეემატა.

**- მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის შემთხვევაში, "კარლ ცაისის" ქართველი ლეგიონერები თავისუფალი აგენტები გახდებით. ასეთ შემთხვევაში, კარიერას სად გააგრძელებ?**

- ჯერ არ ვიცი. შევეცდები, გერმანიაშივე ვიპოვო სასურველი კლუბი. თუმცა მანამდე მე და ჩემი თანაგუნდელები თავს არ დავზოგავთ იმისთვის, რომ მეორე ბუნდესლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ.

**- როდისთვის ვარაუდობ ძირითადში დაბრუნებას?**

- ამ თემაზე ხვალ მთავარ მწვრთნელს, რობინ დუტს უნდა ვესაუბრო. ვხედავ, რომ ჩვენი დაცვა ძალიან სუსტად გამოიყურება და ნამდვილად შემიძლია მისი გაძლიერება. იდეალურ ფორმაში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ძველ კონდიციებს მალე აღვიდგენ და თუ მწვრთნელი მენდო, დარწმუნებული ვარ, თავს არ შევირცხვენ.

**- როგორ ფიქრობ, "კარლ ცაისის" წარუმატებლობა კანონზომიერია თუ უიღბლობაზეც შეიძლება საუბარი?**

- შეიძლება, არ გაგიმართლოს და ამის გამო ორი-სამი თამაში წააგო, მაგრამ თუ გუნდი მთელ სეზონს აგდებს, ესე იგი ვერაა მაინცდამაინც ძლიერი. მწვრთნელის შეცვლამაც თავისი ქნა, საქმეს თავი ვერც ივანაუსკასმა გაართვა და ვერც მისმა შემცვლელმა დუტმა. ახალგაზრდა, მონდომებული სპეციალისტია, მაგრამ ასეთ დონეზე მუშაობის გამოცდილება არა აქვს. დაცვა, როგორც გითხარით, სუსტია, გუნდს ორგანიზებულობა აკლია. ერთადერთი, მეკარის პრობლემა მოგვარდა. ბელარუსი ვასილი ხომუტოვსკი მაღალი დონის გოლკიპერია, ყველა მატჩში ურთულეს ბურთებს იგერიებს.

**- ძირითადში ვერც კანდელაკი და სეთურიძე ხვდებიან...**

- კანდელაკი განაცხადში სისტემატურად შეჰყავთ და ზოგჯერ შეცვლებზეც შედის, სეთურიძე კი როგორც იცით, სულ ახლახან გამოჯანმრთელდა და ოპტიმალურ ფორმაში არაა. ძირითადი შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის პრეროგატივაა და იმედია, უახლოეს პერიოდში მეც, კანდელაკიც და სეთურიძეც "კარლ ცაისის" ძირითადში ადგილს დავიმკვიდრებთ.

ლევან ჯანეზაშვილი

# შოთა უკვე წუთებზე ფიქრობს

## თბილისი, ამსტერდამი თუ ვალენსია



რასა იქმს ლევანტელი **შოთა არველაძე**? მის დებიუტს პრიმერადივიზიონში არა და არ დაადგა საშველი. ჰოლანდიური "ალკმაარიდან" ვალენსიურ "ლევანტეში" გადასულმა არველაძემ ქრონიკულად მტკივან მარჯვენა მუხლზე ორი ოპერაცია გაიკეთა და ახალ გუნდში ჯერ არ უთამაშია.

- არ ვიცი, როდის მომიწევს თამაში. ერთი კვირაა, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, თუმცა ჯერ ჯანზე ვერ ვარ, მუხლიც არ მაქვს ბოლომდე მორჩენილი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, იმედი მაქვს, რომ მიმდინარე სეზონში 20-25 წუთის თამაშს მაინც მოვასწრებ. უკვე იმაზე ლაპარაკიც არ არის მომდევნო სეზონში ვითამაშებ თუ არა ფეხბურთს, გვითხრა 35 წლის არველაძემ, ვინც ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას აპირებს და ვკითხეთ, თუ სად სურს სამწვრთნელო ლიცენზიის აღება.

- ამ მხრივ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ჯერ ის უნდა გავარკვიო, სად ვაპირებ ცხოვრებას უახლოეს წლებში - თბილისში, ამსტერდამსა თუ ვალენსიაში, - გვიპასუხა შოთამ

დავით თავართქილაძე

# ნახევარი მეგრელაძე სპარტაკს ეყო

## დინამოსთან კი ორმოოცდაათიდან ერთს ელის

**ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში "ბორჯომმა" ცხინვალის "სპარტაკს" 2:1 მოუგო. ბორჯომელთა ორივე გოლი მისმა ახალწვეულმა გია მეგრელაძემ გაიტანა. ის ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მივიდა "ბორჯომში" და დებიუტი შთამბეჭდავი გამოუვიდა.**

**მეგრელაძე "ბორჯომში" ყაზახური "ჟეტისუდან" გადავიდა და გიასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ.**

- "ჟეტისუში" მწვრთნელი შეიცვალა, რასაც მკვეთრი საკადრო ცვლილებები მოჰყვა - თითქმის სულ ახალი კოლექტივი მოვიდა. ესეც რომ არა, "ჟეტისუსთან" ნახევარწლიანი კონტრაქტი უკვე ამოწურული მქონდა. იქ სულ სამი მატჩი ვითამაშე, ხან ტრავმა მაწუხებდა, ხან კი სხვა პრობლემები იყო.

**- "ბორჯომშიც" მცირე ხნით აპირებ ყოფნას?**

- "ბორჯომში" სეზონის ბოლომდე ვითამაშებ, მერე კი ისევ უცხოეთში ვაპირებ წასვლას.

**- 2006 წლის ზაფხულში თბილისის "დინამოდან" აზერბაიჯანის მაშინდელ ჩემპიონ "ბაკიში" გადახვედი. ახლანდელი გადმოსახედიდან როგორ ფიქრობ, არ გიჯობდა დარჩენილიყავი "დინამოში"?**

- ასე არ ვიტყოდი. "ბაკი" საკმაოდ კარგი გუნდია. საქართველოდან აზერბაიჯანში ურიგო ფეხბურთელები როდი მიდიან. "ბაკიში" კარგად წამივიდოდა საქმე, რომ არა კუნთის ტრავმა, მერე კი - ჰეპატიტი.

**- "ბორჯომში" ისე მიხვედი, საშუასეზონო შეკრება არ გაგივლია და მყის ორი გოლი გაიტანე...**

- მასეა, საქართველოში უფრო მიმართლებს, ვიდრე უცხოეთში.

**- ამ დროისათვის შენი შესაძლებლობების დაახლოებით რამდენი პროცენტის გამოყენება შეგიძლია?**

- რა თქმა უნდა, ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარ, ჩემი შესაძლებლობების 50 პროცენტის ჩვენება თუ შემიძლია.

**- მომდევნო ტურში "ბორჯომი" "დინამოს" ესტუმრება. როგორ ფიქრობ, რა უნდა გააწყო შენი 50 პროცენტით ასეთ მეტოქესთან?**

- ამ 50 პროცენტით ალბათ ერთი საგოლე შანსი მაინც მომეცემა და მის გამოყენებას ვეცდები.

**- სეზონის მერე ისევ აზერბაიჯან-ყაზახეთში ეცდები წასვლას?**

- ვნახოთ, არ არის გამორიცხული საქართველოში დავრჩე, გააჩნია შემოთავაზებას. რაც მთავარია, ახლა ჯანმრთელად ვარ და ამ მხრივ პრობლემები არ უნდა შემექმნას.

დავით თავართქილაძე

# ჩერნოგორია ყაზახეთს შეუთანხმდა

**მსოფლიოს** 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ჩვენი ჯგუფის მეტოქე ჩერნოგორიამ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი დაგეგმა. ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 27 მაისს, ჩერნოგორია ყაზახეთთან საშინაო ამხანაგურ მატჩს გამართავს. მოგეხსენებათ, ჩერნოგორია უეფას ახალი წევრია და ამხანაგური მატჩების დეფიციტს განიცდის, ეს გარიგება კი ბალკანელთათვის ამადაცაა გამორჩეული.

ყაზახებამდე ჩერნოგორიელები კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. 26 მარტს, როცა საქართველო ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიას გაეჯიბრება, ჩერნოგორია კი ნორვეგიას დაუხვდება.

დავით ცაბაძე

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge



# კორღალიძემ მოგებით დაიწყო

მოლდოვაში განახლდა ნაციონალური დივიზიონის გათამაშება, ზამთრის სუსხმა ერთი კლუბი, „რაპიდი" შეიწირა, რომელიც უსახსრობის გამო დაიშალა. ასე რომ, მოლდოვის ჩემპიონატი კენტრიცხვიანი გახდა, მასში 11 კლუბი აგრძელებს ბრძოლას. პირველი დასვენება მოლდოვის საუკეთესო გუნდ „შერიფს" მოუწია, თუმცა ეს მის ლიდერობას არ დაეტყო – მე-18 ტურის შემდეგ **ვაჟა თარხნიშვილის** კლუბი 45 ქულით პირველია და „დაჩიას", უახლოეს მდევარს 7 ქულით უსწრებს.

„ზიმბრუმ" „ტილიგულს" უმასპინძლა და ვერ მოუგო – 0:0. 23 წლის **მამუკა ლომიძე** „ზიმბრუს" განაცხადში არ ყოფილა. კიშინიოვის „დაჩიამ" სტუმრად 3:1 დაამარცხა „ისკრა". სტუმართა ფორვარდმა **ჯაბა დვალმა** 78-ე წუთამდე ითამაშა, **ლევან კორღალიძემ** კი – 90 წუთი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ამკარმა ელიავა დაიწუნა

რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, **ზაალ ელიავას** "ამკარში" დარჩენა ფაქტობრივად, გამორიცხულია. როგორც იცით, ქართველი მცველი პერმულ კლუბში ისინჯებოდა. *"ელიავამ შეკრებაზე ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მის პოზიციაზე არანაკლებ ძლიერი ფეხბურთელი გვყავს, მიკლოშ გაალი"*, - განაცხადა "ამკარის" მთავარმა მწვრთნელმა, ჩერნოგორიელმა **მიოდრაგ ბოჟოვიჩმა**.

გაალი უკვე კარგა ხანია ასპარეზობს პერმელთა გუნდში და რუსულ პრემიერლიგაში 26 მატჩი აქვს ჩატარებული. თუ ბოჟოვიჩი ფიქრობდა, რომ ერთ პოზიციაზე ორი ფეხბურთელი არ უნდოდა, მაშ რატომ იწვევდა ტესტირებაზე ელიავას?

შესაძლოა მიკლოშ გაალს "ამკარის" დატოვება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მისი ტრანსფერი ამ ეტაპზე არ შედგა და ელიავაზეც ამიტომ განაცხადა უარი რუსულმა გუნდმა.

## ჟანა ფრისკემ კალაძისთვის იმღერაო...

პოპულარული რუსული გამოცემა "სოვეტსკი სპორტი" ხშირად ეხება პიკანტურ თემებს, სპორტსმენთა პირად ცხოვრებას. გუშინ ამ გამოცემამ მოსკოვთან კავშირის მიხედვით "მილანისა" და "არსენალის" ფეხბურთელების შესახებ მცირები ისტორიები შემოგვთავაზა. ამ ჩამონათვალში **კახა კალაძეც** მოხვდა.

"კახა კალაძეს მოსკოვში ბევრი მეგობარი ჰყავს. რუსეთის დედაქალაქში ჩასვლისას კალაძე მეგობარ და ნაკრებში თანაგუნდელ მალხაზ ასათიანთან ერთად ქართულ რესტორანს ხშირად სტუმრობს. გასულ ზაფხულს, ერთ-ერთ დახურულ წვეულებაზე, რომელსაც კახა კალაძე და მალხაზ ასათიანი ესწრებოდნენ, ჟანა ფრისკემაც იმღერა. როგორც ამბობენ ფრისკე იმ საღამოზე კალაძემ მიიწვია", - წერს რუსული გამოცემა ჩვენებურზე.

## გამეზარდაშვილის სატურნი



ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფმა რიგის "სკონტომ" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. რიგელებმა რამენსკოეს "სატურნის" დუბლების წინააღმდეგ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს. ამ შეხვედრაში **ლადო დვალიშვილს** არ უთამაშია, **დავით გამეზარდაშვილი** კი სასტარტოში იყო. მან სრულადაც ითამაშა და გოლიც გაიტანა. "სკონტოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მე-60 წუთზე რიგელთაგან პირველი გოლი სწორედ გამეზარდაშვილმა შეაგდო.

**დავით ცაბაძე**

# ქართული ტრანსფერები

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| დინამო | კობახიძე (დნეპრი), გონჩაროვი, გრიშიკაშვილი, ფეიქრიშვილი | ნერგაძე, გრიგალაშვილი (ორივე ბორჯომი) |
| ზესტაფონი | კ. ჩხეტიანი (სიონი), გ.ნოდ. ქელიძე (იჯარა დასრულდა), სანტოსი | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) |
| ვიტ ჯორჯია | გელაშვილი (ზესტაფონი), პ. დათუნაიშვილი | ბ. ცხადაძე (ამერი), ყველაშვილი, (ბორჯომი), პ. დათუნაიშვილი |
| ბორჯომი | შეყრილაძე (ოლიმპი), აკობია (ულისე, სომხეთი), ლ. მერებაშვილი (მესხეთი), გრიგალაშვილი, ნერგაძე (ორივე დინამო), შ. ჯიქია (სიონი), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია), მემარნიშვილი (ამერი), ქელიძე, ბაბუნაშვილი | გრიშიკაშვილი, ქავთარაძე, გუგავა, კაკუბავა (ყველა დინამო) ჩირიკაშვილი (სპარტაკი), ჯიუსი |
| ოლიმპი | მ. ალავიძე (ლოკომოტივი), ნავალოვსკი, რ. ჯიქია (ორივე ანჟი), დვალიშვილი, ქებაძე, ჯილდასი, ჟივკოვიჩი, კოშკაძე (მესხეთი) | ომელიანოვი, შეყრილაძე (ბორჯომი), ხუბუა, ფარულავა, ჯოჯუა (სამივე მგლები), გაბედავა, მეტრეველი |
| ამერი | ბ. ცხადაძე (ვიტ ჯორჯია), კობაური (სიონი), ბოლქვაძე (სიმურგი), ჯელაძე (ვოსტოკი), ვარდოსანიძე | მემარნიშვილი (ბორჯომი) |
| მესხეთი | კაიდარაშვილი ზ. ჩხეტიანი (ორივე ლოკომოტივი), გ. თურმანიძე (ბათუმი), პ. აკოფიანი, ჟვანია | ლ. მერებაშვილი (ბორჯომი), კოშკაძე (ოლიმპი), მუშკუდიანი (მაღაროელი), რაქვიაშვილი (სიონი) |
| მგლები | ხუბუა, ფარულავა (ორივე ოლიმპი), ჭედია (ბელარუსი) | - |
| სიონი | სტურუა, თავბერიძე, ევოჩე, რაქვიაშვილი (მესხეთი), ქუთათელაძე, ა. ნოზაძე, მენთესაშვილი, კვიციანი, კოსტავა, ვაშაკიძე, გაგუა | კ. ჩხეტიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (ორივე მერანი), შ. ჯიქია (ბორჯომი), შავგულიძე (ტორპედო), კობაური (ამერი) |
| სპარტაკი | პარამონოვი, ჩირიკაშვილი, ტატაევი, კეტაშვილი, გოგოლაძე | - |
| მერანი | ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (ორივე სიონი), სევასტოპულო, მამარდაშვილი (ორივე მაღაროელი), სირბილაძე | - |
| ლოკომოტივი | ყენია (შალკე), გვარამაძე (კარიერა დაასრულა), ბობოხიძე | კაიდარაშვილი, ზ. ჩხეტიანი (ორივე მესხეთი), მ. ალავიძე (ოლიმპი) |
| დილა | დიქსონ ჩუკვუ, ლომაშვილი | ვარდოსანიძე, ბერიანიძე, გვეტაძე |
| ბათუმი | მამინაშვილი (რუსეთი), დარჩიძე | გ. თურმანიძე (მესხეთი) |

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

გამოხმაურება წერილზე

რატომ დაძაბუნდა ქართული ფეხბურთი?

# საქართველოს ტოპმიოლერის არ სჯერა



კლაუს ტოპმიოლერი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი სამარცხვინოდ ჩაატარა - 7 გუნდიან ჯგუფში მეექვსე ადგილი დაიკავა. ყველა ნაგებული თამაშის წინ სფფ-ის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** და ნაკრების მთავარი მწვრთნელი გვარწმუნებდნენ, რომ შეხვედრას წარმატებით ჩაატარებდნენ. მატჩების შემდეგ კი პრესკონფერენციებზე თუ ახალკაცი დუმდა ხოლმე, **ტოპმიოლერი** ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდა, რომ ყველაფერი წინ იყო და საქართველოს ნაკრები სწორ გზაზე იდგა.

მდგომარეობა არც ამხანაგურ შეხვედრებში გამოსწორებულა. საქართველოს ნაკრებმა 13 ამხანაგური მატჩი ჩაატარა - 4 მოგება, 4 ფრე და 5 წაგება, ბურთების შეფარდება უარყოფითია - 10:14. განსაკუთრებით გამოვყოფთ ლატვიის ნაკრებთან შინ გამართულ ამხანაგურ შეხვედრას, რომელიც 1:3 წავაგეთ. ამ თამაშიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენმა სტუმრებმა ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს, გამოირჩეოდნენ ფიზიკური მომზადებით, სისწრაფით, კარში ხშირი და ზუსტი დარტყმებით.

ტოპმიოლერის "ადვოკატები", განსაკუთრებით კი ნოდარ ახალკაცი, ამტკიცებენ, რომ ჰერ კლაუსი სრულიად ახალ გუნდს აყალიბებს და ამიტომ აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს. ორი წელიწადია, ძიების პროცესი გრძელდება, მაგრამ ოპტიმალური და სტაბილური შემადგენლობა ვერ დაუდგენიათ. როგორ შეიძლება, თამაშის ბოლომდე ათამაშო ჯერ კიდევ გამოუცდელი და სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელები **ყენია** და **მჭედლიძე**? მართალია, მათ შოტლანდიის ნაკრებთან კარგი თამაში აჩვენეს, მაგრამ ლატვიის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრისას უკვე არ ეყოთ გამოცდილება - ორივე ფსიქოლოგიურად დათრგუნული აღმოჩნდა. მათ ვერ გაუძლეს შეხვედრის ტემპს და არ წაუვიდათ თამაში.

მწვრთნელის ოსტატობა, ხელოვნება, პროფესიონალიზმი და პედაგოგიური ალღო დაფუძნებულია არა მხოლოდ იმაზე, რომ ფეხბურთელი აღზარდოს და საბოლოო კონდიციამდე მიიყვანოს, არამედ მან ხელიდან არ უნდა გაუშვას შესაფერისი მომენტი და თავის დროზე ჩართოს ახალგაზრდა ფეხბურთელი სათამაშო ბატალიებში, მისცეს მას თავის გამოჩენის საშუალება.

ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს ახსოვთ **ავთანდილ ჭკუასელი**, რომელიც **მიხაილ იაკუშინმა** თანდათანობით შეაჩვია დიდ ფეხბურთს. იაკუშინს ის "დინამოში" გამოჰყავდა ხოლმე შეხვედრის მეორე ნახევარში და გეგმაზომიერად აჩვევდა მაღალ დონეს. მწვრთნელის მცდელობას და ავთანდილ ჭკუასელის მონდომებას უშედეგოდ არ ჩაუვლია და მან არა მარტო თბილისის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში დაიკვიდრა ადგილი, არამედ 1952 წელს საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებშიც მოხვდა. ის პირველი ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდა და მიიღო მონაწილეობა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში.

გავიხსენოთ **მიხეილ მესხი**, რომელსაც დიდ ხანს მოუწია სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ჯდომა. საკმარისი იყო, **ანდრო ჟორდანიას** ერთხელ შეეხედა მისი თამაშისთვის, რომ ინტუიციით დარწმუნებულიყო მიშას მომავალში, რომ ის მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს განაცვიფრებდა და სუპერვარსკვლავი გახდებოდა...

თუ **მამუკა კვარაცხელიას** სტატისტიკურ ინფორმაციას დავეყრდნობით, მაშინ გამოდის, რომ ჰერ კლაუსმა ორი წლის განმავლობაში საქართველოში მხოლოდ ორი თვე გაატარა. გასაოცარია, თუ რა მეცნიერულ მეთოდებს ფლობს ტოპმიოლერი, რომელთა გამოყენებით იგი გერმანიიდან მაგიური მეთოდით მართავს საქართველოს ნაკრების წევრთა საერთო მზადებას.

სფფ-ის პრეზიდენტი ახალკაცი ხშირადაა გერმანიაში, ნაცვლად იმისა, რომ საქართველოში არეგულირებდეს და წყვეტდეს ყველა პრობლემურ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია ფეხბურთის განვითარებასთან და მის ალმავლობასთან.

ადრე ქართველი ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ მაღალი ტექნიკითა და ტაქტიკით, კომბინაციური თამაშით და იმპროვიზაციით. ისინი გამოდიოდნენ რა სათამაშოდ, ქმნიდნენ საკუთარ, დამოუკიდებელ და სხვებისგან გამორჩეულ სტილს. ყველა ჩამოთვლილ საფეხბურთო კომპონენტთან ერთად, ათლეტური აღნაგობითაც გამოირჩეოდნენ და მათ "დიდ ურუგვაელებს" უწოდებდნენ. ასე რომ, ქართველი ფეხბურთელები სამხრეთამერიკული სკოლის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. ამჟამად ჩვენი ფეხბურთელები თამაშობენ რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში, გერმანიაში, ინგლისში და ა.შ. სადაც თანდათანობით კარგავენ ქართველი ფეხბურთელებისთვის დამახასიათებელ სტილს, ტრადიციებს და ძალაუნებურად ეგუებიან ძალოვანი ფეხბურთის თამაშს. ხშირია შემთხვევები, როდესაც კლუბებში ჩვენი ლეგიონერები ტრავმებს იღებენ და გარკვეული დროის განმავლობაში მკურნალობასა და რეაბილიტაციას გადიან.

გერმანიის ბუნდესლიგაში მხოლოდ **ლევან კობიაშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი** თამაშობენ, თანაც ორივე კარგ სპორტულ ფორმაშია. დანარჩენი ქართველი ფეხბურთელები - **გიორგი ონიანი, ილია კანდელაკი, გიორგი სეთურიძე, დავით სირაძე** და **მათე ღვინიანიძე** მეორე ბუნდესლიგის გუნდებში არიან, მაგრამ მათ ძალზე იშვიათად უწევთ ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა, ზოგიერთი კი განაცხადშიც კი ვერ ხვდება.

ცნობილი გახდა, რომ "ზესტაფონის" ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა** ჩეხეთის "მლადაშია" გასხვისებული, მაგრამ მისი ტრანსფერის საკითხი საიდუმლოებითაა მოცული, არავინ იცის რამდენადაა გასხვისებული და ვის ანგარიშზე უნდა მოსულიყო თანხა...

საკმაოდ გაურკვეველია ქართველ ფეხბურთელთა გადინება საზღვარგარეთის ქვეყნებში და მათი ტრანსფერის საკითხი. არ ვიცით, რა გარიგებაზე წავიდა კლაუს ტოპმიოლერი გერმანიის საფეხბურთო კლუბ "შალკესთან", როდესაც მათ თავისი ხელით ჩააბარა ლევან ყენია. არადა, გერმანიაში გამეფებული ძალისმიერი თამაში ლევანისთვის, ვფიქრობ, დამღუპველი იქნება. უფრო სწორი იქნებოდა მისი ესპანეთში გამგზავრება, სადაც დაწყებითი სწავლების საფეხბურთო სკოლა გაიარა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პირადად მისი პრეზიდენტის პროფესიულმა დამოკიდებულებამ ქუთაისის "ტორპედო", ლანჩხუთის "გურია" და ფოთის "კოლხეთი" იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ამ გუნდებმა, რომლებიც ადრე კარგი ფეხბურთელებს ზრდიდნენ და ქართულ ფეხბურთში ამინდს ქმნიდნენ, დაიშალნენ და ეროვნულ ჩემპიონატში აღარ მონაწილეობენ. ისეთი პირი უჩანს, რომ მათ გზას შეიძლება სხვა გუნდებიც დაადგნენ.

**ბადრი პატარკაციშვილის** უდროო და მოულოდნელმა გარდაცვალებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს თბილისის "დინამოს" შემდგომ გამოსვლებზე. იგი არა მარტო სპორტკლუბ "დინამოს" პრეზიდენტი, არამედ, მისი დამფინანსებელიც იყო. სწორედ მისი დამსახურება იყო, როდესაც თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ფეხბურთის საუცხოო მცოდნე სპეციალისტი, ხორვატი **ივო შუშაკი**, სულ მალე იგი შეთავსებით საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. მან რუსეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ, 2003 წლის მაისში, კარგად მოამზადა ჩვენი ნაკრები, მოკლე ვადებში დაადგინა ოპტიმალური შემადგენლობა, რომელიც ტექნიკურად, ტაქტიკურად, სტრატეგიულად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სრულ მზადყოფნაში იყო. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ რუსეთთან მატჩში მონაწილე 14 ფეხბურთელიდან 6 თბილისის "დინამოდან" იყო.

შუშაკის მოსვლამდე საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა 30 და 30 წელს გადაცილებული იყო და ისინი გამძლეობითაც არ გამოირჩეოდნენ. მან გააახალგაზრდავა ნაკრები, დააკომპლექტა სწრაფი, აგრესიული და შემტევი სტილის ფეხბურთელებით, რომლებსაც უნარი გააჩნდათ მაღალი ტექნიკისა და ფიზიკური მონაცემების წყალობით ერთნაირი დატვირთვით ეთამაშათ როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში.

რუსეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ მორალური და მატერიალური თვალსაზრისით დიდი სტიმული იყო პატარკაციშვილის გადაწყვეტილება, - გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ფეხბურთელების 100 ათასი ლარით დაჯილდოების შესახებ. ჩვენი ფეხბურთელების გუნება-განწყობაზე, ცხადია, ამან გარკვეულწილად კატალიზატორის როლი ითამაშა და შედეგმაც არ დააყოვნა - მრისხანე მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 1:0. ამ შეხვედრაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა იმ დროისთვის ჩვენი ნაკრების დებიუტანტი, ნახევარმცველი **მალხაზ ასათიანი**, რომელმაც მაღალ ნახტომში თავით რუსთა კარში ლამაზი ბურთი გაიტანა.

საჭიროა, საქართველოს ნაკრებს და პროფესიულ კლუბებს ჰყავდეთ მდიდარი სპონსორები და ეს ყველაფერი სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე წყდებოდეს.

ახლახან შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია - კავშირი "ჩვენი ფეხბურთი", რომლის დამფუძნებლები არიან **მიხეილ ყაველაშვილი** (კავშირის თავმჯდომარე), **გოჩა ჯამარაული** და **ლევან ყიფიანი**. ახალი კავშირი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალტერნატივად მოიაზრება, რომლის მთავარი მიზანია ქართული ფეხბურთის გაჭიანურებული კრიზისიდან გამოყვანა.

დამფუძნებლებისა და მათი მხარდამჭერების უპირველესი მოთხოვნაა ჩატარდეს სფფ-ის რიგგარეშე ყრილობა იმისათვის, რომ აღდგეს სამართლიანობა, კავშირი მოითხოვს რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას დემოკრატიულ საწყისებზე, სხვა ძალების ჩარევისა და ზემოქმედების გარეშე. კავშირის სხდომაზე აღინიშნა კლაუს ტოპმიოლერისა და მისი შტაბის წევრთა არაპროფესიონალიზმი, მათ საარაკო ანაზღაურება და ის კატასტროფული მდგომარეობა, რაც შეიქმნა ქართულ ფეხბურთში, რომელიც თანდათანობით კნინდება და უფსკრულისკენ მიექანება. ასე რომ, დადგა დრო, სფფ-ის პრეზიდენტად არჩეული იქნეს ფეხბურთისა და საქართველოს პატრიოტი, შექმნილი პრობლემების გადაწყვეტის ორგანიზატორი და სფეხბურთო საქმეების კოორდინატორი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, სპორტსმენებთან შეხვედრისას, საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** განაცხადა, რომ *"ჩემი ერთ-ერთი მიზანი საქართველოს ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე გაყვანაა"*... და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ სრული უფლება გვაქვს პრეზიდენტს მივმართოთ, რომ მან პირად კონტროლზე აიყვანოს ქართულ ფეხბურთში შექმნილი პრობლემების გადაწყვეტა-მოგვარების საკითხები, ხელი შეუწყოს საქართველოში ფეხბურთის კულტის დამკვიდრებას, ფეხბურთის აღორძინებას, განვითარებასა და აყვავებას.

დასასრულს ტოპმიოლერს მივმართავთ გერმანულ ენაზე: Herr Klaus! Kerspielen, kerspielen... weh tun. Schneel wegfahren nach hause und empfehlen mich.

ჰერ კლაუს! წაგება, წაგება... ნუ გვაყენებ ტკივილს. ჩქარა დაბრუნდით შინ და ნება მოგვეცით დაგემშვიდობოთ.

**გურამ ჩხიკვაძე**

## დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში იწვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# რეალი: რობინიოთი და დაცვის პრობლემებით

## დღეს პორტუგალიაში მირკო სლომკას ბედი წყდება...



ავრამ გრანტი შეეცდება, კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ საუბრები ჩელსიში არსებული კრიზისის შესახებ უსაფუძვლოა

### ჩელსი-ოლიმპიაკოსი (0:0)

ამ გუნდების პირველი მატჩი უსახური სანახავი გამოდგა. მეტოქეებს კარისკენ თითქმის არ გაუხედავთ. საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ "არისტოკრატებმა" "ტოტენჰემთან" ლიგის თასის ფინალი წააგეს. იქამდე "ლივერპულთან" 0:0 იყო. სამი წარუმატებელი მატჩის გამო **ავრამ გრანტი** მკაცრად გააკრიტიკეს. ასეთი რამ მისი "ჩელსიში" დანიშვნის შემდეგ პირველად მოხდა. ამ უქმეებზე "ვესტ ჰემის" განადგურებამ (4:0) მდგომარეობა ოდნავ განმუხტა. ახლა "ოლიმპიაკოსის" ჯერია.

შაბათის დერბიში "არისტოკრატებმა" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარეს. გუნდმა შემტევი ფეხბურთი ითამაშა და მეტოქეს პირველსავე ნახევარში მოუთავა ხელი. გრანტს იმედი აქვს, რომ დღევანდელი მატჩიც ანალოგიური სცენარით წარიმართება. **ჯო კოული** და **მიხაელ ბალაკი**, რომელთაც ლიგის თასის ფინალში არ უთამაშიათ, ხოლო "ვესტ ჰემს" თითო გოლი გაუტანეს, ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. ძირითადში მოხვედრა კიდევ ერთ ფეხბურთელს აქვს გარანტირებული - კაპიტან **ჯონ ტერის**. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ტერიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ვესტ ჰემთან" მატჩისას გამოჩნდა, რომ სპეკულაციები გუნდში არსებული დაძაბულობის შესახებ უსაფუძვლოა. ნუ დაიჯერებთ იმას, რასაც ჩვენ შესახებ წერენ და ლაპარაკობენ. ძნელი კვირა გვქონდა, მაგრამ ყველაფერი სწრაფად მოგვარდა. მსგავსი პორბლემებისაგან არავინაა დაზღვეული. მთავარია, მათი სწრაფად გადაწყვეტა მოხერხდეს. "ჩელსიმ" დაამტკიცა, რომ ეს შეუძლია."*

ავრამ გრანტმა ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი უმთავრესი ამოცანა ჩემპიონთა თასის დაუფლებაა. ლიგის თასის დათმობის შემდეგ, ლონდონელები სამი ტიტულისათვის იბრძვიან. მას ინგლისის ჩემპიონატშიც საკმაოდ კარგი შანსები აქვთ. პრემიერლიგის დასრულებამდე ათი ტურით ადრე "არისტოკრატებს" მესამე ადგილი უკავიათ და ერთპიროვნული ლიდერის, "არსენალისაგან" შვიდი ქულა ჰყოფთ. მათ ერთი თამაში თადარიგში აქვთ, ამას გარდა, "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა უმასპინძლონ და კიდევ ამ ორმა ლიდერმა "ოლდ ტრეფორდზე" უნდა გაარკვიოს ურთიერთობა. როგორც ხედავთ, შანსები რეალურია, მაგრამ გრანტი ამბობს, რომ ინგლისის ჩემპიონობაზე მეტად ჩემპიონთა თასის დაუფლება სურს. **ჟოზე მოურინიომ**, რომელიც კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, სწორედ ევროპული ტიტულის დაუფლება ვერ მოახერხა.

ორიოდე სიტყვას "ოლიმპიაკოსის" შესახებაც მოგახსენებთ. გუნდს ინგლისში შვიდი მატჩი აქვს ჩატარებული. სტატისტიკა სავალალოა: ბერძნებმა შვიდივე შეხვედრა წააგეს, თანაც მინიმუმ ორი ბურთის სხვაობით, 24 გოლი გაუშვეს და მხოლოდ ერთი გაიტანეს. "ოლიმპიაკოსი" ლონდონს შესუსტებული თავდასხმით ეწვია. "ასტერასთან" ბოლო ტურის მატჩში (1:1) "ნიუკასლისა" და "პორტსმუთის" ყოფილმა ფორვარდმა **ლომანა ლუალუამ** მხარი ამოიგდო. ის გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა ფეხბურთს. ტრავმის გამო "ჩელსისთან" შეხვედრას გამოტოვებს არგენტინელი გარემარბი **ლუსიანო გალეტი**. მეკარე **ანტონის ნიკოპოლიდისი**, რომელსაც გასულ უქმეებზე არ უთამაშია, ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება. დისკვალიფიკაციათა გამო ამ თამაშს არავინ გამოაკლდება. "არისტოკრატთა" გუნდში, ერთი გაფრთხილება აქვს ნახევარმცველ **მიკაელ ესიენს**. მორიგი ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაში, განელ ვარსკვლავს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესჯება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, რიკარდო კარვალიო, ტერი, ეშლი კოული, ბალაკი, ესიენი, ლემპარდი, ჯო კოული, დროგბა, კალუ.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჟევლაკოვი, ჟულიო სეზარი, ანცასი, პანტოსი; ლედესმა, ტოროსიდისი, ჯორჯევიჩი, მენდრინოსი, სტოლტიდისი, კოვაჩევიჩი.

**მსაჯი:** მანუელ გონსალესი (ესპანეთი)

### რეალი-რომა (1:2)

მადრიდელებს ერთბურთიანი დეფიციტი აქვთ აღმოსაფხვრელი. ისინი ამის გაკეთებას რობინიოს დახმარებითა და დაცვაში უშეცდომო თამაშით აპირებენ. ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ტრავმა მოიშუშა. ორკვირიანი პაუზის შემდეგ ის "რეკრეატივოსთან" მატჩში დაუბრუნდა მინდორს. შაბათს სამეფო კლუბმა 3:2 გაიმარჯვა. რობინიო შეცვლაზე შევიდა და დუბლი გამოაცხო. ის კარგ ფორმაშია. **რობინიოს** კარგ თამაშს ორმაგი ფასი აქვს. მადრიდელებს საუკეთესო ბომბარდირი **რუუდ ვან ნისტელროოი** დაუშავდათ. რომაელებთან მისი ასპარეზობა საეჭვოა. "რეკრეატივოსთან" შეხვედრაში სერიოზული ტრავმა მიიღო კიდევ ერთმა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა, **არიენ რობენმა**. მას რამდენიმე კვირა გაუცდება.

"მარკასთან" საუბრისას, "რეალის" ვიცე-კაპიტანმა **ხოსე მარია გუტიერესმა რობინიოს** შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. რობინიო გუნდს ჰაერივით სჭირდება. როცა მოედანზეა, დანარჩენები მშვიდად ვართ. რობინიოს თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. ის ნამდვილი ფენომენია."*

"რეალმა" ორი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს. პირველი: გაიტანოს მინიმუმ ერთი გოლი. და მეორე: მეტოქის იერიშები აღკვეთოს. "ჯალოროსის" იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ჰყავს. სერია A-ს 26 მატჩში გუნდმა 46 გოლი შეაგდო. მასზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ერთპიროვნულ ლიდერ "ინტერს" აქვს. ბოლო ტურში "რომამ" "პარმას" ოთხჯერ ასიამოვნა. დედაქალაქელებმა "ინტერთან" სხვაობა ექვს ქულამდე დაიყვანეს.

**ლუჩანო სპალეტის** შეგირდებს მადრიდელთა დამწუხრებაც შეუძლიათ. "რეალის" დაცვა ბოლო მატჩებში უხეშად სცოდავს. მასპინძლებს წამყვანი ცენტრალური მცველი **სერხიო რამოსი** არ ეყოლებათ. ის დისკვალიფიცირებულია. ძირითად შემადგენლობაში პორტუგალიელ **პეპეს** ვიხილავთ. ამ ბიჭმა ტრავმა ეს-ესაა მოიშუშა. მას ერთი თვეა, არ უთამაშია. სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ "რეალმა" "რომას" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული ბოლო სამი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოუგო (ვგულისხმობთ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს).

ერთი წლის წინ, ლიგის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში, "რომამ" "მანჩესტერ იუნაიტედი" 2:1 დაამარცხა (ისევე, როგორც "რეალი" ორი კვირის წინ). შემდეგ ინგლისში ჩავიდა და საშვილიშვილოდ შერცხვა - 1:7. ეს იმას ნიშნავს, რომ "ჯალოროსის" სიფრთხილე მართებს. 2002 წლის ოქტომბერში, ლიგის ჯგუფურ ტურნირში, იტალიელებმა ესპანეთში მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. ის ერთადერთი გოლი **ფრანჩესკო ტოტიმ** გაიტანა. დღეს რომაელი კაპიტანი კიდევ ერთი გოლის გატანას აპირებს: *"მორიგ გოლზე უარს არ ვიტყოდი. ვფიქრობ, წარმატების კარგი შანსი გვაქვს. მთავარია, "რომამ" თავისი საუკეთესო ფეხბურთი აჩვენოს."*

საგულისხმო დეტალი: მადრიდულ გრანდს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ზედიზედ სამი წელია, არ უთამაშია. 2005, 2006 და 2007 წლებში "რეალი" გათამაშებას ფლეი ოფის პირველსავე რაუნდში გამოეთიშა ("იუვენტუსთან" დამატებით დროში, "არსენალსა" და "ბაიერნთან"). სამეფო კლუბისათვის ეს წარმოუდგენელი შედეგია. ბერნდ შუსტერი წარუმატებელი სერიის დასრულებას აპირებს.

რომაელებს წამყვანი მცველი **მარკო კასეტი** არ ეყოლებათ. მან მხარი იღრძო. ტრავმა აწუხებს კიდევ ერთ მცველ **ჟუანს**. საეჭვოა ჩილელი ნახევარმცველის, **დავიდ პისაროს** თამაში. თუ ჟუანი და პისარო ვერ გამოჯანმრთელდებიან, მათ ადგილს მატეო ფერარი და ალბერტო აკვილანი დაიკავებენ. სიფრთხილე მართებთ **მირკო ვუჩინიჩსა** და **სიმონე პეროტას**. მათ თითო ყვითელი ბარათი მიღებული აქვთ და მორიგი გაფრთხილების შემთხვევაში, მომდევნო მატჩს გამოტოვებენ.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი:** კასილიასი, მიგელ ტორესი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, დიარა, გაგო, გუტი, რობინიო, რაული, ვან ნისტელროოი (ან ჟულიო ბაპტიშტა).

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსესი, ჟუანი (ან ფერარი), ტონეტო, ტადეი, დე როსი, დავიდ პისარო (ან აკვილანი), პეროტა, მანსინი, ტოტი.

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

### პორტო-შალკე (0:1)

ეს მატჩი გერმანელთა მთავარი მწვრთნელის, **მირკო სლომკასათვის** ბოლო შანსია. თუ გელზენკირხენელები ჩემპიონთა ლიგიდან გავარდებიან, მას ბარგის ჩალაგება მოუწევს. სლომკას შეგირდებმა ბუნდესლიგაში ზედიზედ სამჯერ წააგეს. გასულ უქმეებზე, "შალკე" შინ "ბაიერნთან" დამარცხდა (0:1). გუნდმა სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესა. ის მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა. "შალკე" მესამეადგილოსან "ჰამბურგს" ექვსი ქულით ჩამორჩა. ჩემპიონობას ვინლა ჩივის, ის შეიძლება ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩეს. გერმანელი მიმომხილველები ამბობენ, "პორტუსთან" მატჩი რომ არა, მწვრთნელი მინიმუმ ერთი კვირის დათხოვნილი იქნებოდაო. სლომკას მეოთხედფინალში გასვლის იმედი აქვს: *"ბრძოლისათვის მზად ვარ. მინდა, დავამტკიცო, რომ "შალკეში" მუშაობას ვიმსახურებ."*

"შალკე" ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფის დებიუტანტია. მას პორტუგალიაში უმძიმესი მატჩი ელოდება. სტატისტიკის თანახმად, "პორტუ" საკუთარ მოედანზე შთამბეჭდავად თამაშობს. მიმდინარე გათამაშებაში, გუნდმა ჯგუფური ტურნირის ორი მატჩი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა. ჩემპიონთა ლიგაში, "დრაგაოზე" გამართული ბოლო 19 შეხვედრიდან კი მხოლოდ ერთი წააგო. დანარჩენ 18 მატჩიდან ცხრა მოიგო და ცხრა ფრედ დაასრულა. დღეს მას მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. თუ სტატისტიკას კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ ფრედ დასრულებული ცხრა შეხვედრიდან ხუთში გოლი არ გასულა. "პორტუმ" აუცილებლად უნდა დაამწუხროს მეტოქე, მინიმუმ ერთხელ მაინც, რომ შეხვედრაში დამატებით დროში გადაიყვანოს.

"შალკემ" ლიგის წლევანდელ გათამაშებაში სტუმრად სამი შეხვედრა ჩაატარა: ერთი მოიგო ("რუსენბორგთან"), ერთი წააგო ("ჩელსისთან") და ერთი ფრედ დაასრულა ("ვალენსიასთან"). "პორტუს" გელზენკირხენთან ბოლო წლების საუკეთესო მოგონება აკავშირებს. 2004 წელს მან ჩემპიონთა თასი სწორედ ამ ქალაქში მოიპოვა. ორი კვირის წინ, იმავე სტადიონზე **ჟესუალდო ფერეირას** გუნდმა მინიმალური ანგარიშით წააგო და ახლა სწორედ იმ გოლის გაქვითვა სჭირდება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ:** ელტონი, ჟოაო პაულუ, პედრო ემანუელი, ბრუნო ალვეში, ფუსილე, ლუჩო გონსალესი, პაულუ ასუნსაო, რაულ მეირელესი, ლისანდრო ლოპესი, კვარეშმა, ფარიასი.

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯოუნსი, ერნსტი, კობიაშვილი, რაკიტიჩი, ასამოა, კურანი.

**მსაჯი:** ჰოვარდი ვები (ინგლისი)



მირკო სლომკას ბედი დღეს, პორტუსთან მატჩისას გადაწყდება

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჯორჯ ჯილეტს ლივერპულის გაყიდვა სურს, ტომ ჰიკსი მის გეგმას ეწინააღმდეგება და თავად ცდილობს კლუბის დაუფლებას

ინტერვიუ იკერ კასილიასთან

# თუ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ, რომას შანსი არ ექნება

## რეალის მეკარე იტალიელებს ჯეროვნად აფასებს და ტოტის, დე როსისა და მანსისნის ტრიოს ადიდებს

დღეს "რეალს" სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩი აქვს. სამეფო კლუბმა "რომას" ნებისმიერ ფასად უნდა მოუგოს. მოგეხსენებათ, "ოლიმპიკოზე" ჩატარებული პირველი მერვედფინალური დაპირისპირება იტალიელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა. სტუმრად გატანილი გოლი ესპანურ გრანდს მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგ შანსს უნარჩუნებს. მართლაც, მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინ "დიარიო ასის" კორესპონდენტი ულისეს ფლორი იკერ კასილიასს შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა...

**- ოთხშაბათს დაძაბული შეხვედრა გელით. "რეალის" ყველა გულშემატკივარი მოუთმენლად ელის მსაჯის სასტვენს.**

- არ დაგიმალავთ, მოუთმენლობა მეც დამჩემდა. ერთი სული მაქვს, მოედანზე როდის გავალთ. ასეთი დღეები დაუვიწყარია. "რეალის" უკლებლივ ყველა ინჩასი ელის, რომ ძალას მოვიკრებთ და "რომას" დავამარცხებთ. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგას ჩვენი გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ამ შეხვედრებზე "სანტიაგო ბერნაბეუზე" განსაკუთრებული ატმოსფეროა. მიხარია, რომ სამეფო კლუბის ირგვლივ უამრავი ადამიანია გაერთიანებული და თითოეული მათგანი უდიდესი ვნებითაა აღსავსე.

**- ქუჩებში თუ იგრძნობა, რომ ოთხშაბათს "რეალს" სასიცოცხლო შეხვედრა აქვს?**

- რა თქმა უნდა. ამას მადრიდის ყველა კუთხეში შეიგრძნობთ. რომელ ბარშიც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან "რეალისა" და "რომას" დაპირისპირებაზე საუბრობენ. მართალია, მე იშვიათად დავდივარ ბარებში, მაგრამ მეგობრებისგან ვიცი, რომ უდიდესი მოლოდინია. გასაოცარი მოტივაცია, ალბათ, იტალიაში წაგებამ განაპირობა. "ოლიმპიკოზე" რომ მოგვეგო, განმეორებით დაპირისპირებას, რა თქმა უნდა, ასეთი ინტრიგა არ ექნებოდა. პრინციპში, მერჩივნა, იქ მოგვეგო და ახლა თავი ქუდში გვქონოდა, მაგრამ არა უშავს, წარსულს ვერ შევცვლით. მთავარია, რომ სამეფო კლუბი საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდეა დარწმუნებული. ბოლო ოთხი წელია, ჩემპიონთა ლიგის უპირობო ფავორიტები არ ვყოფილვართ. გუნდის გამოცოცხლება, რა თქმა უნდა, ძალიან მახარებს.

**- თავადაც აღნიშნეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებზე "ბერნაბეუზე" აბსოლუტურად განსხვავებული ატმოსფერო სუფევს. როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტს რა განაპირობებს?**

- საქმე ის არის, რომ პრიმერა დივიზიონის მატჩებს, ძირითადად, მხოლოდ სოსიოები და მათი ახლობლები ესწრებიან. ჩემპიონთა ლიგაზე კი ე.წ. ქუჩის ხალხი შემოდის. ეს ის ხალხია, რომელსაც ხმამაღალი გულშემატკივრობა და ყვირილი უყვარს. ისინი ცდილობენ, საათნახევრის განმავლობაში ფეხბურთით იცოცხლონ. პრიმერადივიზიონური დაპირისპირებები, ამ თვალსაზრისით, მართლაც განსხვავდებიან, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ესპანეთის ჩემპიონატში არ გვქომაგობენ.

**- შესწევს "რეალს" იმის უნარი, რომ მერვედფინალური დაბრკოლება გადალახოს?**

- გუნდი ამ მიზნით ცოცხლობს. ბოლო სამი წლის განმავლობაში მერვედფინალს ვერ გავცდით, მაგრამ ახლა დარწმუნებულები ვართ, რომ "რომას" დავამარცხებთ და ბრძოლას გავაგრძელებთ. ამით ევროპაში დაკარგულ პატივისცემას დავიბრუნებთ. არაბუნებრივია, რომ სამეფო კლუბს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემპიონთა თასი აღარ მოუპოვებია. ამას იმის მიუხედავად ვამბობ, რომ ჩვენს გუნდს 1998 წლამდე 32-წლიანი ჩავარდნა ჰქონდა. ვგონებ, ციფრებისა და სტატისტიკის ქექვა საჭირო არ არის. დადგა დრო, როცა ექვსწლიან წარუმატებლობებს წერტილი უნდა დავუსვათ და მადრიდში მეათე თასი ჩავიტანოთ. ამისათვის კი ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულია საჭირო. ასე რომ, ფრონტის მთავარი ხაზი ახლა "რომაზე" გადის.

**- ალბათ, გახსოვთ, რომ "რომა" "სანტიაგო ბერნაბეუს" გოლის გატანის გარეშე არასოდეს ტოვებს...**

- რა თქმა უნდა, მახსოვს. ის შეხვედრაც არ მავიწყდება, როცა რომაელები ორი ბურთით დაწინაურდნენ და თამაშის გადასარჩენად უდიდესი ძალისხმევა დაგვჭირდა. იმედია, ამჯერად ტრადიცია დაირღვევა.

**- პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში "რეკრეატივოს" დამარცხებამ, სამი ქულის გარდა, რა შეგძინათ?**

- პირველ ყოვლისა, თავდაჯერება. მანამდე მცირე დროში მრავალი ქულა გავფლანგეთ, ამიტომ უელვაში მოპოვებული გამარჯვება მართლაც განსაკუთრებული იყო. მჯერა, თავდაჯერებას არ დავკარგავთ და "რომასაც" დავამარცხებთ.

**- "რომაზე" კიდევ რას გვეტყვით, იტალიელები აშკარად კარგ ფორმაში არიან. გასულ უქმეებზე მათ "პარმა" გამანადგურებელი ანგარიშით, 4:0 დაამარცხეს.**

- სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად ჩემი გუნდის მდგომარეობა მაინტერესებს. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ "რეალი" შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს, "რომას" შანსი არ ექნება.

**- ტოტის განსაკუთრებით უნდა უფრთხილდეთ?**

- არა მარტო ტოტის, ჩვენ მთელი გუნდი უნდა დავაფასოთ. ვფიქრობ, "რომა" ძალიან საშიში კლუბია, უფრო სწორად, პატივსაცემი. ტოტის კი გენიალურ ფეხბურთელს უწოდებენ.

**- თქვენი აზრით, ტოტი "რომასთვის" ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც რაული "რეალისთვის"?**

- რა თქმა უნდა. ტოტი "რომას" სიმბოლოა. ათასობით გულშემატკივრის კუმირი. ბავშვობიდან ამ გუნდში თამაშობს.

**- მანსინიზე რას გვეტყვით?**

- მას "რომას" რობინიოს ვუწოდებდი. ისიც დიდი ფეხბურთელია. სხვათა შორის, დე როსისაც გამოვყოფდი. პანუჩის კოლოსალური გამოცდილებაც არ უნდა დაგვავიწყდეთ. მოკლედ, ამ ბიჭების წყალობით "რომა" თავმოყვარე ფეხბურთს თამაშობს.

**- პირველ შეხვედრაში აშკარად უკეთ ითამაშეთ, მაგრამ იტალიელებმა გაიმარჯვეს. თქვენი აზრით, "ბერნაბეუზე" "რომა" როგორ ფეხბურთს შემოგთავაზებთ?**

- მათ ერთბურთიანი უპირატესობა აქვთ და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. არ მგონია, უფლება მოგვცენ, ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. პრინციპში, გოლი აღარ სჭირდებათ და, სავარაუდოდ, დაცვას უფრო დიდ ყურადღებას დაუთმობენ. იტალიელებს დაცვაში თამაში კარგად ეხერხებათ და კონტრიერიშის მოწყობის შესაძლებლობა თუ ექნებათ, შანსს ხელიდან არ უშვებენ. ასე რომ, სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ.

**- სხვათა შორის, ფაბიო კაპელომ სპალეტის ურჩია, თამაში კონტრიერიშებზე ააწყოს. თქვენი ყოფილი მწვრთნელის ინტერვიუ "ლა გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნდა.**

- კაპელო ამას ტყუილად არ იტყოდა.

**- როგორ ფიქრობთ, მერვედფინალურ დაბრკოლებას თუ გადალახავთ, 21 მაისს, მოსკოვში ითამაშებთ?**

- რატომაც არა. ჩვენ სწორედ ამ მიზანს ვისახავთ. გვსურს, მოსკოვში ჩავიდეთ და ფინალში ვითამაშოთ. წინა წლებში "იუვენტუსმა", "არსენალმა" და "ბაიერნმა" გვაჯობეს. ვგონებ, საკმარისია. ახლა დროა, ჩვენ გავიმარჯვოთ.

**- წინა წლებში ხელმოცარულები რატომ რჩებოდით?**

- იმიტომ, რომ ცუდად ვთამაშობდით. მოწინააღმდეგები კი ჩვენ სისუსტეებს კარგად იყენებდნენ. მას შემდეგ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა და ახლა "რომას" დამარცხებაზე ვფიქრობთ. მომავალ უქმეებზე კი პრიმერა დივიზიონშიც უნდა გავიმარჯვოთ და "ბარსელონას" 8 ქულით გავასწროთ. განვლილ ტურებში დაშვებული შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ. მწარე გაკვეთილი ჭკუის სასწავლებლად გამოვიყენეთ.

**- არ დაგავიწყდეთ, რომ საჩემპიონთალიგო შეხვედრას სერიოზული საკადრო პრობლემებით ხვდებით.**

- სამწუხაროდ, მრავალმა ფეხბურთელმა მიიღო ტრავმა. ცხადია, ეს დიდი დანაკლისია, მაგრამ სათადარიგო მოთამაშეებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ მათაც შეუძლიათ უმაღლეს დონეზე ასპარეზობა. მადლობა ღმერთს, საკმაოდ ფართო შემადგენლობა გვყავს. ჩემი აზრით, ბერნდ შუსტერს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ საკადრო პრობლემები მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გადაჭრას.

**- ვან ნისტელროის გარეშე ძალიან გაგიჭირდებათ. გასული წლისგან განსხვავებით, წელს მას აღარ უმართლებს. ჰოლანდიელმა მიმდინარე სეზონში რადმენჯერმე მიიღო ტრავმა.**

- სამაგიეროდ, რაულს, რობინიოს, სნაიდერსა და ბაპტიშტას გააქვთ გოლები. სწორედ ამას მოგახსენებდით. ჩვენ მრავალი კარგი ფეხბურთელი გვყავს. რა თქმა უნდა, ვან ნისტელროი "რეალის" საკვანძო ფიგურაა, მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახა, რომ სამეფო კლუბს მისი ტრავმის პირობებშიც შეუძლია ღირსეულად თამაში.

**- სხვათა შორის, რობინიოს ტრავმა უფრო მტკივნეული და პრობლემატური აღმოჩნდა.**

- მას შემდეგ, რაც რობინიო დაშავდა, რამდენიმე ქულა დავკარგეთ. ასეთ დროს ყოველთვის ფიქრობ, ესა თუ ის ფეხბურთელი რომ გვყოლოდა, არ წავაგებდითო. თუმცა, შესაძლოა, რობინიოსთან ერთად მართლაც არ დაგვეკარგა ქულები. ბედნიერი ვარ, რომ ბრაზილიელი გამოჯანმრთელდა. უელვაში მან გადამწყვეტი როლი შეასრულა და გამარჯვება მოგვიტანა.

**- დისკვალიფიკაციის გამო სერხიო რამოსი ვერ დაგეხმარებათ.**

- ესეც დიდი დანაკლისია, თუმცა გადაუჭრელ პრობლემას ვერ ვხედავ. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო დაცვაში ხშირი ცვლილებების განხორციელება გვიხდება. არ დავმალავ, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ოპტიმიზმს ერთი რამ მმატებს, ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და ვიცით, დახმარების ხელი ვის როდის გავუწოდოთ.

**- თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ თებერვლის ავადსახსენებელ მატჩებში გაშვებული გოლებით გაცოფებული იქნებოდით.**

- რა თქმა უნდა, ძალიან გაბრაზებული და იმედგაცრუებულიც კი ვიყავი. საბედნიეროდ, გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა და ბიჭების დახმარებით განწყობა გავიუმჯობესე.

**- მაშინ ამბობდით, ამდენ გოლს უყურადღებობის გამო ვუშვებთო.**

- სრული ჭეშმარიტებაა. შეხვედრების შემდეგ ვიდეოჩანაწერს ვუყურებთ და ვხვდებით, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ჩვენ მიერვე დაშვებული შეცდომების გამო გააქვთ გოლები. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გულმოდგინედ ვმუშაობთ.

მოსალოდნელი გარიგება

# ლივერპული 800 მილიონად

## არაბულმა კომპანიამ ამერიკელ ინვესტორებს გარიგება შესთავაზა, ის პასუხს 24 საათში ელოდება...

არაბმა ინვესტორებმა "ლივერპულის" ამერიკელ ბოსებს კლუბის გაყიდვა შესთავაზეს. "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" მზადაა, 400 მილიონი გირვანქა (800 მილიონი დოლარი) გადაიხადოს. ისინი პასუხს 24 საათის განმავლობაში ელოდებიან. დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი საინვესტიციო კომპანიაა. ის დუბაის საემიროს მთავრობის ერთ-ერთი რგოლია და მომგებიან პროექტებში ფულის დაბანდებაზე მუშაობს. ინგლისური პრემიერლიგა და ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი მილიონების დასაბანდებლად იდეალური ადგილია. სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ არაბები მერსისაიდული გრანდის შეძენას აპირებენ, დიდი ხანია, ტრიალებს. ხსენებული კომპანია კლუბის შეძენას ერთი წლის წინაც ცდილობდა, მაგრამ "ლივერპულის" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არჩევანი **ტომ ჰიკსისა და ჯორჯ ჯილეტის** სასარგებლოდ გააკეთა. ამერიკელმა ინვესტორებმა "ლივერპულის" შესაძენად, 350-მილიონი დოლარის სესხი აიღეს.

ბრიტანელი მიმომხილველების ცნობით, მოლაპარაკებები ნელ ტემპში მიმდინარეობს. არაბებს 24 საათში სასურველი პასუხის მიღება გაუჭირდებათ. მოგეხსენებათ, მერსისაიდული კლუბი ორივე ამერიკელ მილიონერს თანაბრად ეკუთვნის. ჯორჯ ჯილეტი მზადაა, თავისი წილი დუბაელებს სარფიან ფასში მიჰყიდოს. ტომ ჰიკსს კი არათუ საკუთარი 50 პროცენტის გაყიდვა არ უნდა, აქეთ ცდილობ ჯილეტის წილის დაუფლებას, რათა კლუბის სრულფასოვანი მფლობელი გახდეს. საინტერესო ისაა, რომ 12 თვის წინ ჰიკსმა და ჯილეტმა "ლივერპულის" აქციებში 431 მილიონი დოლარი გადაიხადეს. მათვე იკისრეს კლუბის 89-მილიონიანი დავალიანების გასტუმრება და ახლა ლამის 300 მილიონით მეტის მოხვეჭა შეუძლიათ.



ჯორჯ ჯილეტს ლივერპულის გაყიდვა სურს, ტომ ჰიკსი მის გეგმას ეწინააღმდეგება და თავად ცდილობს კლუბის დაუფლებას

რეალი

# მიატოვიჩი დე როსითა და მანსინითაა მოხიბლული

## პედია: როგორც კი დროს გამოვნახავ, იტალიელებს ვეტყვი, რომ მათი ვარსკვლავების შეძენა მსურს

"რეალისა" და "რომას" საჩემპიონ-თალიგო შეხვედრის წინ იტალიურ და ესპანურ პრესაში საინტერესო ინფორმაცია გაჩნდა. "ლა გაძეტა დელო სპორტი" და "დიარიო მარკა" გვამცნობენ, რომ სამეფო კლუბი **დე როსითა** და **მანსინით** დაინტერესდა. როგორც ირკვევა, **პრედრაგ მიატოვიჩი** "რომას" ფეხბურთელების მენეჯერებს დაუკავშირდა და თანამშრომლობა შესთავაზა. ჯერჯერობით უცნობია, რა პასუხი მიიღო ესპანური გრანდის გენერალურმა მდივანმა. თუმცა თავად დაინტერესების ფაქტმა მედიაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. აღსანიშნავია, რომ "რეალის" მესვეურები ამ ორი მოთამაშით აღფრთოვანებას არასდროს მალავდნენ. მიატოვიჩმა ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომაული კლუბი ძირითადად სამ ფეხბურთელზე, **ფრანჩესკო ტოტიზე**, დანიელე დე როსისა და მანსინიზე დგასო. ძნელი წარმოსადგენია, საჩემპიონ-თალიგო პერიპეტიების გათვალისწინებით, ბატონმა პრედრაგმა იტალიელ კოლეგებთან ამ თემაზე სალაპარაკოდ დრო გამონახოს. თუმცა ეს დიდი პრობლემა არ უნდა იყოს. მიატოვიჩს ნებისმიერ წამს შეუძლია თვითმფრინავის ბილეთი შეუკვეთოს და იტალიისკენ აიღოს გეზი.

გუშინ ესპანურ გაზეთებში "რადიო ონდა სეროს" ეთერში "რეალის" გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული განცხადება გამოქვეყნდა. აი, რას ამბობს ის: *"ჩემი აზრით, დე როსი გენიალური ფეხბურთელია. მის შესახებ ბერნდ შუსტერს ვესაუბრე და აღმოვაჩინე, რომ იტალიელი მასაც ძალიან მოსწონს. თუ დანიელეს ჩვენთან გადმოვიბირებთ, "რეალი" მნიშვნელოვნად გაძლიერდება. ამ ბიჭს ნახევარდაცვასა და დაცვაში კარგად თამაში შეუძლია. არ დავმალავ, რომ მანსინითაც ვართ დაინტერესებულები. ბრაზილიელი უნიჭიერესია და კარგი იქნება, თუ კარიერას "სანტიაგო ბერნაბეუზე" გააგრძელებს. როგორც კი დროს გამოვნახავ, იტალიელებს დავუკავშირდები და პირდაპირ ვეტყვი, რომ მათი ვარსკვლავების შეძენა მსურს. წინასწარ ვიცი, მოლაპარაკება არ იქნება იოლი, თუმცა ჩვენ რთული ბრძოლები არაერთხელ მოგვიგია".*

ბოლო დროს **კარიმ ბენზემას** მოსალოდნელ ტრანსფერზეც ბევრს საუბრობდნენ. თუმცა ხსენებული რადიოს ეთერის საშუალებით მიატოვიჩმა გულშემატკივრებს უსიამოვნო ინფორმაცია მიაწოდა: *"ყველა გამოკითხვის თანახმად, ჩვენი ინჩასებისთვის ბენზემა ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოთამაშეა, მაგრამ მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ მისი შეძენის შანსი ფაქტობრივად, არ არსებობს. "ლიონის" ხელმძღვანელებს პირადად ვესაუბრებოდი, რა არ შევთავაზე მათ, მაგრამ საქმე მკვდარი წერტილიდან ვერ დავძარი. როგორც ჩანს, "ლიონი" ბენზემას დიდ იმედებს უკავშირებს. არც არის გასაკვირი, კარიმი სულ რაღაც 19 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს. მოკლედ, ფრანგებმა გადაჭრით მითხრეს, საინტერსო წინადადებისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებითო".*


ჩაბი ალონსო

"რეალზე" საუბარს **არიენ რობენის** ტრავმით დავასრულებთ. მოგეხსენებათ, "რეკრეატივოსთან" მატჩის მეორე ტაიმში ჰოლანდიელ გარემარბს **კიკე ალვარესმა** განზრახ ჩაარტყა ფეხში და მწყობრიდან გამოიყვანა. სამეფო კლუბის ექიმებმა რობენს განმეორებითი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს. დიაგნოზი უცვლელია. მას ფეხი აქვს ნაღრძობი. სიახლე კი ის არის, რომ ექიმებმა სარეაბილიტაციო ვადა განსაზღვრეს - არიენს გამოსაჯანმრთელებლად, სულ მცირე, ერთი თვე დასჭირდება.

ვალენსია

# ლამურებს ლოთობა დასჩემდათ

## ბანეგა პოლიციამ გვარიანად ნასვამი დააკავა

ბანალურია, მაგრამ "ვალენსიას" ახალი უსიამოვნება შეემთხვა. მოგეხსენებათ, გასულ შაბათს "ლამურებმა" "მონჟუიკზე" "ესპანიოლთან" მორიგი პრიმერადივიზიონური მარცხი იწვნიეს. **რონალდ კუმანმა** შინ დაბრუნებული ფეხბურთელები, მორალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კვირისა და ორშაბათის ვარჯიშებიდან გაათავისუფლა. გუნდის ახალწვეულმა **ევერ ბანეგამ** კი მცირეხნიანი შვებულება პროფესიონალი ფეხბურთელისთვის სრულიად მიულებელი მიზნებისთვის გამოიყენა. არგენტინელი ნახევარმცველი მეგობრებთან ერთად ბარში წავიდა და დიდი რაოდენობით ტეკილა დალია. გამთენიისას კი სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. მას არც უფიქრია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვა არ შეიძლება. ვალენსიელმა პოლიციელებმა ეჭვი აიღეს, რომ ბანეგა მთვრალი იქნებოდა და გაჩერება მოსთხოვეს. ფეხბურთელი სამართალდამცველების მითითებას არ დაემორჩილა, თუმცა ოპერატიულად გატარებული ღონისძიებების წყალობით, ის ძალიან მალე დააკავეს. ალკოტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა. ბანეგას ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისა და დაუმორჩილებლობისთვის 4 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს. გარდა ამისა, მას ექვსი თვით აუკრძალეს საჭესთან დაჯდომა. სავარაუდოა, რომ არგენტინელს უშუალოდ "ვალენსიის" ხელმძღვანელობაც დასჯის. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, რონალდ კუმანის განცხადებას შემოგთავაზებთ: *"მანამ "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელი ვარ, მსგავსი ფაქტების მიმართ შეუწყნარებელი და ულმობელი ვიქნები. დარწმუნებული გახლავართ, კლუბის ხელმძღვანელობაც ასევე ფიქრობს. ხუან ბაუტისტა სოლერს საგანგებოდ ამ საკითხზე მოსათათბირებლად შევხვდები. მაქვს უფლება, რომ ბანეგას სამაგალითოდ დასჯა მოვითხოვო. ყოველ ფეხბურთელს კონტრაქტში უწერია, რომ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს თავისუფალ დროსაც არ უნდა გაეკარონ. "ვალენსია" ლოთების თავშესაფარი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ბანეგას ტრანსფერი პირადად ჩემი ინიციატივით განხორციელდა, მის მფარველობას არ დავიწყებ. პირიქით, განაჩენს პირველი გამოვუტან. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ არგენტინელი სოლიდური ფულადი ჯარიმით დაისაჯოს."*

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ სასმელთან დაკავშირებული პრობლემა **მიგელსაც** შეექმნა. პორტუგალიელი მცველი პოლიციამ აბსოლუტურად იდენტური მიზეზის გამო 2008 წლის დასაწყისში დისკოთეკიდან გამოსვლის შემდეგ დააკავა. მიგელის სისხლში დასაშვებზე 220 პროცენტით მეტი რაოდენობის ალკოჰოლი აღმოჩნდა. ასეთი მთვრალი კაცი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში 125 კმ/საათით მიაქროლებდა მანქანას და შუქნიშნის წითელ ნიშანზეც არ ჩერდებოდა.

### სასამართლომ ალბელდას საჩივარი არ დააკმაყოფილა

ვალენსიის სასამართლომ **დავიდ ალბელდას** საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოიტანა. მოსამართლემ ფეხბურთელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. შეგახსენებთ, **რონალდ კუმანის** მიერ ათვალწუნებული ნახევარმცველი გუნდიდან უსამართლოდ გაგდების გამო, 60 მილიონ ევროს ითხოვდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მოსამართლემ მომჩივანის მოთხოვნა ნაწილობრივადაც არ დააკმაყოფილა. ალბელდას ახლა 4 დღე აქვს იმისთვის, რომ გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივროს. დავიდი ამ შანსის დაკარგვას არ აპირებს: *"მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, თუმცა პატივს ვცემ, რადგან სასამართლო წესრიგისა და კანონიერების გარანტიაა. უფლება მაქვს სააპელაციო სასამართლოს მივმართო. მას შემდეგ, რაც ადვოკატები ყველა საჭირო დოკუმენტებს მოამზადებენ, ამ უფლებით ვისარგებლებ, იმედია, ზემდგომ ინსტანციაში სხვა გადაწყვეტილებამდე მივლენ. აღარ დავიწყებ იმის გამეორებას, რომ "ვალენსიას" ხელმძღვანელობამ აბსოლუტურად უსამართლოდ დამჩაგრა".*


მანოლო ვილიანოვა

სარაგოსა

# ირურეტა ვილიანოვამ შეცვალა

## ახალმა მწვრთნელმა იცის, რაც უნდა გააკეთესო. მთავარი გაგებააო...

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ კატასტროფული შედეგებით განბილებულმა და სასოწარკვეთილმა **ხავიერ ირურეტამ** "სარაგოსას" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ბასკმა სპეციალისტმა ეს გადაწყვეტილება პრიმერა დივიზიონში ზედიზედ განცდილი ოთხი მარცხის შემდეგ მიიღო. არაგონელები ახლა მე-17 ადგილზე იმყოფებიან. თუმცა "რეკრეატივოს" მსგავსად, მათაც 29 ქულა აქვთ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "ლა რომარედაზე" თვენახევრის მუშაობის განმავლობაში ირურეტამ ვერაფერი გაანყო და ქუდი დაიხურა.

გუშინ მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და იმ მოტივებზე ისაუბრა, რამაც გადაწყვეტილება მიაღებინა: *"ჩემთვის წარმოუდგენლად მტკივნეულია იმის ყურება, თუ როგორ იძირება "სარაგოსა". აქ გუნდის გადასარჩენად დამიძახეს, მაგრამ გასავარდნ ზონაში აღმოვჩნდით. პასუხისმგებლობა მოსვენებას არ მაძლევდა. გაჯიუტებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, უფლებამოსილება მომეხსნა. გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. გარწმუნებთ, მსურდა, "სარაგოსასთვის" ძველი დიდება დამებრუნებინა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე".*

წელს არაგონელებს ბედი აშკარად არ წყალობთ. მოგეხსენებათ, **ვიქტორ ფერნანდესის** მუშაობით უკმაყოფილო დირექტორატმა მთავარი მწვრთნელის პოსტი **ანდერ გარიტანოს** ჩააბარა, მაგრამ ძირძველმა სარაგოსელმა თანამდებობაზე მხოლოდ 9 დღე იმუშავა და დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო სახლში წავიდა. ირურეტას დანიშვნის შემდეგ არაგონელებს იმედი გაუჩნდათ, თუმცა სახელგანთქმული ბასკი სპეციალისტის მოღვაწეობამ მხოლოდ ექვს კვირას გასტანა.

"სარაგოსას" ახლა მორიგი ახალი მწვრთნელი ჰყავს. მისი სახელი და გვარი **მანოლო ვილიანოვაა**. ახლახან დანიშნული სპეციალისტი ურთულეს სიტუაციას არ უშინდება და გულშემატკივრებს ოპტიმისტური ტონით ესაუბრება: *"შეუძლებელია, ისეთი ტრადიციული გუნდი, როგორიც "სარაგოსაა", წელს პრიმერა დივიზიონიდან გავარდეს. ზუსტად ვიცი, რა უნდა გავაკეთო. მთავარია, მე და ფეხბურთელებმა კარგად გავუგოთ ერთმანეთს. მოთამაშეებს უნდა ესმოდეთ, რას ვითხოვ მათგან. მზად ვარ, ბიჭების ყველა პრეტენზია თუ წინადადება მოვისმინო. დისკუსიას საკმაოდ დიდ დროს დავუთმობ, რადგან ჭეშმარიტება მხოლოდ კამათში იბადება. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ხელები დავიკაპიწოთ და თავდაუზოგავ მუშაობას შევუდგეთ".*

სპეციალისტები ვილიანოვას დანიშვნას სკეპტიკურად შეხვდნენ, რადგან, ფიქრობენ, რომ მისი საფეხბურთო მსოფლმხედველობა არაგონული ინჩადის გემოვნებას ვერ მოერგება. საქმე ის არის, რომ სენიორ მანოლო ფაქტობრივად, მთელი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ერთი ფორვარდით თამაშს ანიჭებდა უპირატესობას. "სარაგოსას" ფანები კი ზოგჯერ მაშინაც უკმაყოფილოები რჩებოდნენ, როცა მოწინააღმდეგეთა კარს სამის ნაცვლად ორი თავდამსხმელი უტევდა.

ატლეტიკო

# სერესო ლივერპულის ესპანელებს მიადგა

## ბენიტესი, ჩაბი ალონსო და რეინა კალდერონზე?

"ატლეტიკო" "ლივერპულთან" ომის დაწყებას აპირებს. მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერება აქვს გადაწყვეტილი. ამ მიზნით, ისინი "წითელი ემმაკების" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების გამართვას აპირებენ. "დიარიო მარკას" ინფორმაციით, **ენრიკე სერესო** სამი ესპანელით, **ჩაბი ალონსოთი, პეპე რეინათი** და **რაფა ბენიტესითაა** დაინტერესებული. მართალია, კლუბის პრეზიდენტს ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურად არ უსაუბრია, მაგრამ მადრიდული გაზეთი გვარწმუნებს, რომ სანდო ინფორმატორისგან უტყუარი ცნობა მიიღო. სენიორ სერესოს "ლივერპულში" ბენიტესის არამყარი მდგომარეობა ახარებს. მიუხედავად იმისა, რომ სენიორ რაფას ინგლისელი გულშემატკივრები აღმერთებენ, მიმომხილველები მაინც "ენფილდიდან" მის წასვლას წინასწარმეტყველებენ. თუ "ლივერპულის" ხელმძღვანელობა ამ კაცთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ ისურვებს, სერესოს ხელ-ფეხი გაეხსნება. ჩაბი ალონსოსა და პეპე რეინას რაც შეეხებათ, სავარაუდოა, რომ მათი გადაბირება შეუძლებელი სულაც არ იქნება. ცნობილია, რომ რეინას მშობლები "ატლეტიკოს" ძველი გულშემატკივრები არიან. მამამისი, ფაქტობრივად, ერთ შეხვედრასაც არ აცდენს და საყვარელ გუნდს მუდამ "ვისენტე კალდერონის" ტრიბუნებიდან ქომაგობს. სხვათა შორის, ის შვილს გულწრფელად ურჩევს სამშობლოში დაბრუნებაზე იფიქროს და რა თქმა უნდა, "ატლეტიკოს" მაისურა მოირგოს. "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **ენრიკე კასტანიესმა** დაადგინა, რომ "როხიბლანკოში" კარიერის გაგრძელების პერსპექტივა ჩაბი ალონსოს ძალიან ხიბლავს. ბასკ ნახევარმცველს ესპანეთი მეტისმეტად მოენატრა. თუ "ატლეტიკო" მას საინტერესო წინადადებით მიმართავს, მოლაპარაკებების დაწყებაზე უარს ნამდვილად არ იტყვის.

ამასობაში ასპარეზზე **დიეგო მარადონა** გამოვიდა და ბევრისთვის მოულოდნელად, "ატლეტიკოს" კბილი გაკრა. ლეგენდარული არგენტინელი ხომ ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს და საზოგადოებისთვის პოლიტიკურად კორექტულ თემებს ყურადღებას არ აქცევს. მოკლედ, დიეგომ "როხიბლანკოს" გამოცოცხლება ფეხებზე დაიკიდა და "ბარსელონასთან" მატჩს ფრიად უცნაურად გამოეხმაურა: *"როცა რონალდინიომ მაკრატელათი ულამაზესი გოლი გაიტანა, ვიფიქრე, "ბარსა" მოწინააღმდეგეს გადათელავს-მეთქი, მაგრამ ამის შემდეგ საქმეში სერხიო აგუერა ჩაერთო და მოვლენები საპირისპირო სცენარით განვითარდა. მან მილიტო და პუიოლი ჯვარს აცვა. შეუძლებელია, ამ ყმაწვილის თამაშით არ აღფრთოვანდე. თუმცა, დარწმუნებული ვარ, "ატლეტიკოს" გულშემატკივრებს ბედნიერებისთვის სრული მიზეზი არ ჰქონდათ. რას ჰგავს ამ გუნდის დაცვა?! ის ისევე სამარცხვინოდ ირჯება, როგორც არგენტინული "ფლანდრია" (არგენტინის ტერსერა დივიზიონის გუნდი). სულაც არ მიკვირს, რომ მადრიდელებმა სეზონის განმავლობაში მრავალი ბურთი გაუშვეს და უამრავი ქულა დაკარგეს. მიუხედავად იმისა, რომ შოკში ჩავარდნილი "ბარსა" შეტევაში განსაკუთრებულს ვერაფერს აკეთებდა, "ატლეტიკოს" დაცვა მაინც მოლიავებული იყო. მცირე გამწვავებაც საკმარისი გახდებოდა იმისთვის, რომ გოლი გასულიყო. ასეთი დაცვით "როხიბლანკო" შორს ვერ წავა".*



ჩაბი ალონსო

ინტერვიუ ვილი სანიოლთან

# ბაიერნს მილანამდე ბევრი უკლია

## ფრანგი მცველი კარიერის დასრულებას მიუნხენში აპირებს, ოღონდ მანამდე 2010 წლის მუნდიალზე თამაში უნდა...

"ბაიერნის" მცველ ვილი სანიოლს ხანგრძლივი იძულებითი პაუზა ჰქონდა და ამ ხნის განმავლობაში ინტერვიუ არავისთვის მიუცია. 30 წლის ფრანგი მოედანსაც დაუბრუნდა და შესაბამისად, ინტერვიუზეც აღარ თქვა უარი. "კვირის" კორესპონდენტს სანიოლი სხვა საინტერესო თემების გარდა ფრანკ რიბერიზე, იურგენ კლინსმანზე რეკორდმაისტერის მომავალზე ესაუბრა.

**- ჰერ სანიოლ, ფეხბურთი 7 თვის მანძილზე არ გითამაშიათ. ახლა კი ისევ დაბრუნდით და ნელ-ნელა ფორმაშიც შედიხართ. როგორ გგონიათ, როდის მიაღწევთ ფორმის პიკს?**

- პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ მოედანზე დაბრუნებამ ძალიან გამახარა – 7 თვე ძალიან დიდი დროა. ალბათ კიდევ ცოტა დრო დამჭირდება იმისათვის, რომ 100 პროცენტით მზადყოფნაში ვიყო. ფაქტია, რომ ჯერ საუკეთესო ფორმაში არა ვარ, რაც ბოლო მატჩებში ნათლად გამოჩნდა. საერთო ჯამში, ტემპით ნამდვილად კმაყოფილი ვარ.

**- ნოემბერში მწვრთნელთან უთანხმოება გქონდათ. ძირითად შემადგენლობაში თამაში გინდოდათ, მაგრამ ოტმარ ჰიტცფელდი არ გათამაშებდათ...**

- 90 წუთს ნამდვილად არ ვითხოვდი – ვიცოდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. უბრალოდ მინდოდა, რომ ყველა თამაშში რამდენიმე წუთით მეთამაშა...

**- მაგრამ მწვრთნელი ამაზეც უარს იყო და თქვენც ისე გაბრაზდით, რომ განაცხადეთ, "ბაიერნიდან" წასვლა მინდაო...**

- ჰო, ალბათ ზედმეტად იმპულსური რეაქცია მქონდა. თუმცა ახლა ყველაფერი მოგვარებულია – ჰიტცფელდთან არანაირი პრობლემა აღარ მაქვს. არც ის იყო მართალი, რომ თითქოს მე ოტმარი გავაკრიტიკე. უბრალოდ მოუთმენლად ველოდი გამოჯანმრთელებას და როცა მზად ვიყავი და ცოტა ხნითაც არ მათამაშებდნენ, ამან ძალიან იმოქმედა.

**- სპეკულაციების თანახმად, მიუნხენში იმის გამო დარჩით, რომ სერიოზული წინადადებით არავის მოუმართავს.**

- ეს ტყუილია – შემოთავაზებები იტალიიდან, ინგლისიდან და ესპანეთიდან მქონდა. ძალიან ბევრს ვფიქრობდი და **ული ჰიონესს** თითქმის ყოველდღე ვესაუბრებოდი. ამ უკანასკნელმა ამიხსნა, რომ პრობლემა ჩემს ფიზიკურ მზადყოფნაში იყო და არა შემს შესაძლებლობებში. ამიტომაც დავრჩი. "ბაიერნში" შვიდი წელი გავატარე და იმედი მაქვს, რომ ჩემს შესაძლებლობებს კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ აყენებს.

**- გასულ ზაფხულს ხელმძღვანელებმა ძალიან ბევრი ფული დახარჯეს და თითქმის ახალი გუნდი შექმნეს. როგორ ფიქრობთ, მიუახლოვდა კი "ბაიერნი" "რეალს", "მილანს" ან "მანჩესტერს"?**

- არა, "მილანისგან" ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ...

**- რა აკლია გუნდს?**

- უნდა დავჭკვიანდეთ! თუ გაინტერესებთ, რას ვგულისხმობ, მაშინ გეტყვით, რომ "მილანმა" შარშან ჩემპიონთა ლიგაში დაგვიმტკიცა, რომ ჩვენზე გაცილებით ჭკვიანი გუნდია. რიბერი, **ტონი** და **სოსა** შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, მაგრამ დააკვირდით: ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არცერთ მათგანს არ უთამაშია. გამოცდილება კი უმთავრესია!

**- გამოცდილება ფეხბურთელმა თამაშიდან თამაშამდე უნდა მიიღოს...**

- დიახ და ვერავინ იტყვის, რომ ცუდი გუნდი გვყავს. შესაძლოა, კიდევ ერთი-ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვჭირდება იმისათვის, რომ ევროპაში გრანდებს კონკურენცია გავუწიოთ.

**- როგორ ფეხბურთელს ისურვებდით, რეჟისორს? ან იქნებ ისეთ ტიპს, როგორიც იენს იერემისი იყო. ზე რობერტო ამბობს, ახლა ყველაზე მეტად სწორედ იერემისის დარი ფეხბურთელი გვაკლიაო...**

- ზე აბსოლუტურად მართალია. ფეხბურთი ტექნიკის, ტაქტიკისა და ბრძოლის ნაზავია. "მილანი" ამ მხრივ საუკეთესო მაგალითია. "როსონერის" ჰყავს მებრძოლი ფეხბურთელები, მაგალითად **ამბროზინი** და **გატუზო**, ტაქტიკოსები, მაგალითად **ნესტა** ან **პირლო** და ტექნიკოსები, მაგალითად **კაკა** და **ზეედორფი**. ახლა მათ **პატოც** დაემატა. ჩვენ მებრძოლი ფეხბურთელი გვაკლია. მხოლოდ ლამაზი ფეხბურთით წარმატებას ვერ მივაღწევთ. 2001 წელს ასეთი ნაზავი გვქონდა, ამიტომაც მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა. ახლა კი არ გვაქვს.

**- წლების მანძილზე თქვენ ერთადერთი ფეხბურთელი იყავით, რომელიც გუნდის ბოსებს ფულის დახარჯვისკენ, მაღალი კლასის ფეხბურთელების შეძენისკენ მოუწოდებდა. მაშინ ამის გამო გაკრიტიკებდნენ, ახლა კი, როგორც გამოჩნდა, მართალი იყავით და ჰიონესმაც ფულის ხარჯვა დაიწყო**

- მიხარია. **ტონის**, **კლოზეს**, რიბერისა და სოსას კალიბრის ფეხბურთელების ყიდვა "ბაიერნისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**- რიბერი გუნდს ძალიან მალე შეეწყო და ადაპტაციისთვის დიდი პერიოდი არ დასჭირდა. გაგიკვირდათ?**

- არა, რადგან ფრანკს ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცოდი, რომ ამ ხრივ პრობლემა არ შეექმნებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ შესაგუებლად დიდი დრო სხვა გუნდშიც არ დასჭირდებოდა.

**- როგორ ფიქრობთ, რიბერის აქვს იმის პოტენციალი, რომ ერთხელაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს?**

- დიახ.

**- თქვენი მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი ბიქსენ ლიზარაზუ ამბობს, კარგი იქნება, თუ რიბერი ძალების განაწილებას ისწავლის და ყველა თამაშში 100 პროცენტით არ დაიხარჯებაო...**

- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფრანკი ჯერ მხოლოდ 24 წლისაა და ევროპის ერთ-ერთ გრანდში პირველ სეზონს ატარებს. საკლუბო კარიერაში ეს მისი პირველი სერიოზული სეზონია. **ლიზარაზუს** ვეთანხმები - ძალები უფრო უკეთ უნდა გადაანაწილოს.

**- როცა რჩევებს აძლევთ, ხომ არ ბრაზდება ხოლმე?**

- არა. ყურადღებით გვისმენს დაყ ველა რჩევას ითვალისწინებს.

**- როგორ გგონიათ, რაკი რიბერი გერმანიაში თამაშობს, ბუნდესლიგა საფრანგეთისთვის უფრო საინტერესო გახდა?**

- სამწუხაროდ, არა. გერმანიის ჩემპიონატი საფრანგეთში დიდ ინტერესს არ იწვევს.

**- თქვენ კაპიტნის სამკლაურისთვის იბრძვით და ძალიან გინდათ, რომ მომავალი სეზონიდან ამ პოსტზე ოლივერ კანი შეცვალოთ. კაპიტნობა თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია?**

- არა, ეს ჩემთვის არც ისე მნიშვნელოვანია. მაგრამ ფაქტი ერთია: ორი წლის წინ ული ჰიონესი და კარლ-ჰაინც რუმენიგე შემპირდნენ, რომ თუ ახალ კონტრაქტს გავაფორმებდი, კანის წასვლის შემდეგ კაპიტანი გავხდებოდი. სიმართლე გითხრათ, წასვლაზე სერიოზულად ვფიქრობდი და ეს ერთ-ერთი უმთავრესი დეტალი იყო, რის გამოც კონტრაქტი გავაგრძელე. ახლა კი მინდა, რომ დანაპირები შესრულდეს.

**- ამბობთ, მნიშვნელოვანი არ არისო, მაგრამ აშკარად ისე გამოდის, რომ კაპიტნობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებთ...**

- კარგი, ვიტყვი, რომ მნიშვნელოვანია. დიდ გუნდებში კაპიტნის სამკლაურს იმას აძლევენ, ვინც იმ გუნდში ყველაზე დიდხანს თამაშობს. "ბაიერნში" კი, **კანის** წასვლის შემდეგ ასეთი მე ვიქნები. არ მიყვარს, როცა სიტყვას არ ასრულებენ. აი, ამაშია საქმე.

**- როგორ ფიქრობთ, იურგენ კლინსმანი თანახმა იქნება, რომ დანაპირები შეგისრულონ?**

-ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან კლინსმანს არ ვიცნობ და არ ვიცი, რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ კლინსმანს თავისი მოსაზრება ექნება და თუ მისი აზრი ჩემსას არ დაემთხვა, სხვა რა გზა მაქვს, უნდა დავყაბულდე, რადგან ჩვენი ახალი შეფი სწორედ კლინსი იქნება. იმედი მაქვს, რომ კლუბის შეფები იურგენთან შეთანხმდებიან და კაპიტანი გავხდები. ვფიქრობ, ეს უბრალოდ ჩემი პატივისცემის ამბავია.

**- კლინსმანი როგორ მოგწონთ?**

- მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან მაგრად იმუშავა და ქება დაიმსახურა. არადა, ყველას გვახსოვს, როგორ აკრიტიკებდნენ მუნდიალის დაწყებამდე. მართალია, გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ბუნდესგუნდმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა.

**- იურგენს კლუბი არასდროს გაუწვრთნია და როგორ ფიქრობთ, ეს "ბაიერნისთვის" დიდი რისკია?**

- კლინსმანი დიდი ფეხბურთელი იყო და საკლუბო ფეხბურთს ძალიან კარგად იცნობს. მართალია, კლუბის მწვრთნელობის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კარგად მოემზადება და პრობლემები არ შეექმნება.

**- რას ელით კლინსმანისგან "ბაიერნის" მწვრთნელის რანგში?**

- "ბაიერნს" და მთლიანად ბუნდესლიგას ტაქტიკური დისციპლინა სჭირდება. სხვათა შორის, ბოლო დროს გერმანიაში ტაქტიკას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, რაც დიდი შეცდომაა. თუმცა გერმანულ ფეხბურთს სხვა უპირატესობები აქვს. მაგალითად, გერმანელები ევროპაში ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელები არიან, რომლებიც ფეხებს არასდროს უფრთხილდებიან. ტაქტიკური თვალსაზრისით კი, იტალიაში, ესპანეთში და საფრანგეთში უფრო განსწავლული ფეხბურთელები არიან.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

- ეს მენტალიტეტის ბრალია. მაგალითად, გერმანიაში ყველა ფიზიკურ მომზადებაზე საუბრობს. იტალიაში ტაქტიკაზე, ესპანეთში ტექნიკაზე და ა.შ. მაგრამ მხოლოდ კუნთმაგარი ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდი ტურნირს ვერასდროს მოიგებს. ფეხბურთი უამრავი კომპონენტისგან შედგება. ასე რომ, ფიტნესი ყველაფერი არ არის...

**- "ბაიერნს" ტაქტიკურად განსწავლული ფეხბურთელები არ ჰყავს?**

- შეიძლება, ამ მხრივ იდეალური ფეხბურთელი იყო, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო, რადგან დანარჩენები არ აგყვებიან... ფაქტია, რომ გერმანიაში ტაქტიკას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

**- კლინსმანიც გერმანელია...**

- ჰო, მაგრამ ის იტალიაშიც თამაშობდა, ინგლისშიც, ყველაფერი უნახავს და მჯერა, იდეალურ შუალედს მიაგნებს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი მაქვს.

**- როგორც ჩანს, ხანგრძლივმა პაუზამ ის შედეგი გამოიღო, რომ უფრო კრიტიკული გახდით...**

- მე მიყვარს ფეხბურთი და ფულს ამით ვშოულობ. კრიტიკოლობა არ მსიამოვნებს და როცა საჭირო არაა, ბევრს არ ვლაპარაკობ, მაგრამ როცა აუცილებელია, ვერ გავჩუმდები... ტრავმამ ბევრი რამ დამანახა. როცა სერიოზულად ხარ დაშავებული, შენით გაცილებით ცოტა ადამიანი ინტერესდება. მოულოდნელად, სხვები უფრო მნიშვნელოვანი ფიგურები ხდებიან. ეს თითქმის ყველა გუნდში ასეა. და სიმართლე გითხრათ, ძალიან მეწყინა, რომ "ბაიერნშიც" ასე მოხდა...

**- მალე 31 წლის გახდებით. რას გეგმავთ სამომავლოდ?**

- "ბაიერნთან" ხელშეკრულება კიდევ ორი წლით მაკავშირებს და უკვე ცხადია, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას აქ, მიუნხენში დავასრულებ. ფეხბურთს კიდევ 3-4 წლის მანძილზე ვითამაშებ და მინდა, რომ 2010 წლის მუნდიალზეც ვიასპარეზო.

**- ევროპის ჩემპიონატზე ფავორიტად რომელ გუნდს მიიჩნევთ?**

- ჩემი აზრით, ევრო 2008-ს 4 ფავორიტი ეყოლება: იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და გერმანია. ჩეხებსაც კარგი გუნდი ჰყავთ.

**- ჰოლანდია?**

- ჰოლანდიელებს ძლიერი ნაკრები ჰყავთ, მაგრამ 20 წელია, არაფერი მოუგიათ და თანაც, ძალიან რთულ ჯგუფში მოხვდნენ. არა მგონია, რომ წარმატებას მიაღწიონ. მეტიც: ვფიქრობ, ჯგუფიდანაც კი ვერ გავლენ. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატის მოგება უფრო რთულია, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატისა. წელლს ფინალში გასვლა ძალიან ძნელი იქნება.



ვილი სანილი

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# ასაუერი: სლომკას ვადა გაუვიდა

## რუდის თავიდანვე არ სჯეროდა, რომ ასისტენტისგან კარგი მთავარი მწვრთნელი დადგებოდა...



შალკეს ყოფილი გენერალური მენეჯერი რუდი ასაუერი

"შალკეს" ყოფილმა ბოსმა **რუდი ასაუერმა** გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა**, ხელმძღვანელები და ფეხბურთელები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. 63 წლის რუდიმ, რომელიც "შალკედან" ორი წლის წინათ წავიდა, უბრალოდ არავინ დაინდო!

*"რასაც "შალკე" თამაშობს, ამას ფეხბურთი არ ჰქვია! ფეხბურთელები ბევრს ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოსდით და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ გუნდმა კლასი დაკარგა,"* – აცხადებს ასაუერი "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *"ფაქტია, რომ "შალკეში" მდგომარეობა დრამატული გახდა. გუნდი უბრალოდ არ ფუნქციონირებს."*

ასაუერი გელზენკირხენელთა ამჟამინდელ მენეჯერ **ანდრეას მიულერსაც** უტევს: "შალკეს" წარუმატებლობა მისი ბრალიცაა. სამწუხაროდ, ვერა და ვერ მივხვდი, ვინ არის ამ გუნდში მთავარი და ვის ეთქმის სპორტულ მხარეზე სიტყვა, **მიულერს**, **ტიონისს** თუ ვინმე სხვას. ეს კი ძალიან ცუდი ნიშანია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ მხრივ "შალკეში" სრული განუკითხაობა და ქაოსია."

რუდი არ მალავს, რომ სლომკა ძალიან მოსწონდა და მიიჩნევს, რომ ბოლო წელიწადნახევარში ამ მწვრთნელმა უდიდესი სამუშაო გასწია, მაგრამ ასაუერი არც იმას მალავს, რომ მისი აზრით, სლომკას ვადა გაუვიდა, თავისი შესაძლებლობები ამოწურა. *"სლომკა კარგად მუშაობდა და სიმართლე გითხრათ, ამით გაკვირვებული ვიყავი. მაგრამ იცით, როცა ასისტენტი მთავარი მწვრთნელი ხდება, ეს სვლა ძალიან იშვიათად, თითქმის არასდროს ამართლებს ხოლმე,"* – ამბობს ასაუერი.

ამას გარდა, რუდის არც ის მოსწონს, რომ სლომკასთან ერთად გუნდში უამრავი სპეციალისტი მუშაობს, რომლებიც სხვადასხვა დეტალებს კურირებენ. ასაუერი: *"დიახ, ეს ახალი მეთოდია და ამ მეთოდმა ბევრ გუნდში გაამართლა, მაგრამ "შალკეში" პოზიტიური ძვრები ვერა და ვერ შევნიშნე. ფეხბურთელები არცთუ კარგად არიან მომზადებულები და კონდიციებიც არ უვარგათ. ეს კი სწორედ იმ სპეციალისტების ბრალია. დააკვირდით, გოლების უდიდესი ნაწილი "შალკეს" პირველ ტაიმში გააქვს. მეორე ტაიმში კი მოთამაშეებს არაფერი აღარ შეუძლიათ ხოლმე."*

დღეს "შალკეს" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩი აქვს (პორტუსთან). პირველი შეხვედრა **ლევან კობიაშვილის** გუნდმა საკუთარ მოედანზე 1:0 მოიგო. ამბობენ, თუ "შალკე" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდება, სლომკას დაიფრენენო...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41

## შავი კაპიტანი

შესვენება. დროა **ობდულიო ვარელას** დავუბრუნდეთ, იმიტომ, რომ მასზე ორი სიტყვით საუბარი ძნელია. მულატი, ესპანელისა და ზანგი ქალის შვილი, სამი კლასის განათლებით, გაზეთების გამყიდველი და ფეხსაცმელების მწმენდავი, აგრეთვე სეზონური მუშა. მშრალი წითელი ღვინისადმი სიყვარულის გამო, მას vinacho შეარქვეს. თუმცა, ყველაფერ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია "მარაკანაზე" ისეთი ფსიქოლოგიური დარტყმები განეხორციელებინა, რომელიც რაფინირებულ ინტელიგენტსაც კი შემურდებოდა. "შავმა კაპიტანმა" ოცი წლის შემდეგ, უკვე არარსებულ გაზეთ "ოპინიონს" შემდეგი ახსნა-განმარტება მისცა: *"მილიონჯერ მითამაშია ეს თამაში, ყველანაირი სირთულე გამომივლია და განა შემეძლო შიში განმეცადა "მარაკანაზე", სადაც უსაფრთხოების ყველა ზომა იყო მიღებული"*.

იმ მუშტმაც, რომელიც მას 28-ე წუთზე ბიგოდემ ჩაარტყა, წყობიდან ვერ გამოიყვანა კაპიტანი, რომელიც ოთხი წელი "უონდერერსის" ღირსებას იცავდა და 12 წელი - "პენიაროლისა". ცნობილი გენერლების მსგავსად, მტრის წინააღმდეგობა მებრძოლი ხასიათის სრულად გამოვლენაში ეხმარებოდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან მხოლოდ 81 წამი იყო გასული, როცა ბრაზილიამ, როგორც იქნა, შეძლოს თავისი ერთ-ერთი შეტევის გოლით დასრულება. სიტყვა მივცეთ ეროვნული რადიოს კომენტატორს: *"ზიზინიო ბურთსართმევს მეტოქეს, ბრაზილია კვლავ წინ მიდის. პასი ადემირს, ის საჯარიმოს წინ ფრიასას პოულობს. ყურადღება! ფრიასა საჯარიმოში შედის. ურტყამს... გ-ო-ო-ო-ო-ლ! ფრიასას გოლი! ბრაზილიის გოლი!"*

*"ასე გვეგონა ცა ჩამოიქცაო"*, - იხსენებდა მრავალი წლის შემდეგ **ფრიასა**. მართლაც ცა ჩამოიქცა ყველასთვის, მაგრამ არა ობდულიო ვარელასთვის, რომელიც მიხვდა, რომ ამ ჯოჯოხეთში მათ ყინული არ ჰყოფნით. "შავმა კაპიტანმა" აუჩქარებლად გამოიტანა ბურთი ბადიდან და არავინ იცის რატომ, გვერდით არბიტრ **არტურ ელისისკენ** რალაცის საკითხავად გაეშურა. შემდეგ კი, **ჯორჯ რიდერს** მიადგა.

73 წამის განმავლობაში ობდულიო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბრიტანელ მსაჯებთან, რითაც არნახული პროტესტი გამოიწვია ტრიბუნებზე და მეტოქეთა შორის. ბუნებრივია, მოწინააღმდეგეების პროტესტი მას კარგად ესმოდა. *"ისინი ისეთი სიტყვებით მამკობდნენ, გამეორებაც კი მიჭირს, - იხსენებდა "შავი კაპიტანი". - მათი გაგიჟება შევძელი, ველარაფერს ხედავდნენ, კარებსაც კი"*.

თუმცა, ამ გოლმა საბოლოოდ დაარწმუნა ბრაზილიელები, რომ ისინი ჩემპიონები იყვნენ. თამაში მათი სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. მასპინძლებს ფრეც ჰყოფნიდათ, ისინი კი, 1:0 იგებდნენ. რა რჩებოდათ ურუგვაელებს? საკუთარი ძალების რწმენა და 40 წუთი.

და დაიწყო ახალი თამაში, რომელშიც "ვინაჩო" სრულ ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. მან შეძლო ჯოჯოხეთის დამორჩილება. წიგნში "ობდულიო, უკანასკნელი კაპიტანი", მისი ავტორი **რადამეს მანკუსო** წერს: *"არ ვამბობ, რომ მან მოიგო თამაში, ვამბობ იმას, რომ მის გარეშე ურუგვაელები ვერ მოიგებდნენ"*.

მაღალი, ძლიერი, მამაცი, შელახული თავმოყვარეობით, ის მინდორზე გადაადგილდებოდა და თანაგუნდელებს ბრძანებებს აძლევდა: *"მეტი სისხლი, მეტი სისხლი!"* უნდა დავაზუსტოთ, რომ ის საკუთარ და არა სხვის სისხლს ითხოვდა.

გოლის აუცილებლობამ მაინც ვერ შეცვალა ურუგვაის თამაშის მანერა, მაგრამ ბურთი მათი ფეხბურთელების ფეხებში უფრო მოძრავი გახდა. უფრო უმატეს ტემპს ფორვარდებმა, განსაკუთრებით გააქტიურდა **ხიგია** - ბრაზილიის ნაკრების მარცხენა მცველი **ბიგოდე** ველარ ახერხებდა იმ ამოცანების ამოხსნას, რომელსაც მას ურუგვაის ნაკრების მარჯვენა გარემარბი სთავაზობდა.

მეორე ტაიმის მე-20 წუთი მიდიოდა, როცა ობდულიომ **ხულიო პერესისგან** პასი მიიღო და გარღვევაზე გაიყვანა ხიგია. ამ ეპიზოდის შემხედვარე 200 ათას კაცს ფერი დაეკარგა. იგივე დაემართა ბიგოდეს. ხიგიამ შეძლო თითქმის პირით ხაზამდე მისვლა. ამასობაში, მისკენ **სკიაფინო** დაიძრა. ბურთი და ნახევარმცველის მარჯვენა ფეხი მენტალურად შეხვდნენ და დაშორდნენ ერთმანეთს. დარტყმა ძლიერი და ზუსტი გამოვიდა - ზედა ძელს ქვემოთ შევარდა. **ბარბოსა** უძლური იყო. ურუგვაის გოლი! სკიაფინო, ხიგია და ყველა, გარდა ვარელასი, ერთმანეთს ეხვეოდნენ და სრულიად დამსახურებულად ზეიმობდნენ გოლს. კაპიტნისთვის ეს წარმატება საკმარისი არ იყო. მან თავისი თანაგუნდელები ცენტრისკენ გარეკა, თან კინალამ მაისურა შემოიხია: "მეტი სული, მეტი სული!"

- მაისურს რატომ ერჩოდით? - ჰკითხეს მას მოგვიანებით.

- იმიტომ, რომ მხოლოდ მას შეეძლო ჩვენი ტრიუმფამდე მიყვანა, - უპასუხა ობდულიომ.

## ხიგიას გოლი

ანგარიში ისევ თანაბარი იყო, მაგრამ სტადიონზე სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა. "მარაკანაზე" სიჩუმემ დაისადგურა. შიშმა 200 ათას კაცს ხმა გააკმენდინა. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი **რივადავია კორეია მაიერი** აღნიშნავდა: *"ბუზის გაფრენის ხმაც კი ისმოდა... სიჩუმეს მხოლოდ მსაჯის სასტვენი და ობდულიოს ყვირილი არღვევდა"*.

"მარაკანაზე" გამეფებული შიში ბრაზილიელ ფეხბურთელებსაც გადაედოთ. ისინი თითქოს ღმერთმა მიატოვა. ეს სიჩუმე კი ურუგვაელთათვის დამატებით ენერგიად იქცა. მათი კოზირები ამოქმედდნენ: მოედნის შუა ნაწილი "ვარელას მიწად" იქცა, ხიგიას შეტევები კი შავ დღეში აგდებდა ბიგოდეს. "ცისფრებმა", როგორც იქნა, მოაწოდეს ორი კუთხური. ბრაზილიის კარში გოლი მომწიფდა.

ეს მოხდა 1950 წლის 16 ივლისს, 16:38 საათზე. ხიგიამ შუა ხაზი გადაკვეთა, პერესთან კედელი გაითამაშა და წინ მოძრაობა დაიწყო. ის ფლანგზე გაიჭრა, ბიგოდეს კი უკვე მერამდენედ მისი გარღვევა გამოეპარა. ცენტრალურმა მცველმა **აუგუსტომ** დაზღვევაზე თამაში დააპირა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ხიგიამ კვლავ მიაღწია თითქმის პირით ხაზამდე. ბარბოსამ, ისევე როგორც პირველ ეპიზოდში, გაიფიქრა, რომ ურუგვაელი კარის ხაზის გასწვრივ გააკეთებდა გადაცემას და იმისთვის, რომ ეს სავარაუდო პასი ჩაეჭრა, მეტოქეს ახლო ძელი აჩუქა. იმან, რაც ერთი წამის შემდეგ მოხდა, "ხიგიას გოლის" სახელწოდება მიიღო. მან კარში დაარტყა, თანაც მთელი ძალით, ბარბოსა გვიან გამოერკვა, ტორსიდამ თვალები დახუჭა, ბურთმა კი კინალამ ბადე გაარღვია. გ-ო-ო-ო-ო-ლ! ურუგვაი. 2:1.

*"განა, შემეძლო წარმომედგინა, რომ ბრაზილიელებისა და ურუგვალელების მთელი თაობის ისტორიაში შევიდოდი?"* - აღიარა ხიგიამ 1981 წელს გაზეთ "ო'გლობოსთვის" მიცემულ ინტერვიუში. იქვე **ჟოაო მაქსიმო** წერდა: *"ამ გოლმა ბრაზილიელთა ცხოვრება ორ ნაწილად გაჰყო - მანამდე და მის შემდეგ"*.

ტაიმის დარჩენილი ნაწილი სკიაფინომ ასე დაახასიათა: *"პირველად ცხოვრებაში გავიგე, რა არის აბსოლუტური სიჩუმე. მეგონა, ცხოვრების დასასრული დადგაო"*. საცოდავმა ბარბოსამ უფრო მოკლედ თქვა: *"მარაკანა" დამუნჯდა"*. ხიგია კი ჟურნალისტების საყვარელ რესპოდენტად იქცა და ფეხბურთელს არ ბეზრდებოდა ერთი და იგივე ფრაზის გამეორება: *"მხოლოდ სამმა ადამიანმა შეძლო "მარაკანას" გაჩუმება - ფრენკ სინატრამ, იოანე პავლე მეორემ და მე"*.

რჩებოდა კიდევ 11 წუთი. ურუგვაელები უკვე აღარ ცდილობდნენ შეტევას. ბრაზილიელები კი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ სამართლიანობა აღედგინათ, მაგრამ არსებობს დღეები, როცა ღმერთი მხოლოდ ერთის მხარეს იჭერს, ხოლო მეორეს რატომღაც უარს ეუბნება დახმარებაზე. **მასპოლის** კართან სამი ძალიან სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ მეკარემ ივარგა. ბოლო წუთზე ფრიასამ მეორე ტაიმში მეხუთე და ბოლო კუთხური მოაწოდა. მთელი ბრაზილია შეხტა, რათა თავით დარტყმა შეესრულებინა. ურუგვაელებმა მოიგერიეს. და ამ დროს მსაჯმა საფინალო სასტვენი მისცა. 52-მილიონიან ბრაზილიაში გლოვა დაიწყო.

*"მზადდებოდა კორონაციის ზეიმი, მაგრამ მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა"*, - თქვა ბარბოსამ რამდენიმე წლის შემდეგ. ის მართალი იყო, საზეიმო ცერემონიალისთვის მზადდებოდა ჰიმნები, გამოსვლები, საპატიო ყარაული, მაგრამ, როცა ფიფას პრეზიდენტმა **ჟიულ რიმემ** გვირაბიდან ნიკეს ოქროს ქანდაკება გამოიტანა, არც მიკროფონები იყო, არც ორკესტრი და არც საპატიო ყარაული. თავის მოგონებებში რიმე წერდა: *"ყველაფერი გათვალისწინებული იყო, გარდა ურუგვაელთა ტრიუმფისა"*.

მას შემდეგ ათწლეულები გავიდა, ბრაზილიის ნაკრები ხუთჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ 1950 წლის ფინალი არავის ავიწყდება და თავის ასახვას ჰპოვებს ლიტერატურაში. ალბათ, სამართლიანად აღნიშნა **პაულო პერდიგაომ** თავის შესანიშნავ წიგნში "ერთი წაგების ანატომია": *"ეროვნული მასშტაბების ისტორიულ მაგალითებში, 1950 წლის მსოფლიო თასი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია: ეს იყო ვატერლოო ტროპიკებში, ეს იყო ღმერთების დაცემა"*.



ხიგიას გოლი ბრაზილიელთა კარში

გაგრძელება იქნება

ჩელსი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ლემპარდი არ დაისჯება

### არისტოკრატებს კარლოსი მოუნდათ, მიუნხენელებს ბალაკი

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ჩელსის" აპელაცია დააკმაყოფილა. **ფრენკ ლემპარდს** "ვესტ ჰემთან" შაბათის მატჩისას მიღებული წითელი ბარათი გაუუქმეს. ნახევარმცველი პირველსავე ნახევარში მიაბრძანეს მინდვრიდან. არბიტრმა **პიტერ უოლტონმა** ის **ლუიშ ბოა მორტესთან** კინკლაობისთვის გააძევა. სააპელაციო კომიტეტის სხდომაზე იმავე უოლტონმა აღიარა, რომ ზედმეტი მოუვიდა. მისი თქმით, "ჩელსის" ვარსკვლავი ყვითელ ბარათზე მეტს არ იმსახურებდა. გადაწყვეტილების მიღებისას მისმა სიტყვამ გადამწყვეტი როლი ითამაშა. ლემპარდის შეწყალება იმას ნიშნავს, რომ მას სამი მატჩის გამოტოვება აღარ მოუწევს. ეს კი "არისტოკრატებისთვის" მნიშვნელოვანი შეღავათია.

აპელაციის შეტანით, "ჩელსი" რისკავდა, რომ ფეხბურთელის სასჯელი კიდევ ერთი მატჩით დამძიმებულიყო. ასე დაემართა "მიდლსბროს", რომელმაც **ჟერემი ალიადიერის** გაძევება გააპროტესტა. კომისიამ აპელაცია უსაფუძვლოდ მიიჩნია და დროის ტყუილად დაკარგვისთვის, ალიადიერს სამ თამაშზე კიდევ ერთი დაუმატა. "მიდლსბროს" თავმჯდომარემ **კიტ ლემბმა** თქვა, შეღავათებს მარტო დიდ კლუბებს უწევენო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლემპარდის საქმე მას ეჭვებს გაუძლიერებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრენკის შემთხვევისას, მიმომხილველები იმთავითვე ამბობდნენ, რომ ლემპარდის გაძევება უსამართლო იყო. ასეა თუ ისე, ფრენკი "ბარნსლისთან" ასოციაციის თასზეც ითამაშებს და პრემიერლიგაში "დერბისა" და "სანდერლენდსაც" შეხვდება.

"არისტოკრატებზე" საუბარს ორი სატრანსფერო ამბით გავაგრძელებთ. "დეილი მეილი" სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს. "ჩელსი" **რობერტო კარლოსს** კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობსო. 34 წლის ბრაზილიელი გალაქტიკო "ფენერბაჰჩეში" თამაშობს. მისი კონტრაქტი 2009 წელს ინურება. სტამბოლელებმა ფეხბურთელი გასულ ზაფხულს, თავისუფალი აგენტის რანგში გადაიყვანეს. ახლა კი ლონდონელები მზად არიან, 5.6 მილიონი ევრო მიუთვალონ. ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

მორიგი ცნობა **მიხაელ ბალაკს** ეხება. გაზეთი "ფიფლი" ბუნდესკაპიტანს გერმანიაში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებს. მისი მტკიცებით, ბალაკს მიუნხენის "ბაიერნი" ეპატიჟება. 31 წლის ფეხბურთელი ლონდონში 2006 წლის ზაფხულში უფასოდ გადავიდა. ახალი სეზონიდან ბავარიულ გიგანტს **იურგენ კლინსმანი** ჩაიბარებს. გერმანიის ნაკრებში მუშაობისას ბალა კლინსმანის საიმედო მოკავშირე იყო. არც ამ ინფორმაციას მოჰყოლია გამოხმაურება. მიხაელი "ჩელსის" ძირითადის შეუცვლელი წევრია. ტრავმის მოშუშების შემდეგ ის "არისტოკრატების" ერთ-ერთ ლიდერად იქცა.



ფრენკ ლემპარდი სასჯელს გადაურჩა

დაპირისპირება

# ვილიარი კონტრშეტევაზე გადავიდა

### საპრეზიდენტო არჩევნების დრო გარკვეულია. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს მთავრობა

გუშინ, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის ასამბლეა გაიმართა. დელეგატებმა, რა თქმა უნდა, იმ კრიზისულ სიტუაციაზე იმსჯელეს, რომელიც არჩევნებს უკავშირდება. მოგეხსენებათ, ესპანეთის სპორტის დეპარტამენტი ფედერაციის პრეზიდენტს, **ანხელ მარია ვილიარს** არჩევნების პეკინის ოლიმპიადამდე ჩატარებას ავალდებულებდა. მთავრობამ საამისოდ საგანგებო განკარგულებაც კი გამოსცა. შექმნილი სიტუაციის შესახებ, ფიფას ხელმძღვანელობამ, ცხადია, ოპერატიულად შეიტყო. **ალფრედო დი სტეფანოს** საიუბილეო სალამოზე მადრიდში ჩასულმა **ზეპ ბლატერმა** ხმამაღლა განაცხადა, თუ მთავრობა სამეფო ფედერაციის საქმეებში მომავალშიც ჩაერევა, ესპანეთის ნაკრებსა და პრიმერა დივიზიონის კლუბებს საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობას ავუკრძალავთო. ყველამ იფიქრა, რომ ფიფას პრეზიდენტის მუქარა მთავრობას დააფრთხობდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მათ უკან არ დაიხიეს. ჯიუტი და შეუვალი აღმოჩნდა ანხელ მარია ვილიარიც. მან ასამბლეის დელეგატები დაარწმუნა, რომ სახელმწიფოს არანაირი უფლება არ აქვს ფედერაციის მუშაობაში ჩაერიოს. მოკლედ, ხანგრძლივი სჯა-ბაასისა და კამათის შემდეგ, კენჭისყრა გაიმართა. 108 მომხრე და 20 მოწინააღმდეგე - ხმათა ამგვარი გადანაწილებით, საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის ბოლო ტრიმესტრისთვის დაინიშნა. კონკრეტულ თარიღს მოგვიანებით დაასახელებენ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სენიორ ვილიარი დათმობაზე არ წავიდა.

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ესპანეთის მთავრობა. ჯერჯერობით, სპორტის დეპარტამენტს ამ საკითხისთვის არ სცხელა, რადგან 9 მარტს ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებაში ოპოზიციური "პარტიდო პოპულარი" მოვა, პრობლემა ავტომატურად მოგვარდება, რადგან ამ პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ ფეხბურთის სამეფო ფედერაციაში არანაირი ინტერესი არ გააჩნიათ. აი, იმ შემთხვევაში, თუ მინისტრთა მოქმედი კაბინეტი შენარჩუნდება, საქმე გაგრძელებას აუცილებლად ჰპოვებს. იმედია, მხარეებს კეთილგონიერება ეყოფათ და დაპირისპირება ესპანური ფეხბურთის საერთაშორისო ასპარეზიდან მოკვეთით არ დასრულდება. არადა, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს. თუ სპორტის დეპარტამენტი ასამბლეის გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს და დადებით პასუხს მიიღებს, საქმეში ფიფა ჩაერთვება და დისკვალიფიკაცია გარდაუვალი გახდება.

ლეგიონერები

# სამნი მეორე დივიზიონისკენ



**საფრანგეთის ფედერალურ დივიზიონებში კვლავ აგრძელებენ ელიტაში აღზევებისთვის ბრძოლას ქართველ მორაგბეთა გუნდები. სამი "ქართული" კლუბიდან დღეისთვის ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი თედო ზიბზიბაძის "პერიგოს" აქვს. ორ ტურში ჩვენებურის გუნდმა ორივე მატჩი მოიგო და D ჯგუფის ლიდერია.**

"პერიგოს" ამჯერად გასვლითი შეხვედრა ჰქონდა უშუალო კონკურენტ "ლავორთან"და მძიმე ბრძოლაში 13:9 გაიმარჯვა. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ამავე ჯგუფში "ლანამეზანმა" ისევ სტუმრად სძლია "ვანს" 18:11; 1. პერიგო-8 ქულა, 2. ლავორი-5, 3. ლანამეზანი-4, 4. ვანი-2.

პირველი გამარჯვება მოიპოვა მეორე ჯგუფურ ეტაპზე **დავით გასვიანისა და შალვა სუთიაშვილის** "ბობინიმ". ჩვენებურთა გუნდმა ამჯერად საკუთარ მოედანზე "ობენას" სძლია 27:23. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. A ჯგუფის ლიდერმა "შალონმა" ამასობაში სტუმრად სძლია "არაჟელეს" 19:6; 1. შალონი-8 ქულა, 2. ბობინი-5, 3. არაჟელე-4, 4. ობენა-1.

პირველ ტურში შინ განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ სტუმრად სძლია "რომანსს" **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანმა" 23:16. აბუსერიძე განაცხადში არ იყო. ჯგუფს "მარმანდი" ლიდერობს, რომელმაც შინ სძლია "დიჟონს" 18:10;1. მარმანდი-6 ქულა, 2. ორლეანი-5, 3. დიჟონი-4, 5. რომანსი-3.

**მეორე დივიზიონში გადასვლისთვის მებრძოლებისგან განსხვავებით, ფლეი დაუნში, ანუ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ გუნდებს მეორე ეტაპზე რეგულარულ გათამაშებაში დაგროვებული ქულები გადაჰყვათ.**

A ჯგუფში ოთხივე ქართველ მორაგბეთა გუნდია. **სოსო ნიკოლაენკოს** "რუანმა", რომელიც დამაჯერებლად ლიდერობს ჯგუფს, შინ **დიმა პავლოვის** "ნიცა" დაამარცხა 16:12. ნიკოლაენკო თამაშში 73-ე წუთიდან ჩაერთო, პავლოვი განაცხადში არ იყო. აუტსაიდერმა და ფაქტობრივად გავარდნისთვის განწირულმა **ირაკლი გუნდიშვილის** "მიიომ" შინ წააგო **ალექსანდრე მარგველაშვილის, ზურაბ მჭედლიშვილისა და გიორგი ნემსაძის** "დომონთან" 13:38. გუნდიშვილი 35-ე წუთზე შეცვალეს. მარგველაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე ის ნემსაძემ შეცვალა. მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო. მატჩის მიწურულს "მიიოს" ლელო გაუტანა გიორგი ნემსაძის ძმამ, **დავით ნემსაძემ**, რომელიც ბელგიის მოქალაქეა და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშობს; 1. რუანი-43 ქულა, 2. დომონი-35, 3. ნიცი-32, 4. მიიო-12.

B ჯგუფს **გიორგი ჩხაიძის, ვიქტორ დიდებულიძისა და დავით დადუნაშვილის** "მასი" ლიდერობს. პარიზელებმა შინ დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით 29:28 დაამარცხეს "გროლე". დიდებულიძე 56-ე წუთზე შეცვალეს, ჩხაიძე კი 59-ე წუთზე, დადუნაშვილი განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში "ფლორანსი" შინ დამარცხდა "ლა სეინთან" 10:20; 1. მასი-42 ქულა, 2. ლა სეინი-38, 3. გროლე-28, 4. ფლორანსი-12.

საგანგაშო მდგომარეობა აქვთ E ჯგუფში **დიმა ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზს" და **პალიკო ჯიმშელაძის** "შამბერის". "სერჟი პონტუაზი" სტუმრად დამარცხდა 0:13. "ლანჟონისთან". ხოჭოლავა თამაშში მე-18 წუთიდან ჩაერთო. "შამბერი" შინ ფრეს დასჯერდა "ლურდთან" 21:21. 1. ლანჟონი-33 ქულა, 2. ლურდი-31, 3. სერჟ პონტუაზი-25, 4. შამბერი-24.

ბევრად უკეთესად აქვთ საქმე F ჯგუში მოასპარეზე **სანდრო ესაკიას** "სენ ნაზერს". ჩვენებურის გუნდმა სტუმრად აუტსაიდერი "რუმიი" დაამარცხა 22:10. ესაკიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. "სენ ნაზერი" ერთი ქულით ჩამორჩება "მორლას", რომელიც შინ დამარცხდა **ელიზბარ ყუფარაძის** "ვილერბანთან" 21:25. ყუფარაძე თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო; 1. მორლა-39 ქულა, 2. სენ ნაზერი-38, 3. ვილერბანი-28, 4. რუმიი-20.

**ფედერალ 2-ში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე რვა ტური დარჩა. ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან ორი, "ლილი" და "მონლუსონი" თავიანთი ჯგუფების ლიდერები არიან. იმ შემთხვევაში თუ ისინი პირველი ადგილის შენარჩუნებას შეძლებენ, ფედერალ 1-ის საგზურს ავტომატურად მოიპოვებენ.**

**დავით ბოლღაშვილის** "ლილი" A ჯგუფს უდგას სათავეში 45 ქულით. მე-16 ტურში "ლილმა" სტუმრად დაამარცხა "ლა როშ სურ იონი" 11:3. ჩვენებურის გუნდს სამქულიანი ჩამორჩენით კვალში უდგას "სურესნე".

C ჯგუფში **ლევან დათუნაშვილისა და რეზო გიგაურის** "მონლუსონი" პირველ ადგილზე მე-16 ტურის შემდეგ გადაბარგდა. მონლუსონელებმა საკუთარ მოედანზე აქამდე ერთპიროვნული ლიდერი "მონმელიანი" დაამარცხეს 21:6. "მონლუსონს" ახლა 43 ქულა აქვს, "მონმელიანი" მას ერთი ქულით ჩამორჩება. მესამეადგილოსან "ვიენს" 40 ქულა აქვს.

37 ქულით მე-2 ადგილზეა H ჯგუფში **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკი", რომელმაც შინ "ფლორაკს" სძლია 27:14. ჯგუფის ლიდერი "ნუარი" "კონიაკს" შვიდი ქულით უსწრებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



## 18-წლამდელებმა განაახლეს

გლდანის ხელბურთის კომპლექსში გუშინ [illegible] 18-წლამდელ ხელბურთელთა ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპი. შეჯიბრებაში 8 გუნდი ასპარეზობს. 3 ტურის შემდეგ, ჩემპიონატს ლიდერობს "სამტრედია", რომელსაც კვალში უდგანან ""რუსთავი" და "გორი".

ამ ასაკს რომ ხელბურთის ფედერაცია დიდ ყურადღებას აქცევს, არაერთხელ აღგვინიშნავს. ფედერაცია და სპორტის დეპარტამენტი ერთობლივი ძალისხმევით, შესაძლებლობების ფარგლებში ამ ასაკის ხელბურთელებს მაქსიმალურ პირობებს უქმნიან, რომ ჯერ შინაურ პირველობაზე წარმოაჩინონ თავი, მერე კი ევროარენაზე იბურთაონ.

ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **ზურაბ კაკაბაძის** თქმით, 18-წლამდელებს ამ სეზონსა და შემდეგ წლებში, არაერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელით.

- მეოთხე ტურის დამთავრების შემდეგ, 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის სამზადისს შეუდგება, რომელიც 9-11 მაისს, ხორვატიაში გაიმართება. მასპინძელთა გარდა, ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან ბელგია და ნორვეგია.

10-15 მარტს, თბილისში პირველი შეკრება ჩატარდება, 31 მარტიდან 4 აპრილამდე სომეხი 18-წლამდელები გვესტუმრებიან ერთობლივი შეკრებისა და საკონტროლო მატჩებისათვის, ხოლო 28-აპრილიდან 3 მაისამდე სომხებს საპასუხო ანალოგიური ვიზიტით ვეწვევით.

8-12 აპრილს, ნორვეგიაში საერთაშორისო ტურნირი გვაქვს, 21-26 აპრილს კი საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თასს ვატარებთ.

პარალელურად, 18-წლამდელთა გუნდთან ერთად მოემზადებიან 16-წლამდელები, რომელთაც ივნისში ჯერ შეკრება ექნებათ, მერე კი ქუთაისის ან ოზურგეთის ახალ დარბაზში, ამ ასაკში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება გვინდა. 1-6 ივლისს კი შვედეთში "კარპილეს თასზე" ვითამაშებთ.

2009 წელს, 16-წლამდელებს ექნებათ ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ამ ასაკში ახლახან დაარსდა. ასევე გაისად ითამაშებენ ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე, ხოლო 2010 წელს, ახალგაზრდული ოლიმპიადა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები გვაქვს.

18-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ხელბურთელი თამაშობს, რომლებიც ნელ-ნელა მწიფდებიან ეროვნული ჩემპიონატისთვის. არ არის გამორიცხული, რომ ამ ასაკიდან დაახლოებით 3-4 გუნდი უკვე გაისად ეროვნული ჩემპიონატის 4 კლუბს მივამატოთ.



რატი მსხვილიძე

## მსხვილიძე საეჭვოა

საქართველოს 20-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები აგრძელებს სამზადისს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის. გუნდს სტუ-ს დარბაზში ისევ გუნდის თავკაც **გარი თურქიას** თანაშემწე **გიორგი ქობელაშვილი** ავარჯიშებს.

თავად თურქია, ჯერჯერობით ვერ ახერხებს საბერძნეთიდან ჩამოსვლას, სადაც მეორელიგოსანი პოსეიდონის მოთამაშე-მწვრთნელია. იგი 18-წლამდელთა ნაკრებს დაახლოებით 16 მარტისთვის ჩამოაკითხავს. არადა, 21 მარტს საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება და თურქიას მხოლოდ 5 დღე ექნება შეგირდებთან სამუშაოდ.

პრობლემა შეიქმნა შემადგენლობაშიც. კერძოდ, გუნდის ლიდერმა **რატი მსხვილიძემ** თავის ისლანდიურ კლუბში, სრულიად უწყინარ სიტუაციაში - ვარჯიშის დროს ტვინის შერყევა მიიღო და სავარაუდოდ, ნაკრებს ვერ დაეხმარება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სირთულე ის არის, რომ საკვალიფიკაციო ეტაპამდე, თურქიასა და ქობელაშვილის შეგირდებს საერთაშორისო სპარინგმატჩები არ ექნებათ. გუნდის ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ თურქი 20-წლამდელები ჩამოვიდოდნენ, მაგრამ თბილისური ვიზიტი მეზობლების მოსამზადებელ გეგმაში არ შედიოდა და უარი გვითხრეს.

## პირველად უგოლოდ

მას შემდეგ, რაც სეზონის დასაწყისში **სერგო დათუკაშვილი** შვედური "ისტადიდან" გერმანულ "ლიუბეკეში" გადავიდა, არცერთ ბუნდესლიგურ მატჩში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია. სამწუხაროდ, ქართველი ხელბურთელის წარმატებული სერია "ბალინგენ ვაილშტეტენთან" მატჩში შეწყდა. ლიუბეკელებმა სტუმრად 23:28 წააგეს, სერგომ კი უგოლოდ დატოვა მოედანი. შესაბამისად, იგი ბომბარდირთა სიაში კიდევ უფრო ქვემოთ - მე-16 ადგილამდე დაეშვა. ქართველ შუამარბს 23 მატჩში 120 გოლი აქვს გატანილი.

რაც შეეხება "ლიუბეკეს" სატურნირო მდგომარეობას, იგი 11 ქულით ბოლო ადგილზეა და მის წინ მყოფ "მინდენს" ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება.

**კობა ხატისაშვილი**



სერგო დათუკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარტუ როკი-ურალ გრეიტი

ლეგიონი

# კარგი ამბავი საბერძნეთიდან, ცუდი იტალიიდან

იტალიის ჩემპიონატში მორიგი მატჩი დათმო **ნიკა ცქიტიშვილის** "ტერამომ" - "სკაფატისთან" სტუმრად 75:95 დამარცხდა. ამ ნაგების შემდეგ ტერამოელებმა მე-10-დან მე-13 ადგილზე გადაინაცვლა და პლეი ოფის ზონას მეტისმეტად დაშორდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ იტალიის რეგულარული პირველობიდან მომდევნო ეტაპზე საუკეთესო რვაეული გადის.

ახლა **ნიკა ცქიტიშვილის** თამაშზე. იგი მოედანზე მე-9 წუთზე გამოჩნდა და სათადარიგოთა სკამს მე-19 წუთზე დაუბრუნდა. ამის შემდეგ იგი თამაშში აღარ ჩართულა, რისი მიზეზიც ფეხის ტრავმა იყო. დროის 10-წუთიან მონაკვეთში მხოლოდ 2 ქულას დასჯერდა. იმედი დავიტოვოთ, რომ ცქიტო ტრავმას მალე მოიშუშებს და მომდევნო ტურში "ტერამოს" დაეხმარება.



ვლადიმერ ბოისა

## საბერძნეთი

გაცილებით კარგი ამბები უნდა გაცნობოთ საბერძნეთიდან. იქაურ ჩემპიონატში "პანიონიოს"-"არისის" მატჩზე იყო დამოკიდებული მესამეადგილოსნის ბედი. **გორდონ ჰერბერტისა** და **ვლადიმერ ბოისას** გუნდმა პირველივე წუთებიდან მოიპოვა უპირატესობა და საფინალო სირენას მშვიდად შეხვდა- 73:61.

"არისში" გადასვლის შემდეგ ეს იყო ბოისას ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი. მან მოედანზე 24 წუთი გაატარა 2-2 საჯარიმო და ორქულიანი, 3 სამიანი სტყორცნა და მხოლოდ თითო მათგანი ააცილა. 9 ქულის პარალელურად ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 5 მოხსნაა. არისელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო ამერიკელმა **იერემია მეისმ**, რომლის ანგარიშზე 20 ქულა და 8 მოხსნაა.

მე-18 ტურის შემდეგ "არისს" 13 მოგება, 5 ნაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-3 პოზიციაზეა. მას მხოლოდ "პანათინაიკოსი" (16 მოგება) და "ოლიმპიაკოსი" (15 მოგება) უსწრებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ქართველი ევროთასის ოლსტარში

## ცინცაძემ როკი ნახევარფინალში გაიყვანა

გუშინ **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" ევროთასის მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩი შინ გამართა, რუსული "ურალ გრეიტი" 89:77 დაამარცხა, ნახევარფინალში შეაბიჯა, 18 მარტს, ლატვიის "ბარონსს" უმასპინძლებს. სერიის პირველი მატჩი "ტარტუმ" შინ 78:75 მოიგო, მეორეში სტუმრად დამარცხდა - 61:68. შეიძლება ითქვას, რომ "ურალ გრეიტის" დამარცხება პირადად ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზეა.

შეხვედრის საწყისი სამი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართ. გუნდები ფრთხილობდნენ, რადგან კარგად მოეხსენებოდათ, რომ ერთი შეცდომაც შეიძლება ნაგებად და ნახევარფინალს მილმა დარჩენად დასჯდომოდათ.

მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო ათწუთეულში, რომლის დასაწყისში სტუმრები 64:58 დაწინაურდნენ. ამ დროს გიორგიმ ნაგების სუნი იყნოსა და თამაში საკუთარ თავზე აიღო. მან ჯერ ორქულიანით სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, შემდეგ ორი ზუსტი საჯარიმოთი თანაგუნდელები დააწინაურა - 65:64. ბუმ ესეც არ იკმარა, **იანარ ტალტსს** ზუსტი გადაცემით ბურთი ჩაატენინა და მასპინძელთა სასარგებლოდ 69:64 დააფიქსირა. საფინალო სირენის მოახლოვებასთან ერთად დაიძაბა სიტუაციაც, მაგრამ ცინცაძეზე ამას არანაირი გავლენა არ მოუხდენია, პირიქით, მიზანი კიდევ უფრო გაისწორა. ზუსტ სამქულიანს ორქულიანი მიაყოლა და სირენამდე 2 წუთით ადრე "ტარტუ როკი" 79:71 დააწინაურა. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, თუმცა ქართველ გამთამაშებელს ხელი არც მაშინ აჰკანკალებია, როცა რუსებმა განზრახ ჯარიმების ტაქტიკას მიმართეს - დარჩენილ დროში ბუმ ექვსივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა და საფინალო ანგარიშიც დააფიქსირა - 89:77.

რა თქმა უნდა, ცინცაძემ მატჩის სნაიპერობა არავის დაუთმო: 33 წუთში 25 ქულა (6-დან 3 ორქულიანი, 7-დან 3 სამიანი, 10-დან 10 საჯარიმო), 4 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

გუშინვე დასრულდა ევროთასის "ოლ სტარის" გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობის უფლება ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერ გულშემატკივარს ჰქონდა. ქართველი მკითხველის გასახარად უნდა ვთქვათ, რომ გიორგი ცინცაძემ ხმების საკმარისი რაოდენობა მიიღო და იგი 25 მარტს ევროთასის "ოლ სტარში" ითამაშებს. ვარსკვლავთა მატჩს კვიპროსის ქალაქი ლიმასოლი უმასპინძლებს.

ამ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ევროპელი და არაევროპელი კალათბურთელები. გიორგი ცინცაძე, რა თქმა უნდა, ევროპის ნაკრების მაისურს მოირგებს. მის გვერდით სასტარტო ხუთეულში ითამაშებენ ლატვიური "ბარონსის" უკანახაზელი **არმანდს შკელე**, რუსული "ლოკომოტივის" ხორვატი ცენტრი **კრასიმირ ლონჩარი**. ფორვარდების პოზიციებს შეავსებენ კვიპროსის აელ-ის წევრი **მულიტინ ალექსიჩი** და რუსული "ხიმკის" თავდამსხმელი **საშა ბრატიჩი**.

არაევროპელთა ნაკრებში მოხვდა გიორგი ცინცაძის ამერიკელი თანაკლუბელი **ბრაიან კუსვორსი**. მას შეუწყვილდებიან: **დემეტრიუს ალექსანდერი** ("ბარონსი" ლატვია), **ადრიან ჰენინგი** ("ლაპეენრანტა", ფინეთი), **ჯოზეფ სმიტი** ("სპარტაკი", რუსეთი) და **დუეინ ვუდვორდი** (აელ, კვიპროსი).

მკითხველს შევახსენებთ, რომ ცინცაძემ ამა წლის 2 თებერვალს ბალტიის ლიგის "ოლ სტარში" მიიღო მონაწილეობა. უშუალოდ ევროთასის ვარსკვლავთა მატჩი საქართველოს ნაკრების ძველ წევრ **შემონდ უილიამსს** აქვს ნათამაშევი. იგი ამ შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ნიკა მეტრეველი

19-წლამდელთა ტურნირი კარნევალეს თასი

# თხუთმეტით დაიწყო, თხუთმეტით დასრულდა

212 სმ. სიმაღლის ქართველმა ცენტრმა **ნიკა მეტრეველმა** მორიგი ტიტული მოიგო. მან "მონტეპასკისთან" ერთად პიომბინოს "კარნევალეს თასი" მოიპოვა. გასულ შაბათს ტურნირის პირველ ტურზე გესაუბრეთ, რომელშიც სიენელებმა ადგილობრივი "პიომბინო" 95:32 დაამარცხეს. ნიკა მეტრეველმა შეჯიბრება 15 ქულით გახსნა.

მეორე ტურში "მონტეპასკის" მეტოქე ნიკას ყოფილი კლუბი რიმინის "კრაბსი" იყო. მეტრეველის თანაგუნდელებმა "კიბორჩხალებიც" არ დაინდეს და არც მათ მისცეს 50-ქულიანი ბარიერის გადალახვის უფლება - 92:49. ქართველმა ცენტრმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და ყოფილ თანაკლუბელებს 6 ქულა აკმარა. მატჩის სნაიპერი სიენელი კურნუჰი გახდა - 20 ქულა ჩააგდო.

ნახევარფინალში "მონტეპასკის" 19-წლამდელებს შედარებით ძლიერი "რომას" წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. თუმცაღა, ნახევარფინალის კვალობაზე მაინც დიდი სხვაობა დაფიქსირდა: 91:73 - "მონტეპასკის" სასარგებლოდ. მესამე შეხვედრაში ნიკა მეტრეველისა და კურნუჰის შედეგიანობა 6-6 ქულით შემცირდა და ნიკამ მოედანი უქულოდ დატოვა, ხოლო კურნუჰს მატჩის ბომბარდირობისთვის 16 ბალიც ეყო.

ფინალურ შეხვედრაში "მონტეპასკიმ" "ბენეტონთან" პირველივე მეოთხედში 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა (22:11) და საფინალო სირენამდე გადასწრების უფლება აღარ მიუცია. 82:73 - ასეთი ანგარიშით მოიგეს სიენელებმა ფინალი.

როგორც საბოლოო სტატისტიკიდან გამოჩნდა, მონტეპასკელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ფარქვეშ თამაშს. სამწამიან ზონაში კი ტრევიზოელებს არაფერი დაუთმო ქართველმა ცენტრმა. ნიკამ 15 ქულა ჩააგდო და სიენელთა სნაიპერიც გახდა.

მატჩის ბომბარდირობა კი ბენეტონელმა ვოიცეხოვსკიმ იკისრა - 20 ქულა.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**




# თვალები შუბლზე!

მეექვსე ტური: ლომინეიშვილი-ნიკოლაძე 1:0; ნანალაშვილი-მელია 0,5:0,5; ბაციაშვილი-ჭარხალაშვილი 0,5:0,5; ძაგნიძე-ხურციძე 0:1; ხოტენაშვილი-ტერელაძე 1:0; ხურცილავა-ხუხაშვილი 1:0; გურამიშვილი-გვეტაძე, გვეტაძე არ გამოცხადდა.

1-2. ინგა ჭარხალაშვილი, მაია ლომინეიშვილი 4.5; 3-4. ნანა ძაგნიძე (5 პარტიიდან), სოფიკო გურამიშვილი 3,5; 5-6. სალომე მელია (5), სოფიკო ხუხაშვილი 3; 7-10. ბელა ხოტენაშვილი, სოფიკო ტერელაძე, ნინო ხურციძე, ქეთი ნანალაშვილი (5) - 2,5; 11. ნინო ბაციაშვილი (5) - 2; 12. ინგა ხურცილავა 1,5; 13. სოფიო ნიკოლაძე (5) - 0.5

მეშვიდე ტურში: ხუხაშვილი-ლომინეიშვილი, ტერელაძე-ხურცილავა, ხურციძე-გურამიშვილი, ჭარხალაშვილი-ძაგნიძე, მელია-ბაციაშვილი, ნიკოლაძე-ნანალაშვილი. ისვენებს ბელა ხოტენაშვილი.


სოფიო გვეტაძე

ჩვენში ამ გამოთქმას მაშინ ხმარობენ, როცა რაიმე ძალიან გააკვირვებთ - გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდაო... გუშინაც ვწერდით, საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ყოველ ტურში გვაძლევს გაოცების საშუალებას და ამ მოვლენაში დადებითი მოტივები დავინახეთ - ძალიანაც კარგი, რომ ასეა, ტურნირს ინტრიგა, სპორტული სანახაობა და გარეშეთა ყურადღება ემატებათქო. სპორტულ პაექრობას მეტი სხვა რა უნდა უსურვო?

თუმც, მოგეხსენებათ, ზღვარი ყველაფერს აქვს და კი ვფიქრობდი - დარჩენილ ტურებში, ან თუნდაც გუშინდელში, ისეთი რალა უნდა მომხდარიყო, ეს ერთგვარი სამარკო ნიშანი რომ მიგვეწერა და მეექვსე ტურზე მშვიდი განწყობით მივედი. თურმე სადა ხარ?! გავოცდი კი არა, თვალები მართლა შუბლზე ამივიდა და ჩემსას ვინ ჩივის, ასეთი სხვებიც რომ დავინახე, ვიფიქრე, ანიმაციურ სტუდიაში კომიქსების შექმნის პროცესს ხომ ვერ შევესწარიმეთქი...

ალბათ ძალიანაც დაგაინტრიგე, პატივცემულო მკითხველო და ნეტავ რა ნახე ასეთიო, კი ფიქრობთ, მაგრამ ვაი და ვერ გაიზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილება - ესეც მაწუხებს. ახლა უფრო კონკრეტულად და მერე განსაჯეთ...

საქმე ის არის, რომ მეექვსე ტურზე სათამაშოდ არ გამოცხადდა **სოფიო გვეტაძე**! როგორც ტურნირის მთავარმა მსაჯმა, ქალბატონმა **თამარ ხმიადაშვილმა** განმარტა, გვეტაძეს მისთვის დაურეკავს და უცნობებია, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო - მუდმივი თავის ტკივილები მაქვსო - თამაშს ვერ შევძლებ და ტურნირს ვეთიშებიო. ავადმყოფობისგან არავინ არის დაზღვეული და ამ მიზეზით უამრავ სპორტსმენს, მათ შორის მოჭადრაკეებსაც, ნაადრევად დაუტოვებიათ შეჯიბრი. აქედან ტრაგედიას არავინ ქმნის, მაგრამ გააჩნია, რა ვითარებაში ხდება ამ უკიდურესი ზომის მიღება და რა ფორმით ხორციელდება. აქედან გამომდინარე, დგება გადაწყვეტილების სამართლიანობის და მორალური პრინციპების დაცვისა და დადგენის აუცილებლობა.

ჩვენს შემთხვევაში რა ხდება? ჩემპიონატის დაწყებიდან ხუთი ტური იყო გასული და წინ კიდევ რვა რჩებოდა. ცხადია, ჩემპიონი ყველა ვერ გახდება, მაგრამ სამეულში შეღწევა და ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე სრული დაფინანსების მიღების შანსი მონაწილეთა უმეტესობას რჩებოდა - 8 ტური საკმაოდ ბევრია იმისათვის, აუტსაიდერმაც რომ შეძლოს ამ ამოცანის ამოხსნა.

სოფიო გვეტაძე, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ ქართველ მოჭადრაკედ ითვლება და საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია, ჩემპიონატს, ყოველ შემთხვევაში სტარტს, აშკარად ვერ შეხვდა კარგად და ხუთი შესაძლებლიდან მხოლოდ ქულანახევარი მოიპოვა. ბევრი არაა, მაგრამ მასზე ნაკლებიც ჰქონდათ ტურნირზე და არაერთს: **სოფიკო ნიკოლაძეს** და **ინგა ხურცილავას** მხოლოდ ნახევარი, ხოლო **ბელა ხოტენაშვილს** და **ნინო ხურციძეს** სოფოს მსგავსად 1,5 ქულა მოეგროვებინათ. ასე რომ, გვეტაძეს სავსებით შეეძლო ებრძოლა პრიზისთვის. მან ეს არ გააკეთა. რატომ? ოფიციალური ვერსიით ავადმყოფობა მოიმიზეზა, მაგრამ ჩნდება უამრავი კითხვა, რაც გარკვეული ეჭვებიდან გამომდინარეა და ერთობ ლოგიკური პასუხებიც არსებობს ამ კითხვებზე. შესაძლოა, ბევრმა ასეთი პასუხი არ მიიღოს და შემომედავოთ, განსაკუთრებით გვეტაძემ, მაგრამ ჯერ ერთი, აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, ვერც ფიქრს დაუშლი ვინმეს და როცა ფაქტებიც ხელს გიწყობენ, სათქმელსაც ძალა და სითამამე ემატება.

რა კითხვებზე და პასუხებზეა ლაპარაკი? პირველი კითხვა: თუ ავად გახდა გვეტაძე, სად არის ამ ფაქტის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საექიმო ცნობა? როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა განმარტა, გვეტაძე საბუთს დღეს ან ხვალ (?!) წარმოადგენს. ასეთი რამ აბსურდად ჩანს - როგორ შეიძლება მონაწილეს სიტყვაზე ენდო, როცა ქვეყნის უმთავრესი ტურნირის პრესტიჟი ბეწვზე ეკიდება. აქედან გამომდინარე, მეორე კითხვა: დაარღვია თუ არა სოფიო გვეტაძემ წესი და ამ დარღვევისთვის დაისჯება თუ არა. მესამე კითხვა: გუშინ რომ კაცი ავად გახდა, დღესაც აუცილებლად ავად უნდა იყოს? ეგებ და, ეშველა, ბატონო - იმკურნალა, მოფერიანდა და თავიც მშვენივრად წამოწია საწოლიდან, მით უმეტეს შესაძლებელია ეს გვეტაძის შემთხვევაში, რადგანაც დედა ექიმი ჰყავს. საიდან იცის სოფიომ ტურნირის ბოლომდე რომ ავად იქნება? ან რა ვირუსმა დარია ხელი, რომ მინიმუმ 10 დღე მაინც რომ ვერ განდევნი ორგანიზმიდან? თითქოს რიტორიკულ კითხვებს ვსვამ, მაგრამ ლოგიკასთან ხომ ახლოს არის და გვაქვს ამ კითხვებზე პასუხი? შეიძლება გვეტაძეს აქვს, მაგრამ ჩვენ არა და აი, რატომ - წარმოუდგენელია ამ ვადების წინასწარ დადგენა და განსაზღვრა, თუ როგორ შეგიშლის ხელს ასპარეზობაში.

თუმცა ჩვენ სხვაგვარი პასუხები გაგვაჩნია და ამას კი მოგახსენებთ. თავდაპირველად ვიტყვით იმას, რომ თუკი მონაწილე ტურზე არ გამოცხადდება, მას ნული ეწერება; მეორე არგამოცხადების შემდეგაც იგივე გამეორდება და მხოლოდ ამის შემდეგ ილებენ მონაწილეთა სიიდან. ცხადია, მას გრაფაში ნული ეწერება, მეტოქეს კი - მოგება და ქულა ენიჭება. სწორედ ამიტომაც არ მოიცადა გვეტაძემ სამი დღე და პირველივე ჯერზე აფრინა უარი - ნულა მელითო... გამოდის, მას არ სჯეროდა გამოჯანმრთელების, ან არ სურდა გამოჯანმრთელება - ამ შემთხვევაში ძალიან ჩამორჩებოდა მეტოქეებს და ყოველმხრივ ხელმოცარული დარჩებოდა. ხოდა, მივადექით მთავარ მოტივს: გვეტაძეს არ ჰქონდა იმის იმედი, რომ ტურნირს სათავისოდ შემოაბრუნებდა, საპრიზოზე გავიდოდა და ადრევე გაეცალა შეჯიბრს. ამით მან რეიტინგის მნიშვნელოვანი კლებაც აიცილა თავიდან და სავარაუდოდ, სათქმელიც დაიტოვა მომავლისთვის: როცა ნაკრების კანდიდატზე მსჯელობა იქნება ფედერაციაში, იტყვის - პრეტენზია მაქვს, კონკურენტუნარიანი ვარ და თუ საქართველოს ჩემპიონატით იმსჯელებთ, რა ვქნა, ავად ვიყავი და როგორ დამემტკიცებინა ძალაო. სულაც არ ვამბობ, რომ გვეტაძე სიმულიანტობს - ის შესაძლოა, მართლაც შეუძლოდ გრძნობს თავს, მაგრამ მას ავადმყოფობის განსაკუთრებული ნიშნები აქამდე არ ეტყობოდა და ალბათ შეეძლო ტურნირის გაგრძელება. აქ მივადექით სამართლიანობასა და მორალურ მხარეს. ჯერ ერთი, რომ ტურნირი აირევა: მასთან ნათამაშებ მოჭადრაკეებს ქულები ჩამოაკლდებათ და დაზარალდებიან, და მეორეც: ქვეყნის ჩემპიონატის იმიჯი შეილახება, რაც ნებისმიერი სპორტსმენისთვის თუ სპორტული ფუნქციონერისთვის უმთავრესი ღირებულება უნდა იყოს.

გვეტაძის მოქმედება არ მიმაჩნია სწორად: ტურნირზე რამდენიმე მონაწილეა, რომლებიც თავს მართლა ცუდად გრძნობენ და პარტიის მსვლელობის დროს მედიკამენტებს ილებენ: **ინგა ხურცილავა, სოფიო ნიკოლაძე** და **სოფიკო ტერელაძე**. ეს უკანასკნელი საერთოდ ფეხმძიმე თამაშობს და რა სირთულის წინაშე იქნება, თავად წარმოიდგინეთ. ახლა ის პერიოდია, რომ სურდო თითქმის ყველას აქვს და დისკომფორტს განიცდის, შესაძლოა სიცხითაც კი მოუწიოს ვინმეს თამაში, მაგრამ ყოველ ასეთ შემოტევაზე თუ ტურნირიდან გავიქეცით, მაშინ რას დაემსგავსება შეჯიბრი?! ეს გოგონები ვაჟკაცურად ითმენენ ყველაფერს და მაინც იბრძვიან, მითუმეტეს, რომ ნიკოლაძეც და ხურცილავაც თითქმის უიმედო აუტსაიდერები არიან. ამით ისინი ტურნირს და ამ ტურნირში მონაწილეთაც სცემენ პატივს. სპორტში, ჭადრაკშიც უამრავია მაგალითი როცა ლამის გულწასვლამდე მისულან, მაგრამ რაღაც ვალდებულებებისთვის, ეს კი უპირველესად მორალურია, ბოლომდე გაუძლიათ. სოფიომ რატომღაც ეს არ გააკეთა.

სხვათა შორის, საჭადრაკო ტურნირიდან ხშირად ეთიშებიან ხოლმე და არასდროს ყოფილა შემთხვევა, ისეთ დროს დაეტოვებინოთ ტურნირი, როცა ლიდერებში ან მასთან ახლოს არიან და დაწევის შანსი აქვთ. ამიტომ ასეთ დროს "წასვლის" მოტივი, როგორც წესი, ყველასათვის ცნობილია. გვეტაძეს რომ ხუთიდან სამი ქულა მაინც ჰქონოდა, ის არ გაეთიშებოდა და თავის ავადმყოფობასაც შეებრძოლებოდა; ხუთიდან ხუთის შემთხვევაში კი, ძალიანაც რომ გეიძულებინათ, არაფრით დატოვებდა ტურნირს... ასევე ფიქრობს ჩემპიონატის ყველა მონაწილე და უნდა გითხრათ, რომ ყველა აღშფოთებულია გვეტაძის საქციელით. ზემოთ რომ სხვების შუბლზე თვალების შესახებ ვწერდი, პირველ რიგში ხწორედ მონაწილეებს ვგულისხმობდი.

**ტურის დასრულების შემდეგ, მონაწილეებმა ხმამაღლა გამოხატეს პროტესტი და მოითხოვეს, რომ საკითხი საგულდაგულოდ შესწავლილიყო.**

**სალომე მელია:** - კი ბატონო, მოიტანოს საბუთი, ამის გაკეთება ალბათ არ გაუჭირდება, მაგრამ მაინც მოვითხოვ, მოწვეულ იქნას გამგეობის საგანგებო სხდომა და გვეტაძეს მთელი სიმკაცრით მოეთხოვოს პასუხი, - ასეთი ქმედებები დაუსჯელი არ უნდა დარჩეს! დღეს ერთი გააკეთებს ამას, ხვალ მეორე და ცუდ ტრადიციად დამკვიდრდება, ჩვენ კი ჩვენი ნაშრომი და ნაღვაწი წყალში გვეყრება. ეს უდიდესი უპატივცემულობაა მოჭადრაკეებისადმი.

**ხვიჩა სუპატაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი:** - ისეთი პერიოდია, ბევრია ავად - გაციებულები ამ ტურნირშიც არიან და თავიც სტკივათ, მაგრამ ითმენენ. არ გამოვრიცხავ, რომ ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება გვეტაძემ, მაგრამ ვფიქრობ, რომ რეაგირება მაინც საჭიროა.

**თამარ ხმიადაშვილი, ტურნირის მთავარი მსაჯი:** - დამირეკა თუ არა, მაშინვე საბუთის მოტანა ვთხოვე. რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა, ჩემპიონატიც აირია და მონაწილეებზეც ცუდად იმოქმედა, მაგრამ ვერაფერს შევცვლი...

**- კი, მაგრამ საბუთი პირველივე დღეს არ უნდა წარმოედგინა?**

- ასეა, მაგრამ დამარწმუნა, რომ ამ დღეებში მშობლის ხელით მოგვაწვდიდა საბუთს.

**- თქვენ ეჭვი არ შეგაქვთ მის ავადმყოფობაში?**

- სანამ საბუთი არა მაქვს ხელთ, ეჭვი იარსებებს, მაგრამ ექიმის დასკვნას მე ვერ შევეწინაალმდეგები.

**- თვლით თუ არა, რომ ავადმყოფობის მიუხედავად, სოფიოს შეეძლო ასპარეზობის გაგრძელება?**

- ჩემი აზრით, შეეძლო და ამ საკითხზე 8 მარტს დანიშნულ გამგეობის სხდომაზეც ვისაუბრებთ, ისევე, როგორც სხვა არანაკლებ აქტუალურ თემებზე.

**ჩვენ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ გიგა ყაჭეიშვილსაც დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.**

- გვეტაძემ დამირეკა და თავისი მდგომარეობა მამცნო; როცა ადამიანი ცუდადაა და თამაში არ შეუძლია, ვერ დააძალებ.

**- სიტყვაზე რატომ ენდეთ, საბუთი არ უნდა წარმოედგინა?**

- საბუთი აუცილებელია და მოვთხოვე კიდეც. მითხრა, რომ მეორე დღეს მომაწვდიდა.

**- ეჭვი არც თქვენ გეპარებათ?**

- სოფო ერთ-ერთი ძლიერი მოჭადრაკეა, საქართველოს ნაკრების კანდიდატი და ვთვლი, რომ ნდობას იმსახურებს. თუ ავად არის, თამაშს ხომ ვერ დავაძალებ. აი, თუ საბუთს არ წარმოადგენს, მაშინ, ცხადია, შესაბამისი რეაგირება გვექნება და საკადრისადაც დაისჯება.

**- მაინც რა ფორმით დასჯაა ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული?**

- სიმართლე გითხრათ, ასეთი პრეცედენტი პირველია და მსგავსი რამ წესდებაში გათვალისწინებული არა გვაქვს, მაგრამ ალბათ რაღაც ფორმებს მოვძებნით. მანამდე საბუთის მიღების იმედი გვაქვს.

არ ვიცი ეს ინციდენტი რა გაგრძელებას ჰპოვებს, მაგრამ გაგრძელება რომ ექნება, ფაქტია... ფაქტია ისიც, რომ აქამდე ლიდერად მყოფი **ნანა ძაგნიძე** გვეტაძის უარის გამო მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა. მართალია ამაში საკუთარ თავს თვითონაც შეუწყო ხელი, როცა ხურციძესთან წააგო გუშინ, მაგრამ გვეტაძესთან მოგებული ქულა კი დაკარგა. ასეთივე ზარალი ნახეს **სალომე მელიამ** და **ნინო ბაციაშვილმა**.

მეექვსე ტურს რაც შეეხება, **მაია ლომინეიშვილმა სოფიო ნიკოლაძე** თეთრებით დაამარცხა, ქეთი ნანალაშვილსა და სალომე მელიას ხუთსაათიანი ბრძოლა ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგი დაფიქსირდა **ნინო ბაციაშვილისა** და **ინგა ჭარხალაშვილის** პარტიაში, სადაც თეთრებს უნდა მოეგოთ, მაგრამ ინიციატივა გაუშვეს ხელიდან. **ბელა ხოტენაშვილმა** თეთრი ფერის უპირატესობა შეირგო და **ტერელაძე** დაამარცხა. პირველი გამარჯვება იზეიმა **ინგა ხურცილავამ** - თეთრებით სოფიკო ხუხაშვილი დაამარცხა. სოფიკომ პირველად იწვნია ამ ტურნირზე წაგების სიმწარე.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და გვეტაძის უარმა და გუშინდელმა შედეგებმა კიდევ უფრო დაძაბეს სატურნირო მდგომარეობა - შედეგები უფრო მჭიდრო გახდა. მეშვიდე ტური იმედია, მსგავსი ექსცესების გარეშე ჩაივლის და გამარჯვებული სამართლიან ბრძოლაში გამოვლინდება.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

# შაფათავა და ქვაცაბაია ბადეში

მინსკში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) **სოფიო შაფათავამ** ძირითად ბადეში გაღწევა შეძლო. 19 წლის შაფათავა საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში მან რუსი **ეკატერინა კომოროვა** დაამარცხა – 6:4, 6:4. სოფიომ კიდევ ერთი რუსი დაამარცხა, **მარგარიტა ედინაროვა** – 6:3, 6:3. ძირითად ბადეში შაფათავა ბრიტანელ **ანა სმითს** დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში შაფათავა მერვედფინალში ტურნირის პირველ ჩოგან **ანა ლაპუშენკოვას** (136) გაეჯიბრება.

ტურნირის ძირითად ბადეში გასვლა **სოფიო ქვაცაბაიამაც** გააღწია. ქვაცაბაია მე-12 ნომრად განთესეს. მას გაუჭირდა ბულგარელი **დესისლავა მლადენოვას** დამარცხება – 7:5, 7:6. მეორე წრეში ქვაცაბაიამ ესპანელ **ლუსია საინს-პელეგრის** მოუგო – 6:4, 6:0. მესამე წრეში ქვაცაბაიამ მე-7 ნომრად განთესილ **მატილდე მუნიოს-გონსალესს** მოუგო – 6:3, 6:0. ძირითად ბადეში ქართველი პირველ ნომრად განთესილ ურუგვაელ **ესტეფანია კრაციუნს** (261) შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე


სოფიო შაფათავა

ინტერვიუ შოთა ხაბარელთან

# ევროპის ჩემპიონატისთვის მზად ვართ

## ცირეკიძესთან პრეტენზიები არ მაქვს, ზვიადაური გამორიცხულია



შოთა ხაბარელი

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელიც შეჯიბრებებში გამოსვლას ითვალისწინებდა, უკვე დაასრულა და ამიერიდან 11-13 აპრილს, ლისაბონში გასამართი კონტინენტის პირველობისთვის მზადებას უკვე შეკრებებით გააგრძელებს. აღნიშნული ეტაპის დასასრული უაღრესად წარმატებული გამოდგა - პრალაში გუნდმა 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა, ჩვენთვის ყველაზე პრობლემურ წონაში - 81-ში სულაც ქართული ფინალიც ვიხილეთ, რამაც ამავე წონაში საევროპო ნაკრების ბოლო მონაწილეც გამოავლინა. ოქროს მედლები ირაკლი ცირეკიძემ (90) და გიორგი ბაინდურაშვილმა (81) მოიპოვეს, ვერცხლი - საბა გავაშელიშვილმა (81). ბაინდურაშვილმა უშუალო კონკურენტთან მოგებით საევროპო ნაკრებშიც გაინაღდა ადგილი და ოლიმპიადის ლიცენზიაც საბოლოოდ მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ შოთა ხაბარელმა ლისაბონში ნამსვლელთა უმეტესობა პრალის მსოფლიო თასამდე კარგა ხნით ადრე დაასახელა: ნესტორ ხერგიანი (60), ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), ირაკლი ცირეკიძე (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100), ლაშა გუჯეჯიანი (+100). ჩეხეთში ამ ექვსეულს გიორგი ბაინდურაშვილიც დაემატა.

ნაკრები გუშინ, გამთენიისას დაბრუნდა თბილისში. ბუნებრივია, შოთა ხაბარელთან სასაუბრო წარსულზე თუ მომავალზე საკმაოდ დაგვიგროვდა და გავესაუბრეთ კიდეც.

**- იქიდან გამომდინარე, რომ პრალის ტურნირი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი იყო, რამდენად კმაყოფილი დარჩით იმათი გამოსვლით, ვინც კონტინენტის პირველობაზე უნდა იჭიდაოს?**

- ეს მართლაც ბოლო, დასკვნითი ეტაპი იყო ევროპის პირველობისთვის მოსამზადებლად. ამ ტურნირმა დაგვანახა, რომ სწორი გზით მივდივართ და მეტსაც გეტყვით - ამ ეტაპზე რასაც ვგეგმავდით, იმაზე უკეთეს ფორმაშიც ვართ. ჩეხეთში კიდევ ერთხელ დავინახე, რომ გუნდი მზადაა ევროპის ჩემპიონატზე უმაღლესი მიზნებისთვის საბრძოლველად. ეს ძლიერი ტურნირი იყო არა მარტო მონაწილეთა რაოდენობიდან და გუნდებიდან გამომდინარე, არამედ გარეშე ფაქტორების გათვალისწინებითაც. მოგეხსენებათ, ეს ბოლო სალიცენზიო შეჯიბრება გახლდათ და ვინც უსაგზუროდ რჩებოდა, მსაჯთა კორპუსისა თუ სხვა ფაქტორების დახმარებით, მთელი რესურსები აამოქმედეს. არადა, ულიცენზიოდ ბევრი სერიოზული ფალავანი რჩება. მაგალითად, 73-ში - ესპანელი ევროპის ჩემპიონი კიოში უემაცუ, ფრანგი მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი დანიელ ფერნანდესი, იტალიელი ოლიმპიური ჩემპიონი ჯუზეპე მადალონი, 100 -ში - ბელარუსი ოლიმპიური ჩემპიონი იჰარ მაკარაუ, უკრაინელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ვიტალი ბუბონი, ჰოლანდიელი ევროპის პრიზიორი ელკო ფან დერ ხესტი... აქ მხოლოდ გამორჩეულად ცნობილი და ტიტულოვანი ფალავნები ჩამოვთვალე, თორემ ამათ გარდა, ბევრი კარგი მოჭიდავე რჩება უსაგზუროდ. ერთი სიტყვით, იმდენად დაძაბული ტურნირი იყო, თითქოს მსოფლიო ჩემპიონატი გახლდათ. და კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი - ეტყობა, ევროპიდან ოლიმპიადაზე სრული გუნდებით მხოლოდ ჩვენ და რუსები გამოვალთ, თორემ სხვებს ყველას აკლიათ თითოოროლა ლიცენზია. მაგალითად, იგივე საფრანგეთს 73-ში არ მოუპოვებია. არადა, ისტორიაში პირველად რჩებიან არასრული გუნდით. მართალია, წინ კიდევ ერთი სალიცენზიო შეჯიბრებაა - ევროპის ჩემპიონატი, მაგრამ ის რეიტინგში დიდ ცვლილებებს ვერ შეიტანს.

**- სიტყვამ მოიტანა და თუ გაქვთ ინფორმაცია, სრული გუნდი კიდევ ვის ეყოლება ოლიმპიადაზე?**

- სადღეისო ვითარებით, ჩვენი და რუსების გარდა, ცხადია - იაპონელებს, კორეელებს, მასპინძელ ჩინელებს, ირანს, კუბას, ბრაზილიას...

**- დავუბრუნდეთ ისევ პრალის ტურნირს. ალბათ, ქართული ფინალი 81-ში ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო თქვენთვის...**

- ამ წონაში ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა - თავიდანვე ძირითად კონკურენციას ამ დუეტს შორის მოველოდით. ბუნებრივია, არც შინჯიკაშვილის და ნიკლაურის ფაქტორს გამოვრიცხავდით, მაგრამ ცოტათი უპირატესობას მაინც ამათ ვანიჭებდით. წინა ტურნირები მათ ძალიან კარგად ჩაატარეს და პრალაში მედლებს ველოდი, მაგრამ მთლად ქართულ ფინალს თუ გამართავდნენ, არ მეგონა. ორივემ მშვენივრად იცოდა, რომ აქ წყდებოდა ყველაფერი - ვინც უკეთ გამოვიდოდა, ევროპაზეც ის წავიდოდა. ორივემ ძალიან კარგად იჭიდავა და საუკეთესო შეხვედრები მოიგო. მართალია, ბაინდურაშვილმა ფინალი მოიგო, მაგრამ ამით ოლიმპიურ ნაკრებში ადგილისთვის ბრძოლა არ დამთავრებულა. უბრალოდ, ევროპაზე ბაინდურაშვილი წავა, ეს ტურნირიც გარკვეულ სურათს გვაჩვენებს, მერე კი ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყება და შეჯიბრებებიც გვექნება.

**- უდავოა, რომ აქ კონკურენცია გაიზარდა. შეიძლება იმის თქმა, რომ მომავალ ოლიმპიურ ციკლში აქაც გვეყოლება მედლებისთვის რეალურად მებრძოლი ფალავანი?**

- მჯერა, რომ ჩამორჩენას აქაც აღმოვფხვრით. ამ კონკურენციაში თვითონაც დაიხვეწნენ და მჯერა, მდგომარეობას გამოვასწორებთ.

**- წონის პრობლემა ხომ არ შეაწუხებთ და საამისოდ 90-ში ხომ არ გადაინაცვლებს რომელიმე?**

- არა, წონის პრობლემა იმდენად საგანგაშოდ არც ერთს არ აწუხებს, რომ დაკლება გაუჭირდეს და ზემოთ გადასვლაზე იფიქროს. ამის საჭიროებას ვერ ვხედავ.

**- ლომერ ჟორჟოლიანის გამოსვლას როგორ აფასებთ? ისიც გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, რომლისგანაც ოლიმპიადაზე მედალს ველოდებით. არადა, მან ზედიზედ მეორედ წააგო ებრაელ არიელ ზეევთან...**

- ამ ეტაპისთვის მისი გამოსვლა ბრწყინვალე იყო. მართალია, ორი შეხვედრა დათმო - ჯერ ზეევთან, მერე - გერმანელ მიხაელ იურაკთან, ძალზე გამოცდილ სპორტსმენებთან, მაგრამ მასში დიდი რეზერვია, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებს. ზეევთან პირველად შარშან დამარცხდა - ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ მაშინ მსაჯებმა უსამართლოდ გააფრთხილეს, ახლა კი, უბრალოდ, ეშმაკობით აჯობა. ის ძალზე გამოცდილი სპორტსმენია და ეს არცაა გასაკვირი.

**- მე მაინც მგონია, ზეევმა ევროპაზეც უფრო ტაქტიკურად, მისთვის მისაღებ სტილში იჭიდავა და ჟორჟოლიანს შეტევის შანსი არ დაუტოვა...**

- გავითვალისწინოთ, რომ ჟორჟოლიანი ჯერ ძალზე ახალგაზრდაა, მაგრამ დღითიდღე იზრდება. კიდევ ვიმეორებ - მასში ძალიან დიდი რეზერვია, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებთ.

**- ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ზეევი საოლიმპიადოდ უხერხულ მეტოქედ არ ექცევა?**

- არა, არანაირად. მე ასე არ ვფიქრობ.

**- ცირეკიძემ როგორ შთაბეჭდილება დატოვა პრალაში? დასამალი არაა, მან თბილისში ჩვეულად ვერ იჭიდავა, მერე პარიზშიც მოულოდნელად წააგო, აქ კი გაიმარჯვა. დაიბრუნა ძველი ფორმა?**

- მე ვიტყოდი, ცირეკიძე უნიკალური მონაცემების ფალავანია, ტატამზეც კარგად აზროვნებს, ნებისმიერ ტურნირზე შეუძლია მობილიზება და გამარჯვება, მაგრამ მასთან მქონდა პატარა შენიშვნა. სწორად გამიგეთ, ამაზე სახალოდ ლაპარაკი არ მინდა, რადგან ცირეკიძეს შევხდი, ვესაუბრე, გაითვალისწინა კიდეც, რაც პრალაშიც გამოჩნდა. იგი განა უბრალოდ გახდა ჩემპიონი, ყველა შეხვედრა იმდენად დამაჯერებლდა მოიგო, იმდენად ჭკვიანურად იჭიდავა, არც ერთ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. თბილისის ტურნირზე ირაკლი მართლაც არ ჰგავდა მსოფლიო ჩემპიონს. არც პარიზში მომეწონა, ამ ყველაფერს კი პატარ-პატარა შეცდომები უძღოდა წინ. ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს, რადგან უამრავი მაგალითი გვაქვს, წარმატებული სპორტსმენი თუ როგორ ემსხვერპლა თავისივე შეცდომებს. შეიძლება ითქვას, ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გენერალური რეპეტიცია წარმატებით ჩაიბარა და სადღეისოდ მასთან პრეტენზიები ნამდვილად არ მაქვს.

**- ზურაბ ზვიადაური ვიდრე სპორტიდან არ წავა, მუდმივად ინტერესის საგანი იქნება. გასაგებია, რომ საევროპო ნაკრებში ვერ მოხვდა, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენად ძალუძს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრა?**

- ამ ოლიმპიადაზე მოხვედრა გამორიცხულია. მან ტრავმაც მიიღო - მხრის კუნთი გაუწყდა და ამ ოლიმპიურ ციკლში მისი კანდიდატურა არ განიხილება, ლონდონის თამაშებზე მოხვედრა კი მასზეა დამოკიდებული. გააჩნია, როგორ ივარჯიშებს.

**- კედელაშვილის მარცხი ჩინელ რიჯიგავა სისთან ძალზე მოულოდნელი იყო. ბოლო ტურნირებში ჩინელები საოცარ პროგრესს განიცდიან, მაგრამ მაინც მწარე მარცხი აღმოჩნდა. თან, გვაფიქრებს კედელაშვილის არასტაბილურობაც.**

- ჩინელები თითქმის ყველა წონაში რეალურ პრეტენზიას აცხადებენ და ოლიმპიადაზე ნამდვილად ძლიერ კონკურენციას გაგვიწევენ.

კედელაშვილს რაც შეეხება, ამ წაგებაში საგანგაშო არაფერია. მან ზედა წონაში იჭიდავა და მხოლოდ სტარტები გვაინტერესებდა. ამდენად, აჯობებდა, 2-3 შეხვედრა ჩაეტარებინა, მაგრამ მთავარია, რომ გერმანიაში ერთობლივი ვარჯიშები გაიარა. არ დაგიმალავთ. ცოტა მეტს ველოდი და მინდოდა კიდეც, უფრო მეტად გამოევლინა თავი, მაგრამ საგანგაშოს მაინც ვერაფერს ვხედავ. მას ჰქონდა ჩავარდნა, მაგრამ თბილისის ტურნირზე დაგვანახა, რომ იგი დაძლია.

**- ხერგიანის მარცხიც კანონზომიერი იყო?**

- მოგეხსენებათ, მას [illegible] გამო ვუფრთხილდებით და წონას არ ვაკლებინებთ. ამიტომ ზედა წონაში ჭიდაობდა და თანაც, ფრანგ ევროპის ჩემპიონ ბენჯამენ დარბელესთან წააგო. ისიც დამატებითში და უსაფუძვლო გაფრთხილებით. მან ერთობლივი ვარჯიშები პარიზშით გაიარა და გერმანიაშიც და კარგ ფორმაშიცაა. ახლა ევროპისთვისაც გუნდთან ერთად მოემზადება.

მსაჯთა უსამართლობას შევეხეთ და არ შემიძლია, ზურაბ დილებაშვილზეც არ ვთქვა. ამ ახალგაზრდა სპორტსმენმა პირველად იჭიდავა ამ რანგის ტურნირზე - 73-ში გამოდიოდა და მსაჯებმა ისე უსამართლოდ დაჩაგრეს ყაზახ მეტოქესთან შეხვედრაში, ალბათ, ის შეხვედრა ტურნირის ყველაზე შავი წერტილი იყო. მსაჯებმა მიზანმიმართულად წააგებინეს და უმედლოდ დარჩა, მაგრამ მისი გამოსვლით მაინც კმაყოფილი ვარ. იგი გორის განთქმული სკოლიდანაა, რომელსაც ბოლო წლებში ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ იქნებ სწორედ დილებაშვილია ის სპორტსმენი, რომელიც ამ კრიზისს დაძლევს. ნაკრების შეკრებებში ისიც ჩაერთვება და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ წონაში ქევხიშვილს კონკურენცია შეუქმნას. თანაც, ქევხიშვილი ცოტას ავადმყოფობს და არავინ იცის, ოლიმპიადის შემდეგ როგორ იქნება საქმე ამ წონაში.

**- შარშან ევროპის პირველობაზე ძალზე დაბალანსებული და ძლიერი ნაკრები წაიყვანეთ. შედეგიც შესაბამისი იყო - 5 მედალი 7 წონაში. თანაც, ჩემპიონის ტიტულით. როგორ ფიქრობთ, გუნდი წლეულსაც იქნება ისეთივე კონდიციამდე მიყვანილი?**

- ევროპის ჩემპიონატი - ეს იქნება მზადება ოლიმპიადისთვის. ამიტომ მწვრთნელებიც და სპორტსმენებიც ყველაფერს გავაკეთებთ იმ შედეგის გასამეორებლად. მეტიც - გაუმჯობესებასაც ვეცდებით. შეიძლება რაოდენობრივად უკეთესი შედეგი არ იყოს, მაგრამ ხარისხობრივად გავაუმჯობესოთ. ჩვენი ამოცანა ესაა.

**- ძალიან რთული ამოცანაა, რადგან შარშან კარგი შედეგი გქონდათ.**

- იოლი არაფერია. ყველაფერი სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისაა კარგი, როცა ამ სირთულეებს გადალახავ.

**- დაბოლოს, ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ გრაფიკზეც გვითხარით.**

- ხვალ ბაკურიანში მივემგზავრებით, სადაც ორკვირიან შეკრებას გავივლით. მერე ერთი თბილისში დავბრუნდებით, სადაც აქტიური დასვენების პერიოდი გვექნება და ხალიჩაზე ისე ინტენსიურად არ ვივარჯიშებთ. დასკვნით შეკრებას ბორჯომში გავივლით, 9 აპრილს კი პორტუგალიაში წავალთ.

**ირაკლი თავაძე**



ირაკლი ცირეკიძე

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქ. გომელში, 72 წლისა გარდაიცვალა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში, სპორტის ოსტატი

იური მურომცევი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი–ბოსტონი 10:2**

6:0, 2:2, 2:0

გოლები: 1:0 კუკი-8 (შულტცი-10, ბრედლი-10), 2:0 ოვეჩკინი-50 (ბექსტრიომი-44, შ. მორისონი-8), 3:0 ოვეჩკინი-51 (ბექსტრიომი-45, პოტი-21), 4:0 ბრედლი-4 (კუკი-10, შტეკელი-7), 5:0 ოვეჩკინი-52 (სიომინი-13, ბექსტრიომი-46), 6:0 ლეიჩი-14 (ვიქ. კოზლოვი-28, ფერი-2), 6:1 ვიდემანი-10 (სავარი-60, ხარა-31), 7:1 ბექსტრიომი-10 (ოვეჩკინი-37, პოტი-22), 8:1 ბრაშირი-5 (ფერი-3, ერსკინი-7), 8:2 შტურმი-23 (ჰნიდი-4, მეტროპოლიტი-19), 9:2 ლეიჩი-15 (ოვეჩკინი-38, ფერი-4), 10:2 ბრედლი-5 (მ. გრინი-26, კუკი-11).

**ანაჰაიმი–ოტავა 3:1**

2:1, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ბერტუცი-13 (გეტცლაფი-49, პერი-25), 2:0 პერი-29 (ს. ნიდერმაიერი-12, უეიტი-12), 2:1 შუბერტი-6 (ჰიტლი-37, ალფრედსონი-42), 3:1 ს. ნიდერმაიერი-6 (შნაიდერი-24, გეტცლაფი-50).

**სან ხოსე–მონრეალი 6:4**

2:2, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 მარლო-11 (სეტოგუჩი-4), 1:1 პლეკანეცი-25 (ა. კოსტიცინი-23), 2:1 ჯ. ტორნტონი-18 -(რივე-27, ჩიჩუ-10), 2:2 ო'ბირნი-1 (ს. კოივუ-37, ჰიგინსი-21), 3:2 ჯ. ტორნტონი-19 (ბ. კემპბელი-41, პაველსკი-12), 3:3 პლეკანეცი-26 (კოვალიოვი-40, მარკოვი-38), 4:3 შელი-1 (დ. მიურეი-8, პლიჰალი-1), 5:3 ჩიჩუ-20 (ჯ. ტორნტონი-58, მ. მიხალეკი-23), 5:4 ლაპიერი-6 (შტრაიტი-37, სმოლინსკი-14), 5:4 ბ. კემპბელი-6 (ჯ. ტორნტონი-59, ჩიჩუ-11).

### კვირის სამი ვარსკვლავი

"ტორონტო მეიპლ ლივზის" ვეტერანი ფორვარდი **მატს სუნდინი** გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დასახელდა. შვედმა თავდამსხმელმა ოთხ მატჩში 4-4 გოლი და შედეგიანი გადაცემა მიითვალა, ხოლო მისმა გუნდმა სამი მატჩის მოგება შეძლო.

კვირის მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ბოსტონის" მეკარეს, **ტიმ ტომასს** ერგო, რომელიც საშუალოდ მატჩში 0.97 შაიბას უშვებდა და ამით "ბრუინზს" 3-დან 3 შეხვედრა მოაგებინა.

რაც შეეხება გასული კვირის მესამე ვარსკვლავს, ეს გახლავთ "ფილადელფიას" მარჯვენა ფრთა **მაიკ ნუბლი**. მან, ისევე როგორ სუნდინმა, 4 მატჩში 8 ქულა მოაგროვა - 3 შაიბა გაიტანა და 5 საგოლე პასი შეასრულა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 67 | 37 | 23 | 7 | 81 |
| 2. მონრეალი* | 67 | 36 | 22 | 9 | 81 |
| 3. კაროლინა* | 68 | 34 | 29 | 5 | 73 |
| 4. ნიუ ჯერსი | 66 | 37 | 23 | 6 | 80 |
| 5. ოტავა | 67 | 37 | 24 | 6 | 80 |
| 6. ბოსტონი | 65 | 35 | 24 | 6 | 76 |
| 7. რეინჯერსი | 66 | 34 | 24 | 8 | 76 |
| 8. ფილადელფია | 66 | 33 | 25 | 8 | 74 |
| 9. ბაფალო | 66 | 31 | 26 | 9 | 71 |
| 10. ვაშინგტონი | 67 | 31 | 28 | 8 | 70 |
| 11. აილენდერსი | 67 | 31 | 29 | 7 | 69 |
| 12. ტორონტო | 67 | 29 | 28 | 10 | 68 |
| 13. ფლორიდა | 68 | 29 | 31 | 8 | 66 |
| 14. ატლანტა | 67 | 29 | 31 | 7 | 65 |
| 15. ტამპა ბეი | 65 | 26 | 32 | 7 | 59 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 67 | 43 | 18 | 6 | 92 |
| 2. დალასი* | 69 | 41 | 23 | 5 | 87 |
| 3. მინესოტა* | 66 | 37 | 24 | 5 | 79 |
| 4. ანაჰაიმი | 68 | 38 | 23 | 7 | 83 |
| 5. სან ხოსე | 66 | 37 | 21 | 8 | 82 |
| 6. კალგარი | 66 | 34 | 23 | 9 | 77 |
| 7. ვანკუვერი | 65 | 32 | 23 | 10 | 74 |
| 8. კოლორადო | 66 | 34 | 26 | 6 | 74 |
| 9. ნეშვილი | 66 | 33 | 25 | 8 | 74 |
| 10. ფინიქსი | 66 | 33 | 28 | 5 | 71 |
| 11. კოლამბუსი | 67 | 30 | 27 | 10 | 70 |
| 12. ჩიკაგო | 65 | 31 | 28 | 6 | 68 |
| 13. ედმონტონი | 66 | 31 | 30 | 5 | 67 |
| 14. სტ. ლუისი | 65 | 28 | 27 | 10 | 66 |
| 15. ლოს ანჯელესი | 67 | 26 | 36 | 5 | 57 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 90 (52+38) |
| მალკინი (პიტ) | 88 (37+51) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 80 (32+48) |
| იგინლა (კალ) | 79 (40+39) |
| ალფრედსონი (ოტა) | 79 (37+42) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 78 (19+59) |
| დაციუკი (დეტ) | 76 (23+53) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 75 (36+39) |
| სპეცა (ოტა) | 75 (25+50) |
| რიბეირო (დალ) | 75 (27+48) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 52 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 42 |
| იგინლა (კალ) | 40 |
| ალფრედსონი (ოტა) | 37 |
| მალკინი (პიტ) | 37 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 36 |
| ნეში (კოლამ) | 35 |
| გაბორიკი (მინ) | 34 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 32 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 32 |
| შარპი (ჩიკ) | 32 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| სავარი (ბოს) | 60 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 59 |
| დაციუკი (დეტ) | 53 |
| ჰ. სედინი (ვან) | 51 |
| მალკინი (პიტ) | 51 |
| სპეცა (ოტა) | 50 |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 50 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 50 |
| გეტცლაფი (ანა) | 50 |
| გომესი (რეინ) | 49 |

### თვის ლაურეატები

თებერვალში ლიგის საუკეთესო ბომბარდირი "პიტსბურგ პინგვინზის" რუსი ლეგიონერი **ევგენი მალკინი** გახდა. მან 26 ქულა დააგროვა და თვის საუკეთესო მოთამაშის ტიტული მოიპოვა.

მალკინმა 14 მატჩში 9 გოლი გაიტანა და 17 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. რუსი ვუნდერკინდი 14-დან 11 მატჩში აგროვებდა მინიმუმ ქულას.

გარდა მალკინისა, თვის ლაურეატები გახდნენ "დალასის" მეკარე **მარტი ტურკო** და "ბაფალოს" ფორვარდი **ტომას ვანეკი**.

ტურკომ თავის გუნდს 11-დან 9 მატჩში მოაგებინა. ის საშუალოდ მატჩში 1.90 შაიბას უშვებდა და ერთ მატჩში შათაუტი შეასრულა.

ჩეხი ფორვარდი **ვანეკი** თებერვალის მეორე ბომბარდირი გახდა. მის ანგარიშზე 13 გოლი და 7 შედეგიანი პასი მოდის.



ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერი პირველივე წრეშივე გააგდეს



ფედერერი გაოგნებულია

დუბაის ტურნირის კენჭისყრის შედეგები რომ გამოქვეყნდა, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ბრიტანელ **ენდი მარეის** ურთულესი ბადე შეხვდა. ხუმრობა ხომ არ არის, პირველივე წრეში მას ფორტუნამ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** შეახვედრა, ჩოგბურთელი, ვისი ყოველი ნაგებაც, სეზონში "მკაცრად აღირიცხება" და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. მითუმეტეს, შვეიცარიელ მაესტროს 2004 წლის შემდეგ ტურნირი პირველ წრეში არ დაუტოვია.

მაგრამ მარეიმ პროგნოზები თავდაყირა დააყენა და სამ სეტში დაამარცხა ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, ვისთვისაც დუბაის ტურნირი ამ სეზონში მხოლოდ მეორე იყო და ბუნებრივია, სათამაშო პრაქტიკის უქონლობა მისი თამაშის ხარისხზე უარყოფითად აისახა. ცნობისათვის, დიდი სლემის 12 ტიტულის მფლობელმა ფედერერმა პირველი წრის შეხვედრა ბოლოს 2004 წლის აგვისტოში, ცინცინატის ტურნირზე წააგო.

*"რა თქმა უნდა, უკეთ თამაშს ვისურვებდი, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ენდიმ შესანიშნავად იბურთავა. ეს ბიჭი სრულად იმსახურებს გამარჯვებას"*, - განაცხადა ფედერერმა, ვისაც მარეისთან ნათამაშები სამი შეხვედრიდან წაგებული უკვე ორი აქვს.

პირველი სეტი ისე მიილია, მეტოქეებს ერთხელაც არ მისცემიათ ბრეიკის შანსი. ლოგიკურად, სეტმა ტაიბრეიკზე გადაინაცვლა, სადაც თავიდან მარეი უფრო აგრესიული იყო და ის 5:2 დაწინაურდა. ფედერერმა ჩამორჩენის შემცირება შეძლო, მაგრამ მალე ანგარიში ბრიტანელის სასარგებლოდ 6:5 გახდა. მარეიმ მეტოქის სერვისზე სეტ პოინტი მიიღო, მაგრამ უხეირო დაბრუნების გამო, ეს შანსი გაანიავა. ფედერერმა ანგარიშიც გაათანაბრა, შემდეგ ზედიზედ ორი ქულაც მოიპოვა და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე გეიმიც თითქმის პირველის ანალოგიური იყო. ბრიტანელს ერთადერთხელ, მეექვსე გეიმში მიეცა ბრეიკის შანსი და ის შესანიშნავად გამოიყენა. ამის შემდეგ, მას არ გასჭირვებია მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება და სეტებში ანგარიშიც გათანაბრდა.

მესამე სეტში კი ფედერერს ნერვიულობა დაეტყო. სამაგიეროდ, მარეი ხაზიდან თამაშისას უფრო აგრესიულად ირჯებოდა. მისი მოწოდება კი თითქმის ყოველთვის შედეგიანი იყო. შედეგად, შოტლანდიელი იოლად ახერხებდა თავისი სერვის-გეიმების მოგებას. ეს მაშინ, როცა ფედერერს რამდენჯერმე თავის სერვისზე ძალიან გაუჭირდა ქულის შენარჩუნება. თანაც, მან შეცდომებს უმატა.

სეტის პირველივე გეიმში, შვეიცარიელს ორი ბრეიკ პოინტის მოგერიება მოუხდა. მაგრამ მეხუთე გეიმში, როცა ანგარიში თანაბარი იყო, მარეიმ მაინც მიაღწია ბრეიკს, რის შემდეგაც, მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. უფრო მეტიც, თავის სამ სერვის-გეიმზე მხოლოდ ორი ქულა დაუთმო ტიტულოვან მეტოქეს და შეხვედრას გამარჯვების წერტილი დაუსვა.

*"ვფიქრობ, ჩემი გამარჯვება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში სიმშვიდეს ვინარჩუნებდი. მთავარი კი ის იყო, რომ შესანიშნავად გამომდიოდა მოწოდება. სხვათა შორის, ბოლო ხანს ვარჯიშებზე მოწოდებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ და როგორც ჩანს, ამას თავისი შედეგი მოაქვს. მგონი, როჯერი თვითონაც ვერ გაიხსენებს შეხვედრას, რომელშიც ერთხელაც არ ჰქონია ბრეიკ პოინტი. ეს სწორედ ჩემი მოწოდების დამსახურებაა"*, - განაცხადა მარეიმ, ვისაც ამ სეზონში უკვე ორი ტურნირი აქვს მოგებული, თუმცა ავსტრალიის ღიას პირველივე წრეში გამოეთიშა (ტურნირის ფრანგ ფინალისტ **ჟო-ვილფრედ ცონგასთან** წააგო).

შეგახსენებთ, რომ ფედერერისთვის დუბაის ტურნირი მხოლოდ მეორეა. პირველი ავსტრალიის ღია იყო, რომელზეც მან ტურნირის მომავალ ჩემპიონთან, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** წააგო. მას შემდეგ კი დუბაიმდე არსად უთამაშია.

**WTA**

**Bangalore Open**

ბანგალორი (ინდოეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

**აგნეს შავაი** (უნგ, 5)-შიხა უბეროი (ინდ) 6:1, 6:4; **სიბილ ბამერი** (ავსტრია, 6)-აკიკო მორიგამი (იაპ) 2:6, 6:3, 7:5; **აკგულ ამანმურადოვა** (უზბ)-იაროსლავა შვედოვა (რუს) 6:3, 3:6, 6:3; **აიკო ნაკამურა** (იაპ)-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:7 (5), 6:1, 6:2; **ოლგა სავჩუკი** (უკრ)-კატი ო'ბრაიენი (ბრიტ) 6:4, 2:6, 7:5; **ციპორა ობზილერი** (ისრ)-ანჟელიკა ბახმანი (გერ) 6:2, 6:3; **სანდრა მამიჩი** (ხორ)-იუნ იან ჩანი (ტაივ) 6:2, 6:2.

**ATP**

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 426 000 დოლარი

**I წრე**

**ენდი მარეი** (ბრიტ)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 6:7 (6), 6:3, 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპ, 4)-ტომი ჰაასი (გერ) 6:3, 6:0; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუს, 5)-მოჰამედ გარები (ქუვ) 6:4, 6:0; **რიშარ გარსკე** (საფ, 7)-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:4, 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფ)-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:3, 6:4; **იგორ ანდრეევი** (რუს)-ივო მინარი (ჩეხ) 6:3, 6:4; **იან ჰერნიხი** (ჩეხ)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპ)-რაინერ შუტლერი (გერ) 7:6 (7), 4:6, 6:1.

**Tennis Channel Open**

ლას ვეგასი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**I წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრა, 2)-მარატ საფინი (რუს) 6:2, 6:1; **გილერმო კანიასი** (არგ, 4)-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:3, 7:6 (3); **ნიკოლას კიფერი** (გერ, 8)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:4, 6:3; **სემ კერი** (აშშ)-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:2, 4:6, 7:6 (8); **რობი ჯინეპრი** (აშშ)-ქსავიე მალისე (ბელ) 2:6, 6:3, 6:4; **ევგენი კოროლიოვი** (რუს)-სერხიო როიტმანი (არგ) 6:4, 4:6, 6:3.





ევანდერ ჰოლიფილდს მეხუთე ქამარი უნდა

სუპერმძიმე წონა

# მალე კლიჩკოს შეხვდება

ლეგენდარულმა სუპერმძიმეწონოსანმა **ევანდერ ჰოლიფილდმა** ინტერვიუ მისცა ბრიტანულ გაზეთ "დეილი მეილს". მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს კვლავაც არ დაუკარგავს ტიტულის მეხუთედ მოპოვების იმედი. თუ ჰოლიფილდი ამ მიზანს მიაღწევს, ის ჩემპიონობის რაოდენობის ყველა დროის რეკორდსმენი გახდება. 45 წლის ამერიკელის გეგმით, ის რამდენიმე ბრძოლას ჩაატარებს და ბოლოს, დღეისათვის ორი ვერსიით (IBF, WBO) მსოფლიო ჩემპიონს, უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოს** შეხვდება.

**საკუთარ კარიერაზე**: *"მინდა რამდენიმე ბრძოლის შემდეგ, ვლადიმერ კლიჩკოსთან შეხვედრის უფლება მივიღო. მომდევნო ბრძოლას ივნისში ჩავატარებ. გაჩერებას არ ვაპირებ. ვგრძნობ, რომ შემიძლია მეხუთედ გავხდე მსოფლიო ჩემპიონი. თუ* ***ჯორჯ ფორმენმა*** *ეს 45 წლის ასაკში შეძლო, იგივეს გაკეთება მეც შემიძლია. მაქვს იმის რწმენა, რომ ამ ასაკშიც დავიბრუნებ საჩემპიონო სარტყელს. ყოველთვის მორწმუნე სპორტსმენი ვიყავი და კარიერას სწორედ ამაზე ვაგებდი. როცა მეუბნებოდნენ, რომ რალაცის გაკეთებას ვერ შევძლებდი, ვლოცულობდი და მჯეროდა, რომ სკეპტიკოსებს საპირისპიროს დავუმტკიცებდი. კარიერის დასაწყისში ჩემი არავის სჯეროდა, რადგან გაბარიტებით სუპერმძიმე წონას არ შევესაბამებოდი, ჩემგან წარმატებებს არ ელოდნენ. ახლა კი, მთავარი მიზნის ანუ ჩემპიონობის მისაღწევად, უბრალოდ საჭიროა საკუთარი თავის გჯეროდეს. ფორმენმა ტიტული 45 წლისამ მოიპოვა. ჩვენს შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ჯორჯი ჩემზე მძიმეა. მაგრამ ფორმენს 12 რაუნდში ქულებით მოვუგე. მაიკლ მურერთან სატიტულო ბრძოლაში ის აშკარად აგებდა, მაგრამ მე-10 რაუნდში მიზანში მოარტყა და საჩემპიონო სარტყელი დაიბრუნა, შემდეგ კი, სამჯერ წარმატებით დაიცვა ტიტული".*

**ტაისონთან მესამედ შეხვედრის შესაძლებლობაზე:** *"მზად ვარ მას ნებისმიერ დროს ვეჩხუბო. როცა მოინდომებს მაშინ გავყვები რინგზე. ოღონდ, ფინანსურმა მხარემაც უნდა დამაკმაყოფილოს. რაც შეეხება ყურზე კბენის ეპიზოდს... ეს უკვე აღარ მაწუხებს. მაიკს ვაპატიე. იმისთვის, რომ წინ მიზნისკენ იარო და კვლავ გახდე ჩემპიონი, აუცილებელია ასეთი რამეები დაივიწყო და ადამიანებს ცოდვები აპატიო. მას შემდეგ, მაიკს რამდენჯერმე შევხვდი. მაშინ მას კარიერაში და ცხოვრებაში რთული პერიოდი ჰქონდა. ტაისონს არასოდეს დავიწყებია ის, რაც გააკეთა. მაიკმა გონებაში იცის, რომ ცუდი ადამიანია, მაგრამ მან პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა აპატიოს. 1996 წელს, ტაისონთან პირველ ბრძოლას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, მანამდე ორჯერ ვიყავი მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ მაიკს ამ წონაში საუკეთესოდ თვლიდნენ. ყველა ვერსიით ჩემპიონობაც რომ მომეპოვებინა, აღიარებას მაინც ვერ მოვიპოვებდი, ვიდრე ტაისონს არ შევხვდებოდი. ვიცოდი, რომ მის დამარცხებას შევძლებდი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ რაუნდში მოვუმატებდი".*

**ლენოქს ლუისთან ორ ბრძოლაზე**: *"როცა მას პირველად შევხვდი, ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც მე მქონდა დაგეგმილი, თუმცა* ***ლენოქსთან*** *ბრძოლაში თავი არ დამიზოგავს. სამაგიეროდ, მეორე ბრძოლა მოვუგე, თუმცა ვერც იმ შეხვედრაზე ვიტყვი, რომ საუკეთესოდ წარმოვაჩინე თავი".*

## NBA. რეგულარული

**იუტა-დალასი 116:110**

37:24, 27:26, 23:31, 29:29

იუტა: ბუზერი (28 ქ. 7 მ. 4 პ. 3 ჩ), ოქური (20 ქ. 12 მ. 2 ჩ. 2 დ), დ. უილიამსი (17 ქ. 20 პ. 5 მ. 2 ჩ), კორვერი (17 ქ. 2 ჩ), რ. ბრიუერი (15 ქ. 2 ჩ).

დალასი: ჯოშ ჰოვარდი (25 ქ. 4 მ), ნოვიცკი (23 ქ. 7 მ), ტერი (21 ქ), კიდი (19 ქ. 9 პ. 4 მ. 3 ჩ), ჯორჯი (12 ქ. 4 მ).

**კლიპერსი-ფილადელფია 80:106**

21:25, 21:29, 17:19, 21:33

კლიპერსი: ტორნტონი (20 ქ. 6 მ), მაგეტი (16 ქ. 9 პ. 4 მ), მობლი (12 ქ), კამანი (10 ქ. 5 მ. 4 პ).

ფილადელფია: იგუოდალა (18 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ლ. უილიამსი (16 ქ. 8 პ), ტ. იანგი (13 ქ. 4 მ. 2 ჩ), უ. გრინი (13 ქ. 4 ჩ), დალემბერი (12 ქ. 12 მ. 2 ჩ. 2 დ), კარნი (12 ქ. 5 მ. 2 პ).

**ნ. იორკი-ნ. ორლეანი 88:100 (ო)**

31:27, 18:22, 24:26, 15:25

ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (20 ქ. 6 პ. 4 მ), კარი (19 ქ. 8 მ), ნ. რობინსონი (17 ქ. 8 მ), ლი (4 ქ. 16 მ).

ნიუ ორლეანი: პოლი (27 ქ. 8 პ. 5 მ. 3 ჩ), დევიდ უესტი (19 ქ. 8 მ. 4 დ), ჩენდლერი (15 ქ. 18 მ), პიტერსონი (11 ქ).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 58 | 46 | 12 | 79.3 |
| 2. დეტროიტი* | 59 | 43 | 16 | 72.9 |
| 3. ორლანდო* | 61 | 38 | 23 | 62.3 |
| 4. კლივლენდი | 60 | 34 | 26 | 56.7 |
| 5. ტორონტო | 58 | 32 | 26 | 55.2 |
| 6. ვაშინგტონი | 59 | 29 | 30 | 49.2 |
| 7. ფილადელფია | 61 | 28 | 33 | 45.9 |
| 8. ნიუ ჯერსი | 59 | 26 | 33 | 44.1 |
| 9. ატლანტა | 57 | 24 | 33 | 42.1 |
| 10. ინდიანა | 60 | 24 | 36 | 40.0 |
| 11. ჩიკაგო | 59 | 23 | 36 | 39.0 |
| 12. მილუოკი | 60 | 22 | 38 | 36.7 |
| 13. შარლოტი | 59 | 20 | 39 | 33.9 |
| 14. ნიუ იორკი | 60 | 18 | 42 | 30.0 |
| 15. მაიამი | 57 | 11 | 46 | 19.3 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 58 | 41 | 17 | 70.7 |
| 2. ლეიკერსი* | 60 | 42 | 18 | 70.0 |
| 3. ნიუ ორლეანი | 59 | 40 | 19 | 67.8 |
| 4. იუტა* | 61 | 39 | 22 | 63.9 |
| 5. ჰიუსტონი | 59 | 39 | 20 | 66.1 |
| 6. ფინიქსი | 59 | 39 | 20 | 66.1 |
| 7. დალასი | 61 | 39 | 22 | 63.9 |
| 8. გ. სტეიტი | 58 | 36 | 22 | 62.1 |
| 9. დენვერი | 59 | 35 | 24 | 59.3 |
| 10. პორტლენდი | 60 | 31 | 29 | 51.7 |
| 11. საკრამენტო | 59 | 27 | 32 | 45.8 |
| 12. კლიპერსი | 58 | 19 | 39 | 32.8 |
| 13. სიეტლი | 59 | 16 | 43 | 27.1 |
| 14. მემფისი | 59 | 14 | 45 | 23.7 |
| 15. მინესოტა | 58 | 12 | 46 | 20.7 |

* - დივიზიონის ლიდერი

## NBA. თებერვლის ლაურეატები

# ისევ კობი და ლებრონი

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ თებერვლის თვის შედეგები შეაჯამა და საუკეთესო მოთამაშეებად აღმოსავლეთიდან "კლივლენდის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და დასავლეთიდან "ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** დაასახელა.

ჯეიმსი ზედიზედ მეორედ დასახელდა თვის MVP-ად. ლებრონი თებერვლის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ის საშუალოდ მატჩში 30.2 ქულას აგროვებდა და ამას 8.9 მოხსნასა და კონფერენციაში ყველაზე მეტ, 8.5 შედეგიან გადაცემას ამატებდა.

თებერვალში "კლივლენდის" ლიდერმა ზედიზედ ორი დღის განმავლობაში შეძლო სამმაგი დუბლის შესრულება, რაც ლიგაში ბოლო 20 წელია არ მომხდარა. მანამდე მსგავსი მიღწევა 1988 წელს ლეგენდარულ **მეჯიქ ჯონსონს** ჰქონდა.

ლებრონის კიდევ ერთი მიღწევა ისაა, რომ ის გახდა ლიგის ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი, ვინც 10 ათას ქულას მოუყარა თავი.

კობი ბრაიანტმა გასულ თვეში "ლეიკერსს" 13 მატჩი მოაგებინა (15-დან). მცველი საშუალოდ 27.2 ქულას, 5.9 მოხსნასა და 2.1 ჩაჭრას აგროვებდა. კობიმ რვა მატჩში შეძლო მინიმუმ 30 ქულის ჩაგდება, ორ შეხვედრაში კი, 40 ქულას გადააბიჯა.

■ ■ ■

თებერვალში საუკეთესო მწვრთნელებად "ჰიუსტონის" დამრიგებელი **რიკ ადელმანი** და "დეტროიტის" თავკაცი **ფლიპ სონდერსი** დასახელდნენ.

დასავლეთში ადელმანს კონკურენტი არ ჰყოლია. "ჰიუსტონმა" თებერვალში 13 მატჩი ჩაატარა და ყველაში გამარჯვებას მიაღწია. კლუბის ეს სერია ახლაც გრძელდება და ის 15 მოგებას უდრის.

სონდერსის "დეტროიტმა" თებერვალში 9 მატჩი მოიგო და სამჯერ დამარცხდა. ეს შედეგი მით უფრო დასაფასებელია, ვინაიდან "პისტონზს" დასავლეთში ტურნე ჰქონდა, რომლის დროსაც საპირისპირო კონფერენციის გრანდები - "დალასი", "ფინიქსი" და "დენვერი" დაამარცხა.



ადელმანმა როკეტს 13-ჯერ მოაგებინა

■ ■ ■

რაც შეეხება დებიუტანტებს შორის ლაურეატებს, აქ პირველობა ერგოთ აღმოსავლეთში "ატლანტას" ცენტრ **ელ ჰოფორდს** და დასავლეთში "ჰიუსტონის" ფორვარდ **ლუის სკოლას**.

ჰორფორდმა 7 მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა. სულ სეზონში, "ჰოქსის" ახალბედას 16 ორმაგი დუბლი დაუგროვდა და ამ მხრივ, დებიუტანტებს შორის პირველ ადგილზე იმყოფება.

"ატლანტას" ცენტრმა თებერვალში კარიერის რეკორდები დაამყარა - 20 ქულა და 20 მოხსნა დააგროვა. სხვათა შორის, "ატლანტაში" 2002 წლის შემდეგ არცერთ კალათბურთელს არ ჰქონდა დაგროვებული ერთ მატჩში 20 მოხსნა. ბოლოს ასეთი რამ ამ გუნდის მაისურით **ალან ჰენდერსონმა** 6 წლის წინ შეძლო.

"ჰიუსტონის" 13-მატჩიან მოგებათა სერიაში დიდი წვლილი სკოლამ შეიტანა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ არგენტინელი თებერვალში თამაშიდან ტყორცნების 62.9 პროცენტს იყენებდა.

## ავტოსპორტი

## ფორმულა 1. მაკლარენი

# რონ დენისი თავის ბედს თავადვე გადაწყვეტს



დენისი თავის ბედს თვითონვე მიხედავს

რამდენიმე კვირაა, ბრიტანულ პრესაში არ წყდება პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ "მაკლარენის" შეფ **რონ დენისს** მალე მოუწევს თავისი პოსტის დატოვება, ამის მიზეზი კი გუნდის გერმანელი პარტნიორისა და თანამფლობელის, "დაიმლერისგან" ძლიერი ზეწოლაა.

იმავე პუბლიკაციებში ლაპარაკია იმაზე, რომ "დაიმლერი" უკმაყოფილოა შარშანდელი სეზონით. შტუტგარტული კონცერნი გასულ სეზონში ორივე ტიტულის ვერმოგებას ვითომ დენისს აბრალებს, რომელმაც სკანდალ სპაიგეიტში თავისი გუნდის უდანაშაულობა ვერ დაამტკიცა, რაც "მაკლარენს" 100 მილიონი დოლარი დაუჯდა.

მაგრამ როგორც ჩანს, ეს ხმები უსაფუძვლოა. გაირკვევა, დენისი ამ სეზონის განმავლობაში გადაწყვეტს, დარჩეს ბიზნესში, თუ თავისი პოსტი ახლანდელ მთავარ აღმასრულებელს, რომ დენისის დიდი ხნის პროტეჟე **მარტინ უაიტმარშს** გადააბაროს. გუნდი კატეგორიულად უარყოფს ხმებს, რომ თითქოს, დენისს რაიმე გადაწყვეტილების მიღებას "დაიმლერი" აძალებს.

შეგახსენებთ, რომ "მაკლარენის" აქციათა 40 პროცენტი "დაიმლერს" ეკუთვნის, დანარჩენ ნილს კი თანაბრად იყოფენ დენისი და მისი ძველი მეგობარი, შეიხი **მანსურ ოიეხი**.

პრესაში გავრცელებული ინფორმაცია უაიტმარშმა გაზეთ "გარდიანთან" საუბრისას უარჰყო. "ვფიქრობ, პრესაში სიტუაცია ხელოვნურად დაიძაბა. არ ვიცი ამის რეალური მიზეზი, თუმცა მიმაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, თუ ორთქლს გამოვუშვებთ და მდგომარეობას ასე განვმუხტავთ. რონი ადრეც ფიქრობდა თავისი აქტიურობის შეკვეცას, მაგრამ ის ყოველთვის ამბობდა, რომ გუნდის გასაჭირში მიტოვებას არ აპირებს. მინდა ვთქვა, რომ პარტნიორები არც მას და არც მე არაფერს გვაძალებენ. "მაკლარენში" უკვე 19 წელია ვმუშაობ და მოთმინება ერთხელაც არ დამიკარგავს. ახლა კი არ მინდა, იუდას როლი ვითამაშო და რონს ზურგში დანა ჩავცხო. ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება", - განაცხადა უაიტმარშმა, ვისაც დენისი თანდათან აბარებს გუნდის ხელმძღვანელის პოსტს და შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც უნაწილებს.

უნდა ითქვას, რომ ერთი თვეა, დენისს მძიმე პერიოდი აქვს. ჯერ ერთი, 22-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ის თავის მეუღლე ლაიზას შორდება, ვისგანაც სამი შვილი ჰყავს. მეორეც, მას იტალიური მართლმსაჯულების წინაშე მოწმის რანგში წარდგომა უწევს – იტალიელები "ფერარიდან" ტექნიკური ინფორმაციის გაჟონვის ფაქტს და მასში სხვადასხვა პირების მონაწილეობის ხარისხს იკვლევენ.

რონ დენისმა ფორმულა ერთში მოღვაწეობა 1966 წელს გუნდ "კუპერის" მექანიკოსად მუშაობით დაიწყო. მოგვიანებით, ის "ბრებჰემის" მთავარი მექანიკოსი გახდა. 1980 წელს მან თავის კონტროლს სრულად დაუქვემდებარა იმჟამად მძიმე კრიზისში მყოფი "მაკლარენი", რომელიც თავის დროზე სახელოვანმა ახალზელანდიელმა პილოტმა **ბრიუს მაკლარენმა** დააარსა.

რონ დენისის ხელში გუნდი, ფაქტობრივად, მეორედ დაიბადა. 1984 წელს, მისი ხელმძღვანელობით, "მაკლარენმა" პირველად მოიგო (ავსტრიელი **ნიკი ლაუდა**) ჩემპიონის ტიტული (მანამდე ეს ტიტული მხოლოდ ორჯერ, 1974 (ბრაზილიელი **ემერსონ ფიტიპალდი**) და 1976 (ბრიტანელი **ჯეიმს ჰანტი**) წლებში ჰქონდა მოგებული), იქიდან მოყოლებული კი მისმა პილოტებმა 132 რბოლა მოიგეს, პირად პირველობაზე ცხრაჯერ გახდნენ ჩემპიონები (ლაუდა, ფრანგი **ალენ პროსტი**, ბრაზილიელი **აირტონ სენა** და ფინელი **მიკა ჰაკინენი**), კონსტრუქტორთა (გუნდური პირველობა) თასს კი შვიდჯერ დაეუფლნენ. "მაკლარენს" ბოლო ტიტული 1999 წელს ფინელმა მიკა ჰაკინენმა მოუპოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**5 მარტი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

23:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რომა-რეალი (LIVE).
02:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
03:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-შალკე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-სელტიკი.
15:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ფენერბაჰჩე.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ლიონი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-რომა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 სპორტლოსიე.
08:27 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
08:56 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
11:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:58 სპორტკლუბი.
12:14 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ფენერბაჰჩე.
15:53 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ჩელსი.
17:42 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ლიონი.
19:35 გოლფი. ტელეჟურნალი.
20:04 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
21:07 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
21:40 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:07 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 სპორტკლუბი.
23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-შალკე (LIVE).
02:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-რომა
03:53 ფეხბურთი. Barca TV.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კაროლინა (LIVE).
06:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-აინტრახტი.
08:23 ფეხბურთი. Barca TV.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
12:00 მულტისპორტი.
12:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი.
18:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
22:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. დრამენი. ნორვეგია.
00:00 მულტისპორტი.
00:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:10 გოლფი. PGA-ს ტური. ჰონდა კლასიკი.
01:10 გოლფი. ევროპული ტური. ჯონი უოკერ კლასიკი. ტაილანდი.
01:40 გოლფ-კლუბი.
01:45 აფროსნობა.
02:15 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:20 აფროსნობა. ტელეჟურნალი.
02:25 მულტისპორტი.
02:30 ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
03:00 უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
04:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. დრამენი. ნორვეგია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. დინამო (რუსეთი)-ფრიდრიხშაფენი (გერმანია).
14:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კალგარი-ტორონტო.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჰელსინგბორგი-ეინდჰოვენი.
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნიურნბერგი-ბენფიკა.
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-გალათასარაი.
20:15 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ყაზანი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი).
22:30 ახალი ამბები.
23:00 პრო-რესტლინგი.
23:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია) (LIVE).
01:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ყაზანი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბლეკპული-ბარნსლი | 1:1 |
| ჩარლტონი-ბრისტოლი | 1:1 |
| ჰალი-ბერნლი | 2:0 |
| იფსვიჩი-შეფილდი | 1:1 |
| ლესტერი-პრესტონი | 0:1 |
| პლიმუთი-კოლჩესტერი | 4:1 |
| უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 0:1 |
| უოტფორდი-ნორვიჩი | 1:1 |
| ვულვზი-საუთჰემპტონი | 2:2 |
| კრ. პალასი-კარდიფი | 0:0 |
| **I ლიგა** | |
| ბრაიტონი-ჯილინგემი | 4:2 |
| როვერსი-დონკასტერი | 0:1 |
| ოლდჰემი-ჰართლპული | 0:1 |
| საუთენდი-ჰადერსფილდი | 3:2 |
| **II ლიგა** | |
| დარლინგტონი-ჩესტერი | 1:4 |
| ბარნეტი-პეტერბორო | 0:2 |
| ბრენტფორდი-ბერი | 1:4 |
| **კონფერენსი** | |
| ალტრინჩემი-ჰალიფაქსი | 3:3 |
| ქროული-ექსეტერი | 2:2 |
| დროილსდენი-ნორთვიჩი | 1:3 |
| გრევსენდი-სალისბერი | 2:1 |
| ფარსლი-რაშდენი | 0:1 |
| ჰისტონი-სტივენიჯი | 1:4 |
| კიდერმინსტერი-სტეფორდი | 6:0 |
| ოქსფორდი-კემბრიჯი | 1:2 |
| უეიმაუთი-ფორესტ გრინი | 0:6 |
| იორკი-ბარტონი | 0:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| გრეტნა-დანდი იუნ | გადაიდო |
| **I დივიზიონი** | |
| პარტიკი-ლივინგსტონი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| როსი-კოუდენბითი | 4:1 |
| **III დივიზიონი** | |
| ისტ სტირლინგი-სტრანრარი | 1:3 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ლანელი-ბას | 4:0 |

**პოლონეთი**

| ლიგის თასი | |
|---|---|
| ვისლა-იაგელონია | 5:0 |
| ლეხია-პოლონია | 2:2 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-დინამო | 3:3 |
| მეტალურგი (მ)-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| ს. იულაევი-ამური | 2:1 |
| აკ ბარსი-მვდ | 6:2 |
| ლოკომოტივი-ლადა | 4:1 |
| სკა-სპარტაკი | 3:0 |
| ხიმიკი-სევერსტალი | 3:3 |
| ცსკა-ტრაქტორი | 6:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-სლოვანი | 0:7 |
| პოპრადი-კოშიცე | 3:3 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ლუკო | 5:2 |
| კაიპა-საიპა | 3:1 |
| კარპატი-იოკერიტი | 2:2 |
| კიეკო-ტაპარა | 2:1 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 1:4 |
| პიუკ-ტპს | 3:2 |
| ესეტი-ჰპკ | 3:5 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 3:2 |
| ლიბერეცი-სპარტა | 5:0 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნასი-მორა | 7:2 |
| მოდო-ფრიოლუნდა | 4:5 |
| ფერიესტადი-ტიმრა | 2:3 |

**კალათბურთი**

| ევროპის თასი | |
|---|---|
| ტარტუ-ურალ გრეიტი | 89:77 |
| ბარონსი-ზაგრები | 96:91 |

**ჩოგბურთი**

| ATP. დუბაი | |
|---|---|
| ბერდიხი-მონფილსი | 6:3, 6:2 |
| ლედოვსკიხი-ნადერი | 6:1, 6:1 |
| მატიო-სირიანი | 6:4, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-ლოპესი | 3:6, 6:4, 4:6 |
| ნადალი-კოლშრაიბერი | 3:6, 6:1, 6:4 |
| ნიემინენი-ო. როხუსი | 1:6, 2:6 |
| ჯოკოვიჩი-ჩილიჩი | 6:4, 6:3 |
| როდიკი-ფერერო | 6:2, 6:4 |
| **ATP. ლას ვეგასი** | |
| ბენეტო-ბიორკმანი | 6:4, 7:6 |
| ისნერი-ფალა | 4:6, 6:3, 6:4 |
| **WTA. ბანგალორი** | |
| პენგი-კრემერი | 6:1, 6:1 |
| ზვონარევა-ნიკულესკუ | 4:6, 6:3, 6:1 |
| კირილენკო-იან ჟი | 6:3, 6:7, 1:6 |

ჭადრაკი

**ლინარესის ტურნირი**

**XI ტური: ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი)-**თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) 0.5:0.5; **პეტერ ლეკო** (უნგრეთი)-**მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) 1:0; **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**ალექსეი შიროვი** (ესპანეთი) 1:0; **ლევონ არონიანი** (სომხეთი)-**ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)- 0.5:0.5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) - 7 ქულა; 2-3. **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია), **ლევონ არონიანი** (სომხეთი), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) - 6; 5-6. **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი), **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა) - 5; 7-8. **ალექსეი შიროვი** (ესპანეთი), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი) - 4.5.

ჩოგბურთი

## ისნერმა ნასკარის სამზარეულოში შეიხედა

ამერიკული ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა **ჯონ ისნერმა** თავის მწვრთნელთან, **ბრენდონ ვაგნერთან** ერთად ნასკარის სერიის ერთ-ერთ რბოლაში მიიღო მონაწილეობა. 205 სანტიმეტრი სიმაღლის ჩოგბურთელი 45-ე ნომრად მოასპარეზე გუნდის საპატიო წევრი გახლდათ. ამ საჯინიბოს პილოტი **კაილ პეტი** იყო.

ისნერს ბოქსებში ექსკურსია ჩაუტარეს, გააცნეს რბოლის ისტორია და მანქანის ტექნიკური აღჭურვილობა. ჩოგბურთელმა უშუალოდ რბოლის დროს გუნდის მუშაობაშიც მიიღო მონაწილეობა. საბოლოოდ, პეტი 43 მონაწილეს შორის 32-ე ადგილზე გავიდა.

*"ჩრდილოეთ კაროლინაში გავიზარდე და ჩემი ოცნება კაილ პეტის უფრო ახლოს გაცნობა იყო. აქამდე ნასკარის ოთხ რბოლას დავესწარი, მაგრამ ადრე რბოლების შიდა სამზარეულოს გაცნობის საშუალება არ მქონია. ჩოგბურთსა და ავტოსპორტს ბევრი რამ აქვს საერთო. ორივეგან მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყო, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად"*, - განაცხადა ისნერმა.

კალათბურთი

## კასელი ბოსტონში გადავიდა

დღეს, ვეტერანი მცველი **სემ კასელი** "ბოსტონ სელტიქსთან" გააფორმებს კონტრაქტს. როგორც იცით, ცოტა ხნის წინ, 38 წლის კალათბურთელის კონტრაქტი მისმა ყოფილმა კლუბმა, "ლოს ანჯელეს კლიპერსმა" გამოისყიდა.

კასელი "სელტიქსთან" ამ სეზონის ბოლომდე გააფორმებს კონტრაქტს. წელს ვეტერანის ხელფასი 6.1 მილიონ დოლარს შეადგენს.

კასელი "ბოსტონში" თავის ძველ მეგობარს, **კევინ გარნეტს** შეუერთდება. ისინი წლების განმავლობაში ერთად თამაშობდნენ "მინესოტაში".

## გრინი ისრაელში წავიდა

NBA-ის ყოფილი მცველი **ორიენ გრინი** ევროპაში გააგრძელებს კარიერას. ამერიკელმა იერუსალიმის "ჰაპოელთან" გააფორმა კონტრაქტი.

გრინმა წლევანდელი სეზონი "საკრამენტო კინგზში" დაიწყო, მაგრამ ამ გუნდიდან ნოემბერში დაითხოვეს, რის შემდეგაც მცველი ავსტრალიაში გადაბარგდა და იქაურ ლიგაში თამაშობდა.

თავისი პირველი პროფესიული სეზონი გრინმა "ბოსტონის" შემადგენლობაში ჩაატარა, სადაც საშუალოდ 3.2 ქულას, 1.8 მოხსნასა და 1.6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

## ULEB-მა ტორნტონი გამოარჩია

ULEB-მა თებერვლის შედეგები შეაჯამა და თვის საუკეთესო მოთამაშედ იტალიის "მონტეპასკის" ფორვარდი **ბუტსი ტორნტონი** დაასახელა.

"მონტეპასკიმ" თებერვალში სამიდან სამი მატჩი მოიგო, ხოლო თავად ტორნტონი ამ შეხვედრებში საშუალოდ 16.7 ქულას, 4.0 მოხსნასა და 3.0 ჩაჭრას აგროვებდა.

ტორნტონს ევროლიგაში დებიუტი 2004 წელს ჰქონდა. იმ სეზონში ამერიკელი "ოთხთა ფინალის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

## რუსეთი მსოფლიოსთვის იბრძოლებს

რუსეთი მეოთხე ქვეყანა გახდა, რომელიც 2014 წელს, მამაკაცთა შორის საკალათბურთო მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

რუსეთის კალათბურთის ფედერაციამ უკვე შეიტანა ოფიციალური განაცხადი FIBA-ში და შეუერთდა ესპანეთს, საფრანგეთსა და დანიას, რომლებმაც ანალოგიური ნაბიჯი წინა თვეებში გადადგეს.

## მილუოკიმ ჩინელი ფორვარდი დაკარგა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას შესაძლოა, მეორე ჩინელი კალათბურთელიც გამოაკლდეს. "მილუოკის" ფორვარდმა **იი ძიანლიანმა** "ინდიანასთან" მატჩში მარცხენა ფეხი იტკინა და თამაშის გაგრძელება ველარ შესძლო.

შეხვედრის შემდეგ, "მილუოკის" მთავარმა მწვრთნელმა **ლარი კრისტოვიაკმა** განაცხადა, რომ ჯერ ადრეა ჩინელი ფორვარდის ტრავმის ხარისხზე საუბარი, თუმცა შესაძლებელია, ძიანლიანი ხანგრძლივი დროით გამოაკლდეს კლუბს.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, უმძიმესი ტრავმა მიიღო "ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრმა **იაო მინმა**, რის გამოც ჩინელი გიგანტი მინიმუმ ოთხი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ჰოკეი

## სენტ ლუისმა ბომბარდირი შეინარჩუნა

ამ სეზონში "სენტ ლუის ბლუზის" საუკეთესო ბომბარდირმა **ბრედ ბოიესმა** კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. 32 წლის ფორვარდი "ბლუზმენების" რიგებში კიდევ ოთხი წელი ითამაშებს და ამის სანაცვლოდ 16 მილიონ დოლარს მიიღებს.

ბოიესი 32 გატანილი გოლით ლიგის საუკეთესო სნაიპერებს შორისაა. ამას გარდა, ეს ფორვარდი მეორე ადგილზეა დარტყმების რეალიზაციის პროცენტული მაჩვენებლით - 20.1 პროცენტი.

## რაიან სმიტს ისევ არ გაუმართლა

ბოლო არ უჩანს "კოლორადო ეველანშის" უიღბლობას. როგორც ცნობილია, ამ გუნდს ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი **რაიან სმიტი**. ჰოკეისტმა 5 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მორიგი ტრავმა მიიღო. ამჯერად ვეტერანს ტვინის შერყევა აქვს და ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი მოუწევს უქმად ყოფნა.

გარდა ამისა, ზუსტად არის ცნობილი, რომ "კოლორადოს" სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება კიდევ ერთი ფორვარდი **მარეკ სვატოსი**. ამ ჰოკეისტს დღეს გაუკეთებენ ტრავმირებულ მუხლზე ოპერაციას.



# ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

### მილანი-არსენალი 0:2 (0:0)

**მილანი:** კალაჩი, ოდო, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, პატო, ინძაგი (69. ჯილარდინო).

**არსენალი:** ალმუნია, სანია, სენდეროსი, გალასი, კლიში, ებუე (71. უოლკოტი), ფაბრეგასი, დიაბი, ფლამინი, გლები (90. ჟილბერტო სილვა), ადებაიორი.

**გოლები:** 0:1 ფაბრეგასი (84), 0:2 ადებაიორი (90)

**მაყურებელი:** 81 879

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

სტატისტიკა

თამაში დაიწყო: მილანი

პირველი ჯარიმა: არსენალი

პირველი კუთხური: მილანი

პირველი გაფრთხილება: არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 17 (6) | დარტყმა | 12 (5) |
| 8 | კუთხური | 3 |
| 14 | ჯარიმა | 23 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

### ბარსელონა-სელტიკი 1:0 (3:2)

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, პუიოლი, სილვინიო, ჩავი (82. გუდიონსენი), იაია ტურე (68. ედმილსონი), დეკუ, რონალდინიო, მესი (38. ანრი), ეტო'ო.

**სელტიკი:** ბორუცი, უილსონი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ბრაუნი, ჰარტლი (78. მაკდონალდი), დონატი (46. სნო), მაკგიდი, ვენეგოორი (55. სამარასი).

**გოლი:** 1:0 ჩავი (3)

**მაყურებელი:** 75 002

**არბიტრი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

თამაში დაიწყო: ბარსელონა

პირველი ჯარიმა: სელტიკი

პირველი კუთხური: ბარსელონა

პირველი გაფრთხილება: —

| | | |
|---|---|---|
| 16 (6) | დარტყმა | 6 (3) |
| 16 | კუთხური | 3 |
| 16 | ჯარიმა | 15 |
| 0 | გაფრთხილება | 0 |
| 62% | ბურთის ფლობა | 38% |

### მანჩესტერი-ლიონი 1:0 (1:1)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი, ქერიკი, ანდერსონი (70. ტევესი), კრისტიანო რონალდო (90. ჰარგრივსი), რუნი, ნანი.

**ლიონი:** კუპე, კლერი, სკილაჩი, კრისი, გროსო, კალსტრიომი (79. ფრედი), ტულალანი, ჟუნინიო, ბენ არფა, გოვუ (68. კეიტა), ბენზემა.

**გოლი:** 1:0 კრისტიანო რონალდო (41)

**მაყურებელი:** 75 521

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

სტატისტიკა

თამაში დაიწყო: მანჩესტერი

პირველი ჯარიმა: მანჩესტერი

პირველი კუთხური: მანჩესტერი

პირველი გაფრთხილება: მანჩესტერი

| | | |
|---|---|---|
| 13 (2) | დარტყმა | 12 (2) |
| 7 | კუთხური | 3 |
| 18 | ჯარიმა | 17 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

### სევილია-ფენერბაჰჩე 3:2, პენ. 2:3 (2:3)

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო კორეია, ნავასი (105. კონე), პოულსენი (90. მარესკა), კეიტა, კაპელი, ლუიშ ფაბიანო (78. რენატო), კანუტე.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გოხანი, ლუგანო, ედუ, ვედერსონი, დეივიდი, სელჯუკი (63. სემიჰი), აურელიო, უგური (112. ქაზიმი), ალექსი (113. ბილგინი), კეჟმანი.

**გოლები:** 1:0 დანიელ ალვეში (5), 2:0 კეიტა (9), 2:1 დეივიდი (20), 3:1 კანუტე (41), 3:2 დეივიდი (79)

**პენალტები:** 1:0 კანუტე, 1:1 ვედერსონი, 1:1 ესკუდე (მეკარე), 1:1 ედუ (მეკარე), 2:1 დრაგუტინოვიჩი, 2:2 აურელიო, 2:2 მარესკა (მეკარე), 2:3 კეჟმანი, 2:3 დანიელ ალვეში.

**მაყურებელი:** 38 626

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

თამაში დაიწყო: ფენერბაჰჩე

პირველი ჯარიმა: სევილია

პირველი კუთხური: სევილია

პირველი გაფრთხილება: სევილია

| | | |
|---|---|---|
| 16 (5) | დარტყმა | 13 (5) |
| 4 | კუთხური | 5 |
| 21 | ჯარიმა | 25 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |



მანჩესტერი-ლიონი. ვიდიჩისა და ბენზემას ორთაბრძოლა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა